

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №9

პირგასამტეხლო

სამიებელი

პირგასამტეხლო

პირგასამტეხლოს შემცირება

სამუშაოს ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

ჯარიმის და პირგასამტეხლოს დაკისრება

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველები

პირგასამტეხლოს შემცირება

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

პირგასამტეხლოს გადახდისაგანგათავისუფლება

პირგასამტეხლო

პირგასამტეხლოს შემცირება

განჩინება

1ბს-983-941 (კ-09)

25 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 27 ივნისის სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მოპასუხის – შპს «...» მიმართ და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისათვის საურავის – 498949,14 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 16 მაისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა (შემსყიდველს) და შპს «...» (მიმწოდებელს) შორის გაფორმდა 1... სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მიმწოდებლის მიერ საქართველო-სომხეთის 330 კვ (400 კვ. გაზარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის დაპროექტებას ხელშეკრულების პირობებისა და მასზე დართული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 2574200 ლარს. გეგმა-გრაფიკის მიხედვით სამუშაოები დაყოფილ იქნა ეტაპებად და თითოეულ ეტაპზე განსაზღვრულ იქნა სამუშაოების დასრულების ვადა და შესაბამისი ღირებულება. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ სამუშაოები დასრულებულ იქნა ხელშეკრულებისა და მასზე დართული გეგმა-გრაფიკის ვადების გადაცდენით. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდენისათვის უნდა დაკისრებოდა საურავი ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, რაც საერთო ჯამში შეადგენს 498949,14 ლარს. შპს «...» 2007 წ. 11 ივნისს გაგზავნილი 1... წერილით მოპასუხეს ეცნობა დავალიანების თაობაზე. მიუხედავად ამისა, შპს «...» მიერ დავალიანების დაფარვა არ მომხდარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს «...» საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 2006 წლის 16 მაისს 1... ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაგვიანებით შესრულების გამო პირგასამტეხლოს სახით 33285 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა. შპს «...» დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 988,55 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ოდენობით გადახდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ 2006 წლის 16 მაისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა (შემსყიდველს) და შპს «...» (მიმწოდებელს) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების 4.2 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების პირობებმა, ეტაპებმა და წესმა ასახვა ჰპოვა ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად, ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა მიმწოდებლის მიერ საქართველო-სომხეთის 330კვ. (400კვ. გაზარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის დაპროექტება ტექნიკური პირობებითა და მომსახურების გრაფიკით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით განისაზღვრა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეთა უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ეტაპის შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5% ოდენობით. 2006 წლის 23 ოქტომბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება 2006 წლის 16 მაისის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად, შეიცვალა ხელშეკრულების ფასი, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი მომსახურების მოცულობა და მომსახურების გაწევის გრაფიკი, კერძოდ, ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაო დაიყო რვა ეტაპად და განისაზღვრა თითოეული ეტაპის შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადა და შესრულების ღირებულება ხელშეკრულების 12ა და 13ა დანართების შესაბამისად:

I ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 500 კვ. ევბ «მუხრანის» რეაბილიტაციის პროექტი ქსნის 500 კვ. ქვესადგურიდან 142 ანამდე 73.9კმ. (განმარტებითი ბარათი, მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და

საობიექტო ხარჯთაღრიცხვა), აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 10 ნოემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად 222.000 აშშ დოლარი;

II ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 400 კვ. ეგხ 500 კვ ეგხ «მუხრანის»¹⁴² ანძიდან საქართველოს სომხეთის საზღვრამდე 18.3კმ. (განმარტებითი ბარათი, ეგხ-სა და დროებითი მისასვლელი გზების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები, საწყისი მონაცემები მიწების გამოყოფის პროექტებისათვის) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 25 ნოემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 103.000 აშშ დოლარი;

III ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 220 კვ. გამოყვანი უჯრედი ქსნის 500 კვ. ქვესადგურის კვ. ღგმ-ზე. (განმარტებითი ბარათი, ანგარიშები, ელექტრული და სამშენებლო ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 30 ნოემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 90.000 აშშ დოლარი;

IV ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 400 კვ. ეგხ საქართველოს სომხეთის საზღვრიდან 330 კვ. ეგხ «ათარბეკიანის»¹⁸⁶ ანძამდე, 42 კმ. (განმარტებითი ბარათი, ეგხ-სა და დროებითი მისასვლელი გზების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები, საწყისი მონაცემები მიწების გამოყოფის პროექტებისათვის) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 10 დეკემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 332.000 აშშ დოლარი;

VII ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 400 კვ. ფართის პროექტი ქსნის 500 კვ. ქვესადგურზე, 500/400 კვ ძალგანი ავტოტრანსფორმატორით, 500 კვ. 180 მვარ რეაქტორის მიერთების შენარჩუნებით 500 კვ. ძაბვაზე. (განმარტებითი ბარათი, ანგარიშები, ელექტრული, სამშენებლო და სანტექნიკური ნაწილების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები,) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 23 დეკემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 265.000 აშშ დოლარი;

VIII ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: მ.შ. დენების, სისტემების პარალელური მუშაობის რეჟიმების, სარელო დაცვის დანაყენების ანგარიშები. დაცვის, მართვის ავტომატიკის, ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის, ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემების, ინფორმაციის გადაცემის საშუალებათა შერჩევა, დაპროექტება დროებითი სქემისათვის, 220 კვ. ძაბვაზე. (განმარტებითი ბარათი, ანგარიშები, ელექტრული, სამშენებლო და სანტექნიკური ნაწილების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 25 დეკემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 151.000 აშშ დოლარი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ 2007 წლის 20 აპრილსა და 16 მაისს მიმართა შპს «...» და აცნობა, რომ მის სასარგებლოდ ერიცხებოდა საჯარიმო სანქციები 31290 აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით ლარებში) ოდენობით. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ¹... წერილით კვლავ მიმართა მოპასუხე შპს «...» და აცნობა, რომ 2006 წლის 16 მაისს გაფორმებული¹... ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო, ამავე ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად, ერიცხებოდა საჯარიმო სანქციები 286 670 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული წერილის ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ჩათვალა, რომ მოპასუხე საზოგადოების მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების¹²ა დანართის I, II, III, IV, VII და VIII ეტაპების შესაბამისად განსაზღვრული მომსახურების შესრულების ვადები. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ შპს «...» უნდა გადაეხადა საჯარიმო სანქცია ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი მომსახურების შესრულების თარიღიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.5% ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია მოპასუხე შპს «...» მიერ 2006 წლის 16 მაისს გაფორმებული¹... ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაგვიანებით შესრულების შესახებ და მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს გადახდა შპს «...» ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0.5% ოდენობით უნდა დაკისრებოდა არა ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი მომსახურების შესრულების თარიღიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღამდე, არამედ ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი მომსახურების შესრულების თარიღიდან შესრულებული სამუშაოს შესახებ წარდგენილი დოკუმენტაციის თარიღამდე პერიოდისათვის.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 65-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და განმარტა, რომ 2006 წლის 16 მაისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს «...» შორის გაფორმებული¹... ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის მიმართაც გამოიყენებოდა ასევე ხელშეკრულების შესახებ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი წარმოადგენდა ნარდობის ხელშეკრულებას და სსკ-ის 629-ე მუხლისა და მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 2.1 პუნქტის თანახმად, შპს «...» ვალდებულია წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის წარედგინა ხელშეკრულების 2ა დანართით განსაზღვრულ ვადაში მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელთა წარდგენიდან 10 დღის ვადაში სამინისტრო, თავის მხრივ, ვალდებული იყო გაეფორმებინა მიღება-ჩაბარების აქტი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს პირგასამტეხლოს გა-

დახდა უნდა დაკისრებოდა მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ხელშეკრულების 2ა დანართით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობისთვის დაგვიანებული დღეების პროპორციულად.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და საქმეში წარმოდგენილი შპს «...» დირექტორის 1..., 1..., 1..., 1..., 1... მიმართვების საფუძველზე მიიჩნია, რომ 2006 წლის 16 მაისს გაფორმებული 169.03.05-8303 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაგვიანებით შესრულების გამო შპს «...» პირგასამტეხლოს სახით უნდა დაკისრებოდა სულ 33 285 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სასარგებლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით როგორც მოსარჩელის – საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, ისე მოპასუხის – შპს «...»-ს მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის სხდომაზე აპელანტებმა დააზუსტეს სააპელაციო მოთხოვნები.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ – 465 664 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, მოპასუხისათვის 2006 წლის 16 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებით შესრულების გამო სანქცია-საურავის სახით 465 664 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში გადახდის დაკისრება მოითხოვა.

შპს «...» თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო უარის თქმა მოითხოვა. მანვე მოითხოვა მოსარჩელე ადმინისტრაციულ ორგანოს დაკისრებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა, შესაბამისად, უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და შპს «...»-ს სააპელაციო საჩივრები და უცვლელად უნდა დარჩენილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა შპს «...» მოსაზრება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ სსსკ-ის 248-ე მუხლის დარღვევით მოსარჩელეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ უთხოვია, ამასთანავე გაიზიარა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მოსაზრება და მიიჩნია, რომ სასამართლო არ გაცდენია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მოპასუხე მხარეს დააკისრა სანქცია-საურავი იმაზე ნაკლები ვიდრე ამას მოსარჩელე მოითხოვდა.

სააპელაციო პალატამ სსსკ-ის 102-ე მუხლსა და სსსკ-ის მე-17 მუხლზე მითითებით მიიჩნია, რომ არც საქმის მასალებით არ დასტურდებოდა და არც მხარეებს არ წარუდგენიათ საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ – საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ გარემოებებზე, არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებებს დაეთანხმა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია და არასწორად განმარტა კანონი. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილა ნაწილობრივ, მოპასუხეს დააკისრა საურავი არა ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი მომსახურების შესრულების თარიღიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღამდე, არამედ შესაბამისი დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარდგენის თარიღამდე. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს ეს დასკვნა უსაფუძველოა, ვინაიდან ეწინააღმდეგება კანონს «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1. პუნქტს. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მითითებას სსკ-ის 649-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ სასამართლო არასწორად განმარტავს მას. ნარდობის ხელშეკრულება თავისი შინაარსით არ ეწინააღმდეგება «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად, სამუშაო მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამ შემთხვევაში «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონი არის სპეციალური კანონი, რომელიც ადგენს სამუშაოს მიღების სპეციალურ წესს და აკონკრეტებს სამართლებრივ ურთიერთობას მხარეთა შორის. აღნიშნულ კანონს საერთო სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა ზოგად ნორმებთან მიმართებით და განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო სპეციალური ნორმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ცნობილ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. 2010 წლის 12 იანვრის საოქმო განჩინებით საქმის განხილვა გადაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-და-საბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 16 მაისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა (შემსყიდველს) და შპს «...» (მიმწოდებელს) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების 4.2-ე პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების პირობებმა, ეტაპებმა და წესმა ასახვა ჰპოვა ხელშეკრულების სვეციფიკურ პირობებში. 2006 წლის 23 ოქტომბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება 2006 წლის 16 მაისის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად, შეიცვალა ხელშეკრულების ფასი, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი მომსახურების მოცულობა და მომსახურების გაწევის გრაფიკი, კერძოდ, ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაო დაიყო რვა ეტაპად და განისაზღვრა თითოეული ეტაპის შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადა და შესრულების ღირებულება ხელშეკრულების 12ა და 13ა დანართების შესაბამისად:

I ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 500 კვ. ეგხ «მუხრანის» რეაბილიტაციის პროექტი ქსნის 500 კვ ქვესადგურიდან 142 ანძამდე 73.9კმ. (განმარტებითი ბარათი, მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვა), აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 10 ნოემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 222.000 აშშ დოლარი;

II ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 400 კვ. ეგხ 500 კვ ეგხ «მუხრანის» 142 ანძიდან საქართველოს სომხეთის საზღვრამდე 18.3კმ. (განმარტებითი ბარათი, ეგხ-სა და დროებითი მისასვლელი გზების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები, საწყისი მონაცემები მიწების გამოყოფის პროექტებისათვის) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 25 ნოემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 103.000 აშშ დოლარი;

III ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 220 კვ. გამომყვანი უჯრედი ქსნის 500 კვ. ქვესადგურის კვ. ღმ-ზე. (განმარტებითი ბარათი, ანგარიშები, ელექტრული და სამშენებლო ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 30 ნოემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 90.000 აშშ დოლარი;

IV ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 400 კვ ეგხ საქართველოს სომხეთის საზღვრიდან 330 კვ. ეგხ «ათარბეკიანის» 186 ანძამდე, 42 კმ. (განმარტებითი ბარათი, ეგხ-სა და დროებითი მისასვლელი გზების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები, საწყისი მონაცემები მიწების გამოყოფის პროექტებისათვის) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 10 დეკემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 332.000 აშშ დოლარი;

VII ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: 400 კვ. ფართის პროექტი ქსნის 500 კვ. ქვესადგურზე, 500/400 კვ ძალოვანი ავტოტრანსფორმატორით, 500 კვ 180 მვარ რეაქტორის მიერთების შენარჩუნებით 500 კვ. ძაბვაზე. (განმარტებითი ბარათი, ანგარიშები, ელექტრული, სამშენებლო და სანტექნიკური ნაწილების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები,) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 23 დეკემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად – 265.000 აშშ დოლარი;

VIII ეტაპზე უნდა შესრულებულიყო: მშ დენების, სისტემების პარალელური მუშაობის რეჟიმების, სარელო დაცვის დანაყენების ანგარიშები. დაცვის, მართვის ავტომატიკის, ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის, ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემების, ინფორმაციის გადაცემის საშუალებათა შერჩევა, დაპროექტება დროებითი სქემისათვის, 220 კვ ძაბვაზე. (განმარტებითი ბარათი, ანგარიშები, ელექტრული, სამშენებლო და სანტექნიკური ნაწილების მუშა ნახაზები, სპეციფიკაციები, ლოკალური და საობიექტო ხარჯთაღრიცხვები) აღნიშნული ეტაპის შესასრულებელი მომსახურების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 25 დეკემბერი, ხოლო მომსახურების ღირებულებად 151.000 აშშ დოლარი.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად, ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა მიმწოდებლის მიერ საქართველო-სომხეთის 330კვ. (400კვ. გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის დაპროექტება ტექნიკური პირობებითა და მომსახურების გრაფიკით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით განისაზღვრა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეთა უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ეტაპის შეს-

რულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5% ოდენობით.

საკასაციო საჩივრის პრეტენზია არ შეეხება სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, თუ როდის იქნა წარდგენილი თითოეული ეტაპის დასრულების ამსახველი დოკუმენტაცია შპს «...» მიერ. ამდენად, საკასაციო პალატა უდავოდ დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ გარემოებას, რომ შპს «...» დირექტორის '1...', '1...', '1...', '1...' და '1...' მიმართვებით შესაბამისი ეტაპების დასრულების ამსახველი დოკუმენტაციის წარდგენა მოხდა ეტაპების მიხედვით, დაგვიანებით. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის საურავის დაკისრებას შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენამდე პერიოდისათვის და თვლის, რომ «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 მუხლიდან გამომდინარე, მოპასუხეს საურავი უნდა დაკისრებოდა ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი მომსახურების შესრულების თარიღიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღამდე.

საკასაციო პალატა ზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მართებულად მიიჩნევს მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის გამოყენებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შპს «...» მხრიდან შესრულებული სამუშაოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით სახეზეა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და ვადაგადაცილებად მიჩნეული უნდა იქნეს დროის მონაკვეთი მხოლოდ ვალდებულების შესასრულებლად დათქმული თარიღიდან დოკუმენტაციის წარდგენამდე. 2006 წლის 16 მაისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა (შემსყიდველს) და შპს «...» (მიმწოდებელს) შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ეტაპის შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5% ოდენობით. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლი ადგენს შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესს. კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმებულიყო წერილობითი ფორმით, ამასთან ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. ამდენად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილე პირთა ორმხრივ ვალდებულებას, კერძოდ, მიმწოდებელის ვალდებულებას – დადგენილ დროს წარედგინა სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო შემსყიდველის ვალდებულებას – დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღის ვადაში მოეხდინა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე. საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ თითოეული ეტაპის დასრულების ამსახველი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება დაყოვნდა შპს «...» ბრალეული ქმედებით, რაც შესაძლოა, გამოხატულიყო ინსპექტირების ჯგუფის მუშაობისათვის ხელშემლით, აღმოჩენილი ხარვეზის გამოუსწორებლობით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას მისი გამოუცხადებლობით და სხვა.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» კანონს სამართლის ზოგად ნორმებთან მიმართებით გააჩნია უპირატესი ძალა. «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის (2006 წლის 16 მაისს მოქმედი რედაქციის) თანახმად, ხელშეკრულების აუცილებელი პირობები განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით. ამ ნორმის საფუძველზე შემუშავებული «სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების» 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში შესატან აუცილებელ ელემენტებსა და პირობებს. კერძოდ, «ე» ქვეპუნქტის თანახმად, მითითებული უნდა იყოს საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი, ხოლო «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, – საქონლის სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» კანონი, ასევე მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტი – დებულება, შემსყიდველის მიერ სამუშაოს მიღების სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლისაგან განსხვავებულ, კონკრეტულ წესს არ ადგენს. აღნიშნული ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები მიუთითებს მხოლოდ მხარეებს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების წესსა და მასში მისათითებელ აუცილებელ ელემენტებზე. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» კანონისა და ხელშეკრულების თანახმად, სამუშაო ან მისი ეტაპი შესრულებულად ითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. როგორც აღინიშნა, «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» კანონი ამგვარ დათქმას არ შეიცავს, ხოლო ხელშეკრულების 8.1 მუხლის მეორე წინადადება, რომელიც ამ წესს ადგენს, განხილულ უნდა იქნეს ხელშეკრულების სხვა მუხლებთან ერთობლიობაში. იმ პირობებში, როდესაც მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოიცავს მხარეთა ორმხრივ ვალდებულებას, ხოლო სამუშაოს შესრულებულად ჩათვლა დამოკიდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან, შესრულებული სამუშაოს მიღების დაყოვნება (ამ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დაყოვნება) ვერ წარმოშობს შემსრულებლის პასუხისმგებლობას სამუშაოს შესრულების ვადის გადაცდენისათვის.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც გამოიწვია ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. შესაბამისად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინება მიღებულია კანონის შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 410-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოს ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

18ს-1840-1794(კ-10)

9 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 3 იანვარს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ი/მ «კ. ბ-შვილის» მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში 2007 წლის 5 მარტს «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩატარდა ტენდერი «ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე» მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით. ბოლნისის, წალკის და გარდაბნის რაიონებში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ი/მ «კ. ბ-შვილი». 2007 წლის 12 მარტს გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ – 179 ხელშეკრულება. 2007 წლის 13 აპრილს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები – დანართი 11-ის სახით, რომელიც ჩაითვალა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ეროვნული სამსახური ვალდებული იყო აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ღირებულება შესყიდვის ობიექტის მომსახურების მიღების შემთხვევაში, ხოლო ი/მ «კ. ბ-შვილი» ვალდებული იყო მომსახურება განეხორციელებინა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით და მომსახურების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპის) დამთავრებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის

შესაბამისი რაიონის მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი მომსახურების გაწევის დამატურებელი დოკუმენტაცია.

მოსარჩელის მტკიცებით, ვაქცინაციის ჩასატარებლად ი/მ «კ. ბ-შვილს» გადაეცა ჯილბის საწინააღმდეგო ვაქცინის – **84350** დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – **17060** დოზა, თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის – **94146** დოზა, **10050** დოზა და **28908** დოზა, საერთო ღირებულებით – **142819.89** ლარი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამსახურში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომსახურების შემოწმების შედეგად, ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჩაითვალა შეუსრულებლად, რის თაობაზეც ეცნობა მას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და მისთვის გადაცემული ვაქცინების ღირებულების გადახდა დაევალა. ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ არ შესრულდა ეროვნული სამსახურის მოთხოვნა. შესაბამისად, მოპასუხემ დაარღვია მოსარჩელესთან დადებული **179** ხელშეკრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა, **179** ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-10 მუხლის თანახმად, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს – **8700** ლარის ოდენობით თანხის დაკისრება, ასევე გადაცემული ვაქცინების დაბრუნება ან ვაქცინების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის – **142819.89** ლარის ოდენობით თანხის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2008** წლის **26** ნოემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი მოპასუხე – ი/მ «კ. ბ-ვილის» მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ზიანის და პირგასამტეხლოს ანაზღაურების თაობაზე, განსახილველად გადაედგინა გარდაზნის რაიონულ სასამართლოს.

2009 წლის **8** მაისს გარდაზნის რაიონულ სასამართლოში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მიუთითა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე. კერძოდ, განმარტა, რომ მხარეთა შორის **2007** წლის **12** მარტის **179** ხელშეკრულება დადებული იყო ურთიერთშეთანხმებით სსკ-ის **328**-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმით, სადაც მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. ი/მ «კ. ბ-შვილმა» იკისრა რა ვალდებულება სრულად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არ შეასრულა იგი ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს, სრულად და ზედმიწევნით. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებლად ჩათვალა ვალდებულების დარღვევის გამო. ეროვნულმა სამსახურმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **394**-ე მუხლის **1**-ელ ნაწილზე და განმარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მას მიადგა ზიანი, რაც წარმოადგენს ი/მ «კ. ბ-შვილისათვის» გადაცემული ვაქცინების ღირებულებას. მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში კი მოსარჩელემ სსკ-ის **416**-ე და **417**-ე მუხლებზე მიუთითა. აღნიშნულიდან გამომდინარე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა მის სასარგებლოდ მოპასუხე – ი/მ «კ. ბ-შვილისათვის» პირგასამტეხლოს სახით – **8700** ლარის და ზიანის სახით – **142819.89** ლარის ოდენობით თანხის დაკისრება მოითხოვა.

გარდაზნის რაიონული სასამართლოს **2009** წლის **4** აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი, მოპასუხის – ი/მ «კ. ბ-შვილის» მიმართ, ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელე **2007** წლის **12** მარტიდან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ი/მ «კ. ბ-შვილს» ვაქცინაციის ჩასატარებლად გადაეცა ჯილბის საწინააღმდეგო ვაქცინის – **84350** დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – **17060** დოზა, თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის – **94146** დოზა, **10050** დოზა და **28908** დოზა, საერთო ღირებულებით – **142819.89** ლარი. მოსარჩელემ აიღო ვალდებულება აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ღირებულება შესყიდვის ობიექტის – მომსახურების მიღების შემთხვევაში. ი/მ «კ. ბ-შვილმა» აიღო ვალდებულება მომსახურება გაეწია შემსყიდველისათვის ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის. ი/მ «კ. ბ-შვილი» ხელშეკრულების საერთო პირობების მე-4 მუხლის და სპეციფიკური პირობების მე-3 მუხლის შესაბამისად, ვალდებული იყო მომსახურება გაეწია მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. მომსახურების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპის) დამთავრებიდან **10** დღის ვადაში წარედგინა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის შესაბამისი რაიონის მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი მომსახურების გაწევის დამატურებელი დოკუმენტაცია. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-2 მუხლის შესაბამისად დადგინდა იქნა, რომ კონტროლს ხელშეკრულების შესრულებაზე, მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელებდა შემსყიდველის მიერ შექ-

მნილი ინსპექტირების ჯგუფი ან ადგილობრივი რაიონული სამმართველო შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. ინსპექტირების ჯგუფის 2007 წლის 19 ივლისის 14 ოქმით დადგინდა ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი, კერძოდ, ოქმში აღინიშნა, რომ ბოლნისის რაიონში ვაქცინაცია და სამუშაოები ჩატარებულია სრულად, რასაც ოქმის მე-2 გვერდზე ხელის მოწერით ადასტურებს ბოლნისის რაიონის სამმართველოს უფროსი გ. თ-ძე. ასევე, ამავე ოქმის მეორე გვერდზე ეროვნული სამსახურის მთავარი სპეციალისტის ლ. პ-შვილმა მიუთითა, რომ წალკის რაიონში ინსპექტირება ჩატარებულია სპეციალისტ ნ. მ-ძესთან ერთად და წარდგენილი სახელობითი სიების და ვაქცინაციის ხარჯვის შესახებ აქტების შედარებისას სრული თანხვედრაა. ამასთან, აღინიშნა, რომ შემოწმებულ იქნა ქ. გარდაბანი და მისი 7 სოფელი (თ., კ., ბ., ვ., ნ., ქ., ლ.). პირუტყვის მფლობელებთან საუბრების შედეგად, რეალურად აცრილი სულადობის რაოდენობა (შემოწმდა სახელობითი სიებში მოცემული სულადობის 10%) და სახელობითი სიებში მოცემული სულადობის რაოდენობა არ შეესაბამებოდა შემოწმებული სულადობის რეალურ რაოდენობას, კერძოდ, სიებში წარმოდგენილი სულადობა 12%-ით აღემატებოდა რეალურად აცრილ სულადობას (გარდაბანი, სოფ. ..., კ., ბ.). ზოგიერთ შემთხვევაში, რეალურად ვერ მოიძებნა სიით წარმოდგენილი სულადობა და მისი მეპატრონე (სოფ. ... 225 სული მსხვილფეხა პირუტყვი).

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ 2007 წლის 24 ივლისის ი/მ «კ. ბ-შვილმა» მოხსენებითი ბარათით მიმართა ეროვნული სამსახურის უფროსს, სადაც განმარტა, რომ 2007 წლის 13 მარტიდან 25 აპრილამდე გარდაბნის რაიონში ჩატარდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი ეტაპი. თურქულის საწინააღმდეგო აო-აზია-1 ტიპის (34-დოზიანი) ვაქცინით აიცრა მსხვილი რქოსანი 38188 სული, წვრილი რქოსანი 43541 სული. თურქულის საწინააღმდეგო აო-აზია-1 ტიპის (34-დოზიანი) ვაქცინით აიცრა მსხვილი რქოსანი 7833 სული, წვრილი რქოსანი 17739 სული, აგრძე გაიხარჯა 16702.5 დოზა, გაუვნებელდა 688.5 დოზა, სულ გაიხარჯა 17391 დოზა, ნაშთი დარჩა 264 დოზა. გარდაბნის რაიონში სულ თურქულის საწინააღმდეგოდ აცრილია მსხვილი რქოსანი 46021 სული, წვრილი რქოსანი 61280 სული, მაშინ როდესაც სატენდერო პირობებისა და შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით გარდაბნის რაიონში თურქულის საწინააღმდეგოდ აცრილი უნდა ყოფილიყო მსხვილი რქოსანი 45807 სული და წვრილი რქოსანი 61085 სული. ამასთან, ი/მ «კ. ბ-შვილის» 2007 წლის 17 აგვისტოს ეროვნული სამსახურის უფროსისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში მითითებულ იქნა, რომ მ/წლის 1 მაისიდან 10 ივნისამდე განდაბნის რაიონში ჩატარდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯილხისა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია და ჯილხის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა მსხვილი რქოსანი 31057 სული, მოზარდი – 2292 სული, სულ – 33349 სული. წვრილი რქოსანი – 41366 სული, მაშინ როდესაც სატენდერო პირობებისა და შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით გარდაბნის რაიონში ჯილხის საწინააღმდეგოდ აცრილი უნდა ყოფილიყო მსხვილი რქოსანი 48607 სული და წვრილი რქოსანი 40454 სული. ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა 3881 ძალლი და 60 კატა, მაშინ როდესაც სატენდერო პირობებისა და შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით გარდაბნის რაიონში ცოფის საწინააღმდეგოდ აცრილი უნდა ყოფილიყო 7650 ძალლი და კატა.

ამასთან, რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ წარდგენილ იქნა სათანადო მტკიცებულება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულთან ერთად შედგენილი აქტების სახით, სადაც დაფიქსირებულია ყველა მესაკუთრის ხელმოწერა და აღიარება იმისა, რომ სახელობითი სიებში დაფიქსირებული გარემოებები შეესაბამება სინამდვილეს, კერძოდ, ინსპექტირების ჯგუფის მიერ თითოეული სულადობის მიხედვით, თუ რამე დარღვევაზე იყო მითითებული ამის თაობაზე დამატებით მოსარჩელესთან წარდგენილია მესაკუთრეების მიერ შედგენილი აქტები, პირუტყვებზეც და ცხოველის ვაქცინაციის ჩატარების თაობაზე.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ საერთოდ არ შესრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურთან დადებული 179 ხელშეკრულება. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია სრულად და განმარტა, რომ 2007 წლის 24 ივლისისა და 2007 წლის 17 აგვისტოს ი/მ «კ. ბ-შვილის» მოხსენებითი ბარათიდან უდავოდ დგინდება, რომ მის მიერ ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, რაც თავის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს სადავოდ არ გაუხდია. ინსპექტირების ჯგუფმა 2007 წლის 19 ივლისის 14 ოქმის დადგენილებების შინაარსი აცნობა ეროვნულ სამსახურს, რაც დასტურდებოდა ინსპექტირების ჯგუფის 2007 წლის 25 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის ასლით. ამის შემდეგ, 2007 წლის 20 ნოემბერს ეროვნული სამსახურის 1... წერილით ი/მ «კ. ბ-შვილს» ეცნობა, რომ სამსახური წყვეტდა ხელშეკრულებას ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და აკისრებდა მას პირგასამტეხლოს – 8700 ლარის ოდენობით, რომელიც შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა ჩარიცხულიყო სახელმწიფო ხაზინაში შემსყიდველის საბანკო ანგარიშზე.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ი/მ «კ. ბ-შვილს» ასევე არ გადაუხდია პირგასამტეხლო – 8700 ლარის ოდენობით, რაც გათვალისწინებული იყო ეროვნულ სამსახურთან დადებული 179 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-10 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა იურიდიული კვალი-ფიკაციის მიხედვით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს და სასკ-ის 25¹ მუხლით გათვალის-წინებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავში-რებული დავების კატეგორიას განეკუთვნება. სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის მიხედ-ვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება – ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამო-სილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამავე კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, ხო-ლო სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებუ-ლება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილად და დადასტურე-ბულად მიიჩნია, რომ ი/მ «კ. ბ-შვილმა» დაარღვია კანონის ეს მოთხოვნა და ნაკისრი ვალდებულება ჯეროვ-ნად არ შეასრულა. ამასთან, სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუკი ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ამავე კოდექსის 352-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახ-მად, თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდება ნატუ-რით, მაგრამ თუ შემწილის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ნატურით დაბრუნება, მაშინ მო-ვალეს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

რაიონულმა სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა გადაცემული ვაქცინების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე და განმარტა, რომ სსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებუ-ლება წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწი-ნებული სხვა საფუძვლებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ვალდებულების, მათ შო-რის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობი-სათვის აუცილებელი იყო მხარეთა შორის შეთანხმება აღნიშნულის თაობაზე.

ამასთან, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 394-ე და 412-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ვალ-დებულების დარღვევისას, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების დარღვევით გამოწ-ვეული ზიანის ანაზღაურება; ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წი-ნასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდიდა მოპასუხის მიერ ვაქცინების მიზნობრივად გამოყენების ფაქტს და მომსახურების გარკვეულ მო-ცულობას შესრულებულადაც მიიჩნევდა, საფუძველს მოკლებული იყო მოსარჩელისათვის ვაქცინების სრუ-ლი ღირებულების დაბრუნების მოთხოვნა. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს ხელშეკ-რულების არაჯეროვანი შესრულების გამო ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფ-ლება ქონდა, მაგრამ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის არსებობის ფაქტი და ოდენობა მოსარჩელემ ვერ დაა-დასტურა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ შეძლო თავისი პოზიციის საფუძვლიანობის დასაბუთება.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ინსპექტირების ჯგუფმა ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ ჩატარებული მომსახურების მოცულობა, მომსახურების მიწოდების ვადები და დოკუმენტაციის წარ-მოება მიიჩნია დარღვეულად და შეაფასა შეუსრულებლად, წარმოადგენდა არა ხელშეკრულების შეუსრუ-ლებლობას, არამედ არაჯეროვან შესრულებას. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 417-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას, რო-მელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს მოთხოვნა, მხოლოდ მაშინ არის საფუძვლიანი, თუ მხარე-ები შეთანხმდნენ მისი გადახდის ვალდებულებაზე. სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ იქნა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მისი შეუსრულებ-ლობისთვის და არა არაჯეროვანი შესრულებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს არ ჰქონდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, ვინაიდან არ დასტურდებოდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი, ხოლო არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე არ შეთანხმებულან.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 377-ე, 393-ე, 394-ე მუხლებსა და 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა ზიანის არსებობის ფაქტი და ოდენობა. ასევე იმას, რომ მას არ გააჩნდა პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის უფლება, ვინაიდან არ დასტურდებოდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი, ხოლო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე არ შეთანხმებულან.

კასატორი აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა ვალდებულებები. კერძოდ, ეროვნულმა სამსახურმა აიღო ვალდებულება აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ღირებულება შესყიდვის ობიექტის – მომსახურების მიღების შემთხვევაში. ი/მ «კ. ბ-შვილმა» აიღო ვალდებულება მომსახურება გაეწია შემსყიდველისათვის ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებით. მხარეთა ვალდებულებები გაწერილ იქნა ხელშეკრულების საერთო პირობებსა და სპეციფიკურ პირობებში პუნქტობრივად.

კასატორის განმარტებით, ეროვნული სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომსახურების შემოწმების შედეგად ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჩაითვალა შეუსრულებლად. ამასთან, ინსპექტირების ჯგუფმა შესრულების კონტროლი განახორციელა შერჩევითი წესით. დოკუმენტალური რევიზიის შედეგად დადგინდა, რომ ი/მ «კ. ბ-შვილს» დარღვეული ჰქონდა დოკუმენტაციის წარმოების წესი, აქტებში მითითებული სულადობა არ ემთხვევა სახელობით სიებში ნაჩვენებ სულადობას. სახელობით სიებს აკლდა პირუტყვის მეპატრონეთა ხელმოწერები, ხშირ შემთხვევაში არ იყო მითითებული აცრილი ცხოველის სახეობა, გადაკეთებული იყო თარიღები. ადგილზე ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ ვაქცინაციის ამსახველ დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები არ ემთხვეოდა რეალურად არსებულ მდგომარეობას. მის მიერ დოკუმენტაციაში ნაჩვენები პირუტყვის სულადობა გაზრდილი იყო, ნაჩვენები იყო ვაქცინის არასწორი ხარჯვა, დარღვეული იყო მომსახურების მიწოდების ვადები ცოფზე, ჯილეხზე და ბრუცელოზზე სისხლის აღებაზე.

კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეუსრულებელია და აღნიშნული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციაში არ არის წარდგენილი. დარღვეულია მომსახურების მოცულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ დარღვეული იყო ხელშეკრულებით აღებული ყველა ვალდებულება, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩაითვალა ვალდებულების შეუსრულებლად.

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 394-ე, 412-ე, 416-ე და 417-ე მუხლები. ასევე, არასწორად მიიჩნია, რომ ეროვნული სამსახური ვერ ადასტურებდა ფაქტობრივად დამდგარ ზიანს. კასატორი განმარტავს, რომ ზიანის ოდენობა გამოხატულია ი/მ «კ. ბ-შვილისათვის» გადაცემული ვაქცინების ღირებულებით. აღნიშნული ვაქცინების შესყიდვა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით, შესაბამისად ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით სახეზეა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ხელშეკრულების შესრულება ჩათვალა არაჯეროვნად, ვერ განსაზღვრა რა ნაწილი ჩაითვალა შესრულებულად და რომელი არაჯეროვნად, მაშინ როდესაც მოსარჩელის მიერ წარდგენილი იყო მტკიცებულებები შეუსრულებელი მომსახურების შესახებ.

ამასთან, კასატორი უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ანალოგიური კატეგორიის საქმეზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ეროვნული სამსახურის მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 17 მარტის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურსა და ი/მ «კ. ბ-შვილს» შორის სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2007 წლის 12 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ი/მ «კ. ბ-შვილს» ვაქცინაციის ჩასატარებლად გადაეცა ჯილუხის საწინააღმდეგო ვაქცინის – 84350 დოზა, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის – 17060 დოზა, თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის – 94146 დოზა, 10050 დოზა და 28908 დოზა, საერთო ღირებულებით – 142819.89 ლარი. ი/მ «კ. ბ-შვილს» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა განეხორციელებინა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. მომსახურების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპის) დამთავრებიდან 10 დღის ვადაში წარედგინა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის შესაბამისი რაიონის მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, ინსპექტირების ჯგუფის 2007 წლის 19 ივლისის 14 ოქმით დადგინდა ი/მ «კ. ბ-შვილს» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით სასამართლოს თავად შეეძლო დაედგინა ზიანის ოდენობა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საკასაციო საჩივარზე, სადაც კასატორმა აღნიშნა, რომ ი/მ «კ. ბ-შვილს» მიერ შესრულებული სამუშაო შემოწმდა შერჩევით და არა სრული მოცულობით. სამუშაოს შერჩევით შემოწმების ფაქტი, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ასევე დაადასტურა კასატორის წარმომადგენელმა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შემსყიდველს გააჩნდა ვალდებულება, შესრულებული სამუშაო შემოწმებინა სრული მოცულობით, რათა დაედგინა თუ რა ოდენობის ვაქცინა იქნა გახარჯული მიზნობრივად, ხოლო რა ოდენობა გაიხარჯა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან ტექნიკური პირობების დარღვევით, რაც იმთავითვე უთანაბრდებოდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას. ამასთან, კასატორი თავად არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ ი/მ «კ. ბ-შვილს» მიერ მოხდა გატანილი ვაქცინების გარკვეული ნაწილის მოხმარება. მათგან შესრულებული სამუშაოს შერჩევით შემოწმებისას აღმოჩენილ იქნა მათ შორის არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალების ანალიზით შეუძლებელია დადგინდეს კონკრეტულად რა ოდენობის ვაქცინის გახარჯვა მოხდა არამიზნობრივად ან რა ოდენობის მიზნობრივი გამოყენება იყო დადასტურებული, ვინაიდან თავად კასატორი ხდის სადავოდ მიმწოდებლის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის სისწორეს და მიიჩნევს ხელშეკრულების პირობის დარღვევად. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ოდენობა, ვინაიდან მოცემული დავის ფარგლებში ფაქტობრივად დამდგარი ზიანი არის ი/მ «კ. ბ-შვილს» მიერ ხელშეკრულების შესაბამისად გატანილი ვაქცინებიდან იმ ნაწილის ღირებულება, რომლის მიზნობრივი ხარჯვა ვერ იქნებოდა დადასტურებული შემოწმების შედეგად და ასევე არ იქნებოდა დაბრუნებული მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მოთხოვნის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა მოთხოვნის ამ ნაწილში ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმი-

ნისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული იყო რა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის შესაბამისი მუხლები. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო შემთხვევაში სასამართლო წარმოებისას, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლებელია იმ ზიანის დადგენა, რაც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით წარმოებული შესასყიდი სამუშაოს წარმოებისას, ვინაიდან თავად მოსარჩელე ადასტურებს, რომ წარმოებული დუკუმენტაციის ის ნაწილი, რომელთა მიხედვითაც შერჩევითი წესით შემოწმდა სამუშაო, არ ასახავდა რეალურად არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, ამ სახით წარმოებული დოკუმენტაციით შეუძლებელია არსებული სურათის დადგენა, თუ რეალურად რა ზიანი განიცადა მოსარჩელემ მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით. მოსარჩელეს თავად გააჩნდა ვალდებულება, რეალურად არსებული მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლით შეექმნა სათანადო მტკიცებულება, რომელთაც საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად მიენიჭებოდა მტკიცებითი ძალა. ამ სახის მტკიცებულებათა საფუძველზე სასამართლოს შესაძლებლობა ექნებოდა ემსჯელა მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობაზე და დაეკმაყოფილებინა ამ სახით დასაბუთებული მოთხოვნა.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას ი/მ «კ. ბ-შვილისათვის» ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის განჩინება ამ ნაწილში და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი მასალების ანალიზი, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შეუძლებელს ხდის დადგინდეს, ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ თუ რა მოცულობით არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-10 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება 8700 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, რომლის გადახდა უნდა მომხდარიყო მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის ან მის მიერ თანხის გადახდის გზით (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში). მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ პირგასამტეხლო გადახდილი არ არის. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალებით შეუძლებელია დადგინდეს იმ სამუშაოს მოცულობა, რომელიც რეალურად შესრულებულ იქნა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე და განმარტავს, რომ პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სასარჩელო მოთხოვნის მიმართ არსებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. სსკ-ის 417-ე მუხლი ადგენს, რომ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მხარეს ეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ამაზე შეთანხმდნენ. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არასრულად შესრულების ფაქტი, რაც შემსყიდველის მოსაზრებით, ხელშეკრულების პირობების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე უთანაბრდება ხელშეკრულების შეუსრულებლობას. მართალია საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ თვლის, რომ პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმება ქმნის მისი მოპასუხისათვის დაკისრების საფუძველს. როგორც უკვე აღინიშნა, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეუძლებელია იმ სამუშაოს მოცულობის დადგენა, თუ რა ოდენობა არ იქნა შესრულებული მიმწოდებლის მიერ. ხელშეკრულების პირობებით ასევე არ არის დაკონკრეტებული თუ რა ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ეკისრება მხარეს ხელშეკრულების ამა თუ იმ მოცულობით შეუსრულებლობისას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა ი/მ «კ. ბ-შვილის» მიერ სამუშაოს ნაწილობრივ შეუსრულებლობის ფაქტი, რომლის ზუსტი მოცულობის დადგენა შეუძლებელია. შესაბამისად, მას უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს ანაზღაურება იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით სრულად – 8700 ლარის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მოთხოვნა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის განჩინება პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის

ნაწილში და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ი/მ «კ. ბ-შვილს» მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს – 8700 ლარის ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 257-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის განჩინება ი/მ «კ. ბ-შვილისათვის» პირგასამტეხლოს – 8700 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ი/მ «კ. ბ-შვილს» საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს – 8700 ლარის გადახდა;

5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯარიმის და პირგასამტეხლოს დაკისრება

განჩინება

1ბს-740-734(2კ-11)

17 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: რ. თ-ი

სარჩელის სახე: სასკ-ის მე-2 მუხლის 1 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 23101.98 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 6930.59 ლარისა და ზიანის სახით – 5813.68 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2005 წლის 7 დეკემბერს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 24 დეკემბრის 1... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. კონტრაქტის 7.1, 7.2, 7.3, 7.4, 8.3 მუხლების საფუძველზე, მას 2006 წლის 30 ნოემბრიდან ეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა სასკ-ის მე-2 და 25¹ მუხლის, სსკ-ის 361.2, 316.1, 317.1, 417-ე, 394.1, 407-ე, 414-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი :

ფაქტობრივი: მოპასუხე რ. თ-მა წერილობითი შესაგებელი არ წარმოადგინა, თუმცა სასამართლო სხდომაზე ნაწილობრივ ცნო სარჩელი. კერძოდ, აღიარა, საკონტრაქტო პირობების დარღვევის ფაქტი, მაგრამ არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში.

საქმის გარემოებები: 2005 წლის 7 დეკემბერს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა კონტრაქტი და მოპასუხე რ. თ-ი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 24 დეკემბრის 1... ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე რ. თ-სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – **23 101.98** ლარისა და ასევე პირგასამტეხლოს სახით – **6 930.59** ლარის გადახდა; სასარჩელო მოთხოვნა ზიანის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2005 წლის 7 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხე რ. თ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 24 დეკემბრის 1... ბრძანებით – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის 4-1 პირად შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ... დივიზიონის ... ბატარეის ... ოცეულის ... რ. თ-ი, დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნის), საქართველოს კანონის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) თანახმად, სამხედრო სამსახურიდან 2006 წლის 30 ნოემბრიდან.

მოპასუხე რ. თ-ს სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის ვადა შეადგენდა 7 თვესა და 23 დღეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის 1... ცნობის შესაბამისად, რ. თ-ი იმყოფებოდა საქვებზე კმაყოფაზე და მასზე დახარჯული საჯარისო სასურსათო ულუფა შეადგენდა – **625,40** ლარს.

სასამართლოს დასკვნები – ჯარიმის და ზიანის საკომპენსაციო თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელი საფუძვლიანია, ხოლო პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სსკ-ის 317 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

მხარეთა შორის გაფორმებული 2005 წლის 7 დეკემბრის კონტრაქტითა და ხელშეკრულების დანართი 11 დამატებითი ხელშეკრულებით დადგენილია, რომ მოსამსახურის ინიციატივით ან ბრალეულობით კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ფულადი თანხები. კერძოდ, მოპასუხესთან დადებული კონტრაქტის 7.3 პუნქტით – იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მათზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად, ხოლო ამავე კონტრაქტის 7.4 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოპასუხეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროს ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის მეორე პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაწყველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდეელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის

საერთო რაოდენობის 30%-მდე. იმ პირებს, რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაეკისრათ პირგასამტეხლოს გადახდა ამ ქვეპუნქტში მითითებულ ოდენობაზე მეტი ოდენობით, დაკისრებული პირგასამტეხლო უმცირდებათ სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდში გაფორმებული მორიგების სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს პირგასამტეხლოს სახით უნდა დაეკისროს – 23101,98 ლარის 30%=6930,59 ლარი.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: რ. თ-ი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება ზიანის დაკისრების თაობაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ პოზიციასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი. სამინისტრო ითხოვს ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე გაწვრთვინებისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროს.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით გადაწყვეტილება მიღებულია სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სასამართლო ვალდებული იყო გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.2, 8.3 მუხლების შინაარსს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე, კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში.

შეგებებული სააპელაციო საჩივარი – რ. თ-ი

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები

ფაქტობრივი: შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ბრძანება მისი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე არ ჩაბარებია, ამასთან, სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2005 წლის 7 დეკემბერს, რ. თ-ი სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს 2006 წლის 30 ნოემბერს, სარჩელი კი მცხეთის რაიონულ სასამართლოში აღძრულია 2009 წლის 4 დეკემბერს.

სამართლებრივი: შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილება მიღებულია სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა. გაურკვეველია გადაწყვეტილების მიღებისას რომელი კანონით იხელმძღვანელა, სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა კანონი ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» მე-16 თავის მე-2 პუნქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით რ. თ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. თ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინებით რ. თ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აპრილის განჩინება და საქმე რ. თ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. თ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც რ. თ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით – 6930,59 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით – 693 ლარის გადახდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი რ. თ-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 6930,59 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; რ. თ-ი გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

აპელაციის მოტივების ნაწილობრივ არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო ნაწილობრივ დაეთანხმა შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის პრეტენზიას და მიიჩნია, რომ მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთან არასწორად დააკისრა მოპასუხეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების არგაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ სსკ-ის 416-ე მუხლის შესაბამისად, პირგასამტეხლო – მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას წარმოადგენს ბესთან და მოვალის გარანტიასთან ერთად, რომელიც მხარეებმა შეიძლება ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ხელშეკრულებითვე დადგენილია ჯარიმის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც მოპასუხეს ეკისრება, თავისი არსით, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენს. პირგასამტეხლოს დაკისრება კი კანონით დადგენილი არ არის.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს რაიონული სასამართლოს განმარტებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეს, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავის მეორე პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით განისაზღვრა ფინანსური პასუხისმგებლობის შემცირება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30%-მდე, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე აღნიშნული ბრძანებულებით ჯარიმასთან ერთად პირგასამტეხლოს უდავოდ დაკისრება კი არა, არამედ უკვე დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება განისაზღვრა 30%-მდე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონზე და მიუთითა, რომ მითითებული კანონის დანაწესიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტთან შედარებით, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მოპასუხე მხარის მიმართ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე არასწორად იმსჯელა ბაჟის საკითხთან დაკავშირებით და «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და სსკ-ის მე-9 მუხლის გაუთვალისწინებლად მოპასუხე რ. თ-ს არამართლზომიერად დააკისრა ბაჟი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა: რაც შეეხება ჯარიმის თანხის დაკისრების მართლზომიერებას, ამ ნაწილში სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ და სამართლებრივ შეფასებას.

კასატორი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
მოწინააღმდეგე მხარე – რ. თ-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსსკ-ის 394 მუხლის «ე» და «ე¹» ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური:

კასატორის აზრით ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-სასამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოვლად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

მეორე კასატორი – რ. თ-ი

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» და «ე¹» ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. თ-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2005 წლის 7 დეკემბერს, 2006 წლის 30 ნოემბერს კი, რ. თ-ი დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო ანუ ამ პერიოდიდან დაირღვა ხელშეკრულება მხარეებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით სწორედ 2006 წლის 30 ნოემბრიდან უნდა დაიწყოს სარჩელით მიმართვის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კი სარჩელით მიმართა 2009 წლის 4 დეკემბერს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

სამართლებრივი: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 128-ე და 129-ე მუხლები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოსაზრებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებად, ხოლო რ. თ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

რ. თ-მა საკასაციო შესაგებელი მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სსსკ-ის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ასკ-ის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით დასაშ-

ვებად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი, ხოლო 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით კი რ. თ-ის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. თ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 7 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. თ-ს შორის გაფორმდა კონტრაქტი და რ. თ-ი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 24 დეკემბრის 13005 ბრძანებით – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის 5-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ... ბრიგადის ... დივიზიონის ... ბატარეის ... ოცეულის ... რ. თ-ი, 2006 წლის 30 ნოემბრიდან დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), საქართველოს კანონის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოდებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, სზაკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

2005 წლის 7 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. თ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 24 დეკემბრის ბრძანების შესაბამისად, რ. თ-ი დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საკასაციო სასამართლო ჯარიმის და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 18ს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს, ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსაღებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან».

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და რ. თ-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – 23101,98 ლარის 30% – 6930,59 ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-41 პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

რ. თ-ის საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რ. თ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და მის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს.

იმავ კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2006 წლის 24 დეკემბრის 1... ბრძანების საფუძველზე რ. თ-ს შეუწყვიტა ხელშეკრულება 2006 წლის 30 ნოემბრიდან. საკასაციო სასამართლოს შეფასებით ხანდაზმულობის ვადის ათვლაც უნდა დაიწყოს მითითებული თარიღიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადებაზე მცხეთის რაიონული სასამართლოს შტამპით დადასტურებულია, რომ სარჩელი სასამართლოში შევიდა 2009 წლის 4 დეკემბერს, ხოლო თანდართული საფოსტო გზავნილით კი დასტურდება, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოსათვის გადასაცემად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონვერტი ფოსტის მიერ მინიჭებული ნომრით 1368 ფოსტაში ჩაბარებული აქვს 2009 წლის 30 ნოემბერს, რაც დასტურდება ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საფელდეგერო განყოფილების კორესპონდენციის შესახებ ამონაწერიტაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 61.1 მუხლით დადგენილია, რომ წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

ამავ კოდექსის 61.3 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთი ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან დაცული აქვს სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, ვინაიდან, რ. თ-ი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია 2006 წლის 30 ნოემბრიდან, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კი სარჩელით სასამართლოს ფოსტის მეშვეობით მიმართა 2009 წლის 30 ნოემბერს ანუ ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის დაცვით, რაც არ იძლევა ამ მოტივით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. თ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1.2, სსსკ-ის 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. თ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლები

განჩინება

18ს-1469-1403(კ-09)

21 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – მ. გ-იანის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მ. გ-იანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 1... ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, 2006 წლის 1 იანვრიდან დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანიტო-უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით საშუალოდ 1400 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება მთელი თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 1000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე – მ. გ-იანი სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 დეკემბრის 1... ბრძანებით 2007 წლის 9 აგვისტოდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხე – მ. გ-იანს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ჯარიმის – 14267,36 ლარის, ზიანის – 9061,31 ლარისა და პირგასამტეხლოს – 14267,3611 ლარის 0,2%-ის ოდენობის ყოველდღიურად გადახდა, 2007 წლის 20 აგვისტოდან ძირითადი თანხის გადახდამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე – მ. გ-იანს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 14 267,36 ლარისა და 14 267,36 ლარის პირგასამტეხლოს 0,2%-ის ოდენობით გადახდა, ყოველდღიურად 2007 წლის 20 აგვისტოდან საჯარიმო თანხის გადახდამდე, ხოლო ზიანის – 9 061,31 ლარის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის ¹ 119 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების» თანახმად თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პრობლემებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად ჯარების მომზადების დონის განსაზღვრა, სამხედრო კადრების მომზადება.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

ამდენად, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამხედრო კადრების მომზადება, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინური, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით, წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო უფლებამოსილებას და მისი უშუალო, პირდაპირი ფუნქციაა ანუ ამ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და მხოლოდ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხების ანაზღაურებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის დადებული შეთანხმება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

სზაკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

სსკ-ის 327.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობებზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის შეთანხმება, სსკ-ის 316-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება.

სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

სსკ-ის 314.1 მუხლის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული ნორმა განმარტავს თუ რა შეიძლება იყოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ზიანი, კერძოდ, იმისათვის რომ კრედიტორმა შეძლოს ზიანის გამოდავა, სახეზე უნდა იყოს რამდენიმე პირობა ერთობლიობაში, 1) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობა და 2) უშუალოდ ასეთი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვს ზიანის სახით მოპასუხის მომზადებაზე დახარჯულ თანხას, რაც შეადგენს 9061.31 ლარს, ფაქტიურად სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე ითხოვს არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის თანხის უკან დაბრუნებას. არსებითია, რომ მოსარჩელე, მ. გ-იანზე ხელფასის სახით გადახდილ თანხას, ერთსა და იმავე დროს განიხილავს სწავლების პერიოდში სწავლებისათვის დახარჯულ თანხად, აგრეთვე ზიანად, რომელიც მან გასწია მოპასუხის მომზადებაზე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხის სასარგებლოდ გადახდილი ხელფასის თანხა წარმოადგენდა ზიანს და მიუთითა, რომ «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 31.1 მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომელიც მოიცავს სავალდებულო ვადიან საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურს. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 1. «ა» მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში ან სამხედრო ძალების რეზერვის თანრიგში.

უდავოა, რომ მ. გ-იანი იმყოფებოდა რა ვადიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში, იმავდროულად წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს ყველა ის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებები, რომელიც შეეხება სამხედრო მოსამსახურეს, პირის სამხედრო სამსახურის გავლას, სამხედრო სამსახურში ყოფნას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11.2 «თ» მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს მოსაზრებით, შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები, რომლის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მისვლის დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანო-

ნით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. იმავე მუხლის მე-12.3 (ძველი რედაქციის) თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო სამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო უზრუნველყოფა და ფორმის ტანსაცმელი, ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე შუალედში მოპასუხე მ. გ-იანი ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, თავდაცვის სამინისტრო, კი იღებდა რა ამ შესრულებას, სპასუხოდ გასცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს, რითაც ახორციელებდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12.1 მუხლით ნაკისრ ვალდებულებას.

სსკ-ის 316.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. იმავე კოდექსის 317.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით. სასამართლოს განმარტებით, 2006 წლის 6 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, მხარეები არ შეთანხმებულან გადახდილი ხელფასის გამო გაწეული ხარჯის ანაზღაურების უკან დაბრუნების ვალდებულებაზე. თავდაცვის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოითხოვოს ისეთი ვალდებულების შესრულება, რაც არ ყოფილა შეთანხმებული ხელშეკრულებით, რაც თავისი არსით კანონსაწინააღმდეგოა. პირიქით, სამინისტრომ აღნიშნული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1.1 პუნქტით იკისრა ვალდებულება, რომ მოპასუხისათვის გადაეხადა ხელფასი და იგი უზრუნველყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით, მათ შორის – ვალდებულებით, გაელო მოპასუხის კმაყოფის ყველა ხარჯი; მოსარჩელემ არ გახადა სადაოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მ. გ-იანმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი შრომითი ვალდებულება, რომ მან (მოპასუხემ) კანონიერი საფუძვლის გარეშე მიიღო შრომითი ანაზღაურება.

სსკ-ის 352-ე მუხლის თანახმად, თუ ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მხარეებს უბრუნდებათ მიღებული შესრულება და სარგებელი. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ითხოვს მეორე მხარისგან სარგებლის დაბრუნებას, იგი ვალდებულია დაუბრუნოს ხელშეკრულების მეორე მხარეს მიღებული შესრულება, თავდაცვის სამინისტრო მიზნად არ ისახავს მიღებული შესრულების მოპასუხე მ. გ-იანისათვის უკან დაბრუნებას, ამასთან მას არ გააჩნია პრეტენზია იმის თობაზე, რომ ანაზღაურებად პერიოდში მოპასუხე მ. გ-იანი არ ასრულებდა ან არაჯეროვნად ასრულებდა მისთვის ხელშეკრულებით დაკისრებულ შრომით მოვალეობას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ხელფასი არ წარმოადგენს არც ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს და არც სამხედრო მოსამსახურის სწავლებაზე გაწეულ ხარჯს.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურეზე გაცემულ ხელფასზე დახარჯული თანხები მიჩნეული ყოფილიყო სწავლებისათვის დახარჯულ თანხად. სამხედრო მოსამსახურის სწავლებისათვის გაწეული ხარჯი, ეს არის ფულადი სახსრები, რომელიც უნდა მოხმარდეს სამხედრო მოსამსახურის ფიზიკური და ინტელექტუალური წვრთნის პროცესში ადამიანური მატერიალური რესურსის გამოყენებას, კერძოდ, ინსტრუქტორების, მასწავლებლების დაქირავებისათვის გაწეული ხარჯი, ვარჯიშის დროს დახარჯული ტყვია-წამლის, ყველა სხვა ხარჯი, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული სამხედრო პირთა სწავლების პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებასთან. მოსარჩელემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მუთითა ისეთი ფაქტობრივი გარემოებანი, როგორცაა ხელფასის ხარჯის გაწევის გარემოება და ხელფასი მიიჩნია სამხედრო სწავლებაზე გაწეულ ხარჯად, რაც სასამართლოს მოსაზრებით არასწორია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილებით მოპასუხე – მ. გ-იანს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 428 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მ. გ-იანმა.

აპელანტი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებას მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 9 061,31 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

აპელანტი – მ. გ-იანი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებას, მოპასუხისათვის 14 267,36 ლარისა და 14 267,36 ლარის პირგასამტეხლოს ყოველდღიური 0,2%-ის ოდენობით 2007 წლის 20 აგვისტოდან საჯარიმო თანხის გადახდამდე პერიოდში დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. აპელანტი ასევე ითხოვდა თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილებით, მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ, გაუქმებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მ. გ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება მ. გ-იანისათვის თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 14 267,36 ლარის დაკისრებისა და 9 061,31 ლარის ანაზღაურების თაობაზე თავდაცვის სამინისტროსათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ მ. გ-იანისათვის 14267,36 ლარის ყოველდღიური 0,2%-ის ოდენობით 2007 წლის 20 აგვისტოდან საჯარიმო თანხის გადახდამდე დაკისრების ნაწილში შეცვლით, ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მ. გ-იანისათვის 14267,36 ლარის ყოველდღიური 0,2%-ის ოდენობით 2007 წლის 20 აგვისტოდან საჯარიმო თანხის გადახდამდე დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა 2009 წლის 10 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილება მ. გ-იანისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით 428 ლარის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს მოსარჩელისათვის ზიანის სახით 9061, 31 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე და ასევე დასაბუთებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება ხელშეკრულებაში დამატების შეტანის თაობაზე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მოპასუხისთვის 14267,36 ლარის დაკისრების შესახებ და მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით და აღნიშნული თანხის ანაზღაურება, მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულებად მიიჩნია.

ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა, მ. გ-იანის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მის მიერ სამხედრო ნაწილის მიტოვება გამოწვეული იყო ავადმყოფობით, რის გამოც ხელშეკრულების 9.1.1. პუნქტის საფუძველზე მას პასუხისმგებლობა არ უნდა დაკისრებოდა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მე-9 მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობის გამო, თუმცა ამავე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება სამინისტროს მიერ სამხედრო მოსამსახურისთვის წინასწარი, ერთი თვით ადრე გადაცემული წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ქონია. ამასთან, ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა კონტრაქტის პირობები, დადასტურებულია თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 დეკემბრის 1... ბრძანებით, რომლის თანახმად, კაპრალი მ. მ. ძე გ-იანი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2007 წლის 9 აგვისტოდან (თავდაცვის სამინისტროს პირადი სიებიდან ამორიცხვით და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო), რომლის კანონიერება მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია და მისი საფუძვლის შეცვლა არ მოუთხოვია. ამას გარდა, საქმეში წარმოდგენილია განაჩენი, რომლითაც დადგენილია, რომ მოპასუხემ თვითნებურად მიატოვა სამხედრო ნაწილი და იმყოფებოდა ხანგრძლივ თვითდათხოვნაში, რითაც მის მიერ ჩადენილი იქნა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ამდენად, არ არსებობს მოპასუხის სააპელაციო საჩივრის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება მოპასუხისთვის 14 267,36 ლარის ყოველდღიური 0,2%-ს დაკისრებას, სააპელაციო პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულებით დამატებითი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა, ისევე როგორც 7.4 პუნქტით გათვალისწინებული ყოველდღიური 0,2%-იანი გადასახდელი, ერთობლიობაში, სამართლებრივი ბუნებით მხარეთა შორის შეთანხმებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

სსკ-ის 418.1-ე მუხლის თანახმად, «ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს». ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, «სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო».

სააპელაციო პალატის მითითებით, გარდა საჯარიმო თანხისა (რომელიც როგორც აღინიშნა სამართლებრივი ბუნებით პირგასამტეხლოს წარმოადგენს), კონტრაქტის 7.4 პუნქტის შესაბამისად, დადგენილ ვადებში ჯარიმის დაფარვის ვადის გადაცილების გამო, განისაზღვრა პირგასამტეხლო 14 267,36 ლარის ყოველდღიური 0,2%-ით, საჯარიმო თანხის გადახდამდე.

სასამართლოს მოსაზრებით, უნდა შემცირდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, როგორც შეუსაბამოდ მაღალი, და მოპასუხეს გადასახდელად დარჩეს მხოლოდ 14267,36 ლარი, არსებული სოციალური მდგომარეობის და მოპასუხის პიროვნების გათვალისწინებით. იგი არ მუშაობს, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი თვითონაა, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, სურვილი აქვს ისევ გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან საკონტრაქტო პირობებით. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით და აღნიშნულის თაობაზე, მხარის მოთხოვნა სავალდებულო არ არის.

ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, კერძოდ, ასკ-ის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სოციალური დაცვის საკითხებიდან გამომდინარე დავებზე. პალატის მოსაზრებით, მხარეთა შორის დავა წარმოშობილია მათ შორის არსებული შრომითი ურთიერთობიდან – ხელშეკრულებიდან, სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ. ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ევროპის სოციალური ქარტიის (რეატიფიცირებულია 2005 წლის 1 ივნისს), მიხედვით დაცულია ადამიანის სოციალური უფლებები. მათ საფუძველს შრომის უფლება წარმოადგენს. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შორის არსებულ შრომითი ურთიერთობიდან, სოციალური დაცვის საკითხიდან გამომდინარე დავას წარმოადგენს და აღნიშნული სახის დავებზე სახელმწიფო ბაჟი არ უნდა იქნეს გადახდილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 6 იანვარს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. გ-იანს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 1... ბრძანებით მ. გ-იანი გაიწვიეს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 1-ელი მსუბუქი ქვეითი ასეულის მე-2 მსუბუქი ქვეითი ოცეულის მე-2 მსუბუქი ქვეითი ათეულის მე-თაურად, სამხედრო წოდების – კაპრალის მინიჭებით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2007 წლის 13 სექტემბრის მე-3 ქვეითი ბრიგადის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის სხდომის 117 ოქმით დადგინდა მ. გ-იანის მიერ სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების ფაქტი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 დეკემბრის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2007 წლის 9 აგვისტოდან მ. გ-იანი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 6 იანვარს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. გ-იანს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული დათქმა ჯარიმის გადახდის შესახებ, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენს. სსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 14267,36 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 14267,3611 ლარის 0.2 პროცენტი უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას ადასტურებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 14267,3611 ლარის 0.2 პროცენტის დაკისრების ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების კანონიერი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება

განჩინება

18ს-155-148(კ-10)

13 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 29 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ს. ზ-მის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 1... ბრძანებით ს. ზ-ძე გაიწვიეს სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, იგი შეიარაღებული ძალების რიგებში ჩაირიცხა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის 1... ბრძანების საფუძველზე, ს. ზ-ძე 2007 წლის 10 მაისიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 16 639.90 ლარის, სანივთე დავალიანების სახით – 418.02 ლარის, ზიანის სახით – 8 148.52 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით – 16 639.90 ლარის 0,2 %-ის ოდენობის თანხის ყოველდღიურად 2007 წლის 21 მაისიდან თანხის სრულად გადახდამდე ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 25 206.44 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს სახით – 16 639.90 ლარის 0.2%-ის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 10 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ზ-ძეს შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც ს. ზ-ძე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა სამხედრო სამსახურში.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 10 მაისს 106670 სამხედრო ნაწილის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით დადგინდა ს. ზ-ძის მიერ სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების ფაქტი და 2007 წლის 18 ივნისს სახმელეთო ჯარების სარდლის შუამდგომლობის საფუძველზე «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2007 წლის 10 მაისიდან ს. ზ-ძე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა და მიუთითა სზაკ-ის 65-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები გამოიყენებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულების არსებობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული საფუძვლებიდან წარმოიშობოდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა სსკ-ის 361-ე მუხლსა და სსსკ-ის 131-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის, ზიანისა და სანივთე დავალიანების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლომ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო იყო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, ხოლო ჯარიმას როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, სამოქალაქო კოდექსი არ ცნობდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული დათქმა ჯარიმის გადახდის შესახებ ვალდებულების შესრულების ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 420-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს შეეძლო შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება და მიიჩნია, რომ ვინაიდან, მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილი იყო უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს სახით – 16 639.90 ლარის ოდენობით, დამატებით 16 639.90 ლარის 0.2 პროცენტი შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას წარმოადგენდა და შესაბამისად, პირგასამტეხლოს ოდენობა 0.2 პროცენტის ნაწილში სასამართლოს მიერ უნდა შემცირებულიყო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ჯარიმის ანაზღაურებას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ითხოვდა. აღნიშნული მოთხოვნის უფლება კი მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარეობდა. კასატორის განმარტებით, ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჯარიმის მოთხოვნის უფლებას ითვალისწინებდა, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტით კი პირგასამტეხლოს მოთხოვნა იყო გარანტირებული, რომლის გადახდაც მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის განჩინებით სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 10 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ზ-ძეს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 1... ბრძანებით ს. ზ-ძე გაიწვიეს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ... ბრიგადის, ... დივიზიონის ... ბატარეის საცეცხლე ოცეულის გათვლის მეთაურ-ოპერატორად, სამხედრო წოდების – კაპრალის მინიჭებით.

საკასაციო სასამართლო დადგინდა, რომ 2007 წლის 10 მაისს 106670 სამხედრო ნაწილის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით დადგინდა ს. ზ-ძის მიერ სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების ფაქტი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2007 წლის 10 მაისიდან ს. ზ-ძე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგინდა, რომ 2006 წლის 10 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ზ-ძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული დათქმა ჯარიმის გადახდის შესახებ, ვალდებულების შესრულების უზრუნველოების ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგულამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 16 639.90 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 16 639.90 ლარის 0.2 პროცენტი უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას ადასტურებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 16 639.90 ლარის 0.2 პროცენტის დაკისრების ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-335-324(23-10)

16 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 17 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ლ. ც-ძის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 7 აპრილს ლ. ც-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და ლ. ც-ძე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 17 ნოემბრის 1... ბრძანებით, 2006 წლის 28 აგვისტოდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ლ. ც-მე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 212 034.94 ლარის, ზიანის სახით – 2182.99 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით – 163.41 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით – 212 034.94 ლარის 0.2%-ის ოდენობის თანხის ყოველდღიურად 2006 წლის 28 ნოემბრიდან თანხის სრულად გადახდამდე ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

2009 წლის 30 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 23 728.4 ლარის, ზიანის სახით – 2460.29 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით – 163.41 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით – 23 728.4 ლარის 0.2%-ის ოდენობის თანხის ყოველდღიურად 2006 წლის 28 ნოემბრიდან თანხის სრულად გადახდამდე ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ლ. ც-მეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ სანივთე ქონების დავალიანების – 163.41 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და ზიანის (კვების ულუფის თანხის ნაწილში) ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა; ლ. ც-მეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 23 728.4 ლარის, ზიანის სახით – 277.3 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით – 23 728.4 ლარის 0.2%-ის ოდენობის თანხის ყოველდღიურად 2006 წლის 28 ნოემბრიდან თანხის სრულად გადახდამდე ანაზღაურება დაეკისრა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 7 აპრილს ლ. ც-მესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და ლ. ც-მე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 17 ნოემბრის 1... ბრძანებით, 2006 წლის 28 აგვისტოდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ლ. ც-მე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ც-მის შრომის ანაზღაურება თვეში 508,89 ლარს შეადგენდა და მას 2006 წლის 7 აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით ხელფასის სახით – 2 182,99 ლარი ჰქონდა მიღებული.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. ც-მეს შორის 2006 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. აღნიშნული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5 000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 3 აპრილის ხელშეკრულებით ცვლილება შევიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 თებერვლის 199 ბრძანებით დამტკიცებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტში, კერძოდ, დასახელებული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ გახდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა «ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომლის დაანგარიშებაც ხდებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად».

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, 2006 წლის 3 აპრილის ცვლილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 თებერვლის 199 ბრძანებით დამტკიცებული 11 და 12 დანართების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და 2005 წლის 1 მარტიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 თებერვლის 199 ბრძანებით დამტკიცებული 11 და 12 დანართებით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ვრცელდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, მხოლოდ ის გარემოება, რომ დანართ ხელშეკრულებაზე 2006 წლის 3 აპრილი, ხოლო ძირითად ხელშეკრულებაზე 2006 წლის 7 აპრილი იყო მითითებული, ლ. ც-ძის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი არ შეიძლება გამხდარიყო, ვინაიდან, სსკ-ის 327-ე და 328-ე მუხლების საფუძველზე მხარეები არსებითად შეთანხმდნენ როგორც ხელშეკრულების ძირითად, ასევე დამატებით პირობებზე, რაც მათ დაადასტურეს ხელმოწერით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მოპასუხისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს თანხების დაკისრების ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო. ასეთი გასამრჯელოს სახით ლ. ც-ძის მიღებული ჰქონდა 2182,99 ლარი. სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, ნამსახურობის პერიოდში მიღებული შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელი იყო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ხელფასის თანხის – 2 182.99 ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლო იყო და მოპასუხეს მხოლოდ – კვების ულუფის თანხის – 277.3 ლარის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ის ფაქტი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან არა ხელფასს, არამედ მის საწვავად დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე დახარჯულ თანხას ითხოვდა.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე უზრუნველყოფდა. კასატორის განმარტებით, მოპასუხის მომზადებასა და წვრთნაზე საბიუჯეტო თანხები უშედეგოდ დაიხარჯა, ხოლო თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე კვლავ გაეწია შესაბამისი ხარჯები.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონით 2005 წელში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 23 000-ით, ხოლო «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 2005 წლის 9 დეკემბრის კანონით 2006 წელში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 28 000-ით.

კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, ლ. ც-ძის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო, «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრისა და 2005 წლის 9 დეკემბრის კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი კონტრაქტის გაფორმება და თანხის ხელახლა დახარჯვა მოუწია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-ძემაც. კასატორმა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის – ლ. ც-ძის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დავის გადაწყვეტისას არ გამოუკვლევიდა თუ რა საფუძველით შეწყდა ხელშეკრულება და იყო თუ არა ხელშეკრულების შეწყვეტა საპატიო მიზეზით გამოწვეული. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ დაუდგენია 2006 წლის 3 აპრილის ხელშეკრულების ცვლილებას წარმოადგენდა 2006 წლის 7 აპრილის ხელშეკრულება თუ პირიქით 2006 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების ცვლილებას 2006 წლის 3 აპრილის ხელშეკრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის განჩინებებით, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ც-ძისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. ც-მის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 1 ივლისს 12:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შემოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ლ. ც-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 7 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. ც-მეს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 მაისის 1... ბრძანებით 2006 წლის 7 აპრილიდან ლ. ც-მე გაიწვიეს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის ... ასეულის ... ოცეულის ... ათეულის ინჟინრად.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 17 ნოემბრის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2006 წლის 28 აგვისტოდან ლ. ც-მე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან. სამხედრო ნაწილი 10144-ის მეთაურისა და საფინანსო სამსახურის უფროსის მიერ 2006 წლის 17 ოქტომბერს გაცემული 1... ცნობის თანახმად, ლ. ც-მის ერთი თვის ხელფასი 508.89 ლარს შეადგენდა, ხოლო 2006 წლის 7 აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით ლ. ც-მეს მიღებული ჰქონდა შრომის ანაზღაურება – 2 182.99 ლარის ოდენობით. საქართველოს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2009 წლის 24 ივლისის 1... მიმართვის თანახმად, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა შეადგენდა 59 ლარს, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იმყოფებოდა საქვაზე კმაყოფაზე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2006 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5 000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 3 აპრილის ხელშეკრულებით ცვლილება შევიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 თებერვლის 199 ბრძანებით დამტკიცებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტში, კერძოდ, დასახელებული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ გახდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა «ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომლის დაანგარიშებაც ხდებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად».

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2006 წლის 3 აპრილის ცვლილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 თებერვლის 199 ბრძანებით დამტკიცებული 11 და 12 დანართების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და 2005 წლის 1 მარტიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 თებერვლის 199 ბრძანებით დამტკიცებული 11 და 12 დანართებით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ვრცელდებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ის გარემოება, რომ დანართ ხელშეკრულებაზე 2006 წლის 3 აპრილი, ხოლო ძირითად ხელშეკრულებაზე 2006 წლის 7 აპრილი არის მითითებული, მხოლოდ ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენს, რაც ლ. ც-მის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად არ შეიძლება იყოს მიჩნეული, ვინაიდან, სსკ-ის 327-ე და 328-ე მუხლების საფუძველზე მხარეები არსებითად შეთანხმდნენ როგორც ხელშეკრულების ძირითად, ასევე დამატებით პირობებზე, რაც მათ დაადასტურეს ხელმოწერით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის

დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და ამ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – ლ. ც-მის მსჯელობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 7 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. ც-მს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 23 728.4 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 23 728.4 ლარის 0.2 პროცენტი უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას ადასტურებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღმატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 23 728.4 ლარის 0.2 პროცენტის დაკისრების ნაწილში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოპასუხისათვის ზიანის საკომპენსაციო თანხის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, მომსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. ასეთი გასამრჯელოს სახით ლ. ც-მს მიღებული აქვს 2182,99 ლარი. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ კასატორი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისათვის ზიანის სახით 2 460.29 ლარის დაკისრებას (ხელფასის სახით გაცემული – 2 182.99 ლარი, კვების ულუფის სახით – 277.3 ლარი) ითხოვს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, ნამსახურობის პერიოდში მიღებული შრომითი გასამრჯე-

ლოს (ხელფასის) უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ხელფასის თანხის – **2 182.99** ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოა, ხოლო კვების ულუფის თანხის – **277.3** ლარის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ლ. ც-ძის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ლ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2009** წლის **29** დეკემბრის გადაწყვეტილება ლ. ც-ძისათვის პირგასამტეხლოს – **23 728.4** ლარის **0.2%** ოდენობის თანხის ყოველდღიურად, **2006** წლის **28** ნოემბრიდან ჯარიმის თანხის სრულად გადახდამდე დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ლ. ც-ძისათვის პირგასამტეხლოს – **23 728.4** ლარის **0.2%** ოდენობის თანხის ყოველდღიურად, **2006** წლის **28** ნოემბრიდან ჯარიმის თანხის სრულად გადახდამდე დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2009** წლის **29** დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1048-1019(2კ-10)

25 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის **17** ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში ზ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით – **17699,76** ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის – **6677,39** ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით სანივთე ცნობაში ჩამოთვლილი ქონების ექვივალენტის ნატურით დაბრუნება, ხოლო პირგასამტეხლოს სახით – **17699,76** ლარის **0,2%**-ის გადახდის დაკისრება **2006** წლის **30** აგვისტოდან ჯარიმის სახით მოთხოვნილი თანხის გადახდამდე შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის მითითებით, ზ. მ-შვილი **2005** წლის **1** მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის **2006** წლის **19** აგვისტოს **11865** ბრძანებით **2006** წლის **1** აგვისტოდან ზ. მ-შვილი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

ზ. მ-შვილი შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან იყო სამხედრო მოსამსახურე. სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას. სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზ-

ღვრავს ხელფასის ოდენობას; კვების, სანივთე უზრუნველყოფის, წვრთნისა და აღჭურვის განსახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინური, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით.

ზ. მ-შვილის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს 1 წელსა და 4 თვეს, მისი ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა **491,66** ლარს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება კონტრაქტის 7.3 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხის მიერ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს **17699,76** ლარს. კონტრაქტის 7.4 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული თანხის დადგენილ ვადაში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მითითებულ თანხას დაერიცხება პირგასამტეხლო **0,25**-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე. მოპასუხეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში, **2006** წლის **30** აგვისტომდე, რაც არ განუხორციელებია. კონტრაქტის 7.4 პუნქტის მიხედვით მან უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო **17699,76** ლარის **0,2%**-ის ოდენობით ყოველდღიურად **2006** წლის **30** აგვისტოდან მოთხოვნილი თანხების გადახდამდე.

მოსარჩელის მითითებით, ზ. მ-შვილის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მოსამსახურესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და მოპასუხეზე დახარჯული თანხის ხელახლა დახარჯვა ახალი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, რაც ჰქონდა მიღწეული მოპასუხეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას. სანივთე უზრუნველყოფის ფარგლებში სამხედრო სამსახურის განმავლობაში მოპასუხეზე გადაცემული ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ მოპასუხეს არ დაუბრუნებია სანივთე ცნობაში ჩამოთვლილი სანივთე ქონების ექვივალენტი ნატურით.

მოსარჩელე თავდაცვის სამინისტრომ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – **19692** ლარის, პირგასამტეხლოს სახით – **19692** ლარის **0,2%**-ის გადახდის დაკისრება ყოველდღიურად **2006** წლის **30** აგვისტოდან მითითებული თანხის გადახდამდე, ზიანის საკომპენსაციო თანხის – **7680,39** ლარის გადახდა და სანივთე ქონების დავალიანების სახით სანივთე ცნობაში ჩამოთვლილი ქონების ექვივალენტის ნატურით დაბრუნება.

თელავის რაიონული სასამართლოს **2009** წლის **9** ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ზ. მ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის – **19692** ლარის, პირგასამტეხლოს – **19692** ლარის **0,2%**-ის გადახდა **2006** წლის **30** აგვისტოდან ყოველდღიურად, მოპასუხეს ასევე დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სანივთე დავალიანების დაბრუნება, ხოლო ზიანის სახით – **7680,39** ლარის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ **2005** წლის **1** მარტის ხელშეკრულების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. მ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება სამხედრო სამსახურის შესახებ. რაიონულმა სასამართლომ სსსკ-ის **135**-ე მუხლის შესაბამისად, მტკიცებულების მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბეჭდით დამოწმებულ კონტრაქტის ასლს.

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **2.1** მუხლის «ზ» ქვეპუნქტით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-**10, 12.1, 65**-ე, სამოქალაქო კოდექსის **316.1, 317.1, 327.1, 361.2, 417**-ე მუხლებით.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხემ არ შეასრულა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც მას უნდა დაეკისროს ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სანივთე დავალიანების არსებობის ფაქტი.

რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლობის მოტივით არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის **992**-ე მუხლით და მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მას მიადგა ზიანი, რომელიც გამოწვეული იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ ზ. მ-შვილისათვის გაცემული ხელფასი და მასზე დახარჯული სხვა თანხები წარმოადგენს ზიანს, რადგან ზ. მ-შვილი ხელფასს იღებდა ყოველთვიურად გაწეული სამსახურისათვის. იგი ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად და იღებდა შესრულებული სამუშაოსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას. სასამართლომ ზიანად არ მიიჩნია ზ. მ-შვილზე სასურსათო ულუფის კომპენსაციის სახით გაცემული თანხა და მის მომზადებაზე დახარჯული ფინანსები იმ მოტივით, რომ კვება და მომზადება მას სჭირდებოდა, რათა შესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები სამხედრო სამსახურის პერიოდში.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ზ. მ-შვილმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

ზ. მ-შვილმა მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

აპელანტის მითითებით, ზ. მ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არ გაუფორმებია კონტრაქტი. საქმეში წარმოდგენილია კონტრაქტის ასლი, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა კონტრაქტის დედანი, შესაბამისად, აპელანტის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამ კონტრაქტზე აფუძნებდა. ზ. მ-შვილი იხდოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ეძლეოდა ხელფასი ყოველთვიურად 7 ლარის ოდენობით. სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნის შვიდი თვის შემდეგ, მოხდა მისი გადაყვანა იმავე ნაწილში სხვა სამსახურზე. მას გადაეცა ხელფასის საბანკო ბარათი, რომელზეც ყოველთვიურად ერიცხებოდა ხელფასი 400 ლარის ოდენობით. ზ. მ-შვილმა იმსახურა 1 წელი და 4 თვე, ამ ხნის მანძილზე მას თავდაცვის სამინისტროსთან არავითარი ხელშეკრულება არ გაუფორმებია და არც ხელი მოუწერია მასზე.

აპელანტის მითითებით, საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულების ასლზე არსებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ზ. მ-შვილს, თავდაცვის სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ხელშეკრულების დედანი, შესაბამისად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა გრაფიკული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

ზ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ ცნო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უსაფუძვლობის მოტივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სააპელაციო საჩივრებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები არ ქმნიან სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ზ. მ-შვილმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

ზ. მ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასამართლოში წარადგინა პატაკით დამოწმებული ასლი, რომელსაც დედნის ტოლფასი ძალა გააჩნია, ხოლო აღნიშნულის გამაბათილებელი მტკიცებულება მოპასუხეს არ წარუდგენია.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი ასკ-ის 34.3 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინება მოპასუხე ზ. მ-შვილისათვის პირგასამტეხლოს სახით 2006 წლის 30 აგვისტოდან ყოველდღიურად 19692 ლარის 0,2%-ის გადახდის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზ. მ-შვილისათვის პირგასამტეხლოს – 19692 ლარის 0.2% ოდენობის თანხის ყოველდღიურად, 2006 წლის 30 აგვისტოდან ჯარიმის თანხის სრულად გადახდამდე დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილ-

დეს; ხოლო დანარჩენ ნაწილში თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში დასაბუთებელია, შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, შესაბამისად, სახეზეა ამ ნაწილში სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლის შესაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 1 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. მ-შვილს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის 1823 ბრძანებით 2005 წლის 1 მარტიდან ზ. მ-შვილი გაიწვიეს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1-ელი ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის II საჰაუბრიცე ბატარეის საცეცხლე ოცეულის III ქვემეხის მძღოლად.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 19 აგვისტოს 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2006 წლის 1 აგვისტოდან ზ. მ-შვილი დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. სამხედრო ნაწილი 106331-ის ფინანსისტის მიერ 2009 წლის 4 ივნისს გაცემული 11021 ცნობის თანახმად, ზ. მ-შვილის ბოლო თვის ხელფასი 491,66 ლარს შეადგენდა, ხოლო სამხედრო ნაწილი 106325-ის მეთაურისა და საფინანსო სამსახურის უფროსის მიერ 2006 წლის 11 აგვისტოს გაცემული 11335 ცნობის თანახმად 2005 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით ზ. მ-შვილს მიღებული ჰქონდა შრომის ანაზღაურება – 6 677,39 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა უსაფუძვლოდ მოტივით ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტის დედნის წარმოდგენლობის გამო მის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შესახებ, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილია 2005 წლის 1 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. მ-შვილს შორის გაფორმებული ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული კონტრაქტის ასლი სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა განმარტავს, რომ სსსკ-ის 135-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე. ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა უშვებს დოკუმენტის დედნის წარუდგენლობის მიუხედავად ასლისათვის მტკიცებულების ძალის მინიჭების შესაძლებლობას, რაც კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული კონტრაქტის ასლი, მას მართებულად მიანიჭეს მტკიცებულების ძალა, შესაბამისად, მართებულად მიიჩნიეს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზ. მ-შვილს მართებულად დაეკისრა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ამავე კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, კერძოდ, 2005 წლის 1 მარტის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემ-

დეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5 000 ლარის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და ამ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულ დასკვნას მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 1 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. მ-შვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგულაციონირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 19692 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 19692 ლარის 0.2% უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას ადასტურებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 19692 ლარის 0.2%-ის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა ასკ-ის 1.2, სსკ-ის 243.2, 372-ე, 399-ე, 408.3, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინება მოპასუხე ზ. მ-შვილისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზ. მ-შვილისათვის პირგასამტეხლოს – 19692 ლარის 0.2%-ის ოდენობის თანხის ყოველდღიურად, 2006 წლის 30 აგვისტოდან ჯარიმის თანხის სრულად გადახდამდე დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

18ს-12-11(კ-11)

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა ხონის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხის – ბ. ფ-ძის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურების დაკისრება, შემდეგი მოტივით:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის ბრძანებით ბ. ფ-ძე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, მოსარჩელემ დაარღვია კონტრაქტის პირობები, მისი სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა ერთ წელს, 7 თვესა და 4 დღეს, ამდენად მოპასუხე ვალდებული იყო აენაზღაურებინა კონტრაქტის 7.3 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული ჯარიმა და 7.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, მაგრამ ჯარიმის 30%-ის ოდენობით, სულ ჯარიმა 15847.8 ლარი, პირგასამტეხლო – 4754.34 ლარი და ზიანი – 10538.98 ლარი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარგებლო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სასკ-ის მე-2 და 25¹, სკ-ის 170-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე, 417-ე მუხლებზე.

ხონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ბ. ფ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 32141,12 ლარის გადახდა; მოპასუხეს – ბ. ფ-ძეს დაეკისრა ბაჟის – 934, 24 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ფ-ძემ, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ბ. ფ-ძისათვის 10 538,98 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზიანის სახით ბ. ფ-ძისათვის 10 538,98 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

2005 წლის 22 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. ფ-მეს შორის დაიდო ხელშეკრულება სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის '... ბრძანებით ბ. ფ-მე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2007 წლის 26 ივლისიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო; ბ. ფ-მის ერთი თვის ხელფასი შეადგენდა 549 ლარს. სულ ხელფასის სახით მიღებული ჰქონდა 9 410,11 ლარი; სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტმა განმარტა, რომ იმყოფებოდა საქვაბე ულუფაზე, თუმცა, ზოგჯერ იყო შემთხვევები, როცა უწევდათ სავიწრო სწავლებაზე გასვლა და შესაბამისად, ვერ იკვებებოდნენ, როგორც საჭირო იყო. საქმეზე წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2010 წლის 21 აპრილის ცნობა, სადაც მითითებულია, რომ საკონტრაქტო მოსამსახურის სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხას დათხოვნის შესაბამის პერიოდში შეადგენდა 59 ლარს, თუ იგი არ იმყოფებოდა საქვაბე ულუფაზე; თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილ იქნა მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის – 15 847.8 ლარის, პირგასამტეხლოს – 4 754.34 ლარის და ზიანის სახით 10 538.98 ლარის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეები ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებულნი იყვნენ მის ყველა არსებით პირობებზე, კერძოდ, მოპასუხეს ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება კეთილსინდისიერად ემსახურა საჯარისო სამსახურში და შეესრულებინა სამხედრო მოსამსახურისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობანი, ხოლო მოსარჩელე მხარეს კი – სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მოპასუხისათვის სათანადო პირობების შექმნის ვალდებულება, ასევე გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების დარღვევისათვის შესაბამისი სანქციები. კონტრაქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდებოდა, შეეწყვიტა ოთხწლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ 2006 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5 000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავი და განმარტა, რომ რაიონული სასამართლოს მიერ სწორად მოხდა მოპასუხისათვის თანხების – ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრება. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია კონტრაქტის დარღვევას. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის '... ბრძანებით, ბ. ფ-მე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2007 წლის 26 ივლისიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, მითითებული ბრძანება კი ბ. ფ-მის მიერ არ გასაჩივრებულა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტი ასკ-ის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე უნდა გათავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ფ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრულია. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კასატორს კონტრაქტი არ დაურღვევია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 თებერვლის განჩინებით ბ. ფ-მის საკასაციო საჩივარი პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბ. ფ-მის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; ამ ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ბ. ფ-მისათვის პირგასამტეხლოს – 4 754.34 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. ფ-მის შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის 7.3. მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით ან მისი გამოისობით სამხედრო სამსახურის დატოვების შემთხვევაში განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურის უპირობო ვალდებულება, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აანაზღაუროს კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რამაც მხარეთათვის უდავო ფაქტის სახით შეადგინა 15847.8 ლარი.

ამავე ხელშეკრულების 7.4 მუხლის მიხედვით, ჯარიმის თანხის დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო ჯარიმის 30%-ის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია კონტრაქტის შეწყვეტის თარიღთან.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის 1... ბრძანება, რომლის მიხედვით, ბ. ფ-მე ჩაითვალა დათხოვნილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან თადარიგში 2007 წლის 26 ივლისიდან (უკანა თარიღით). საქმეში წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმი 12, რომლის მიხედვით 2007 წლის 30 აგვისტოს კომისიამ განიხილა ბ. ფ-მის საკითხი და დაადგინა, რომ აღიძრას შუამდგომლობა ბ. ფ-მის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აქვე აღნიშნულია, რომ ბ. ფ-მის ჩაბარდა გაცნობის ფურცელი და სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, მოუწევდა კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული თანხის გადახდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დენის დაწყება პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შეწყვეტას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა მოხდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც დაცულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თუმცა აღნიშნული ბ. ფ-მის არ ეცნობა, შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო რა მინისტრის ბრძანების ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობის შესახებ სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა, მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის ვადის დარღვევის ფაქტი ვერ იქნება დადგენილი.

ვინაიდან სწორედ ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დარღვევა იწვევს კონტრაქტის 7.4. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, ვალდებულების წარმოშობი იურიდიული ფაქტის დაუდგენლობა, გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო. ამავე კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით, ან წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა. დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების ან კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს. ასევე, პირგასამტეხლოს ამ სახის – ჯარიმის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში გადახდის ვალდებულების გადაცილების შემთხვევაში, გათვალისწინებულია პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე /ხელშეკრულების 7.4.პუნქტი/.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსაღებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ბ. ფ-მის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, ბ. ფ-მეს არ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს – 4 754,34 ლარის გადახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაშვებულ ნაწილში გაუქმების და საკასაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ბ. ფ-მისათვის პირგასამტეხლოს – 4 754.34 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სსსკ-ის 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ბ. ფ-მის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ბ. ფ-მისათვის პირგასამტეხლოს – 4 754.34 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

ზს-1422-1385(23-10)

17 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 3 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – თ. წ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 8 ივლისს თ. წ-შვილსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და თ. წ-შვილი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის 1... ბრძანებით, 2007 წლის 30 მაისიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, თ. წ-შვილი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 14 000 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 4 200 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 10 882.28 ლარისა და სანივთე ქონების დავალიანების სახით – 51.95 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თ. წ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის – 14 000 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების – 51.95 ლარის, პირგასამტეხლოს – 4 200 ლარისა და სწავლებაზე დახარჯული თანხის – 313.95 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოპასუხისათვის ზიანის სახით 10 568.33 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის 1119 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების» თანახმად, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად ჯარების მომზადების დონის განსაზღვრა, სამხედრო კადრების მომზადება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახური წარმოადგენდა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ხოლო ამავე კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობდა. ამდენად, სამხედრო კადრების მომზადება, რათა საქართველოს შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროფესიული, დისციპლინური, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო და პირდაპირ ფუნქციას წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა და მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები გამოიყენებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულების არსებობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული საფუძვლებიდან წარმოიშობოდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეეძლოთ თავისუფლად განესაზღვრათ პირგასამტეხლო. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვდა წერილობით ფორმას. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებით დამტკიცებუ-

ლი «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავით რეგულირდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძვლები და წესი. მითითებული თავის მეორე პუნქტის თანახმად, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდებოდა გადაუხდეელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული იყო მოპასუხე თ. ჭ-შვილის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და აღნიშნულის შედეგად, მისი მხრიდან ჯარიმის, სანივთე ქონების, პირგასამტეხლოს და სწავლებაზე დახარჯული თანხის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის ფაქტი, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, არ არსებობდა მოპასუხისათვის ზიანის სახით – **10 568.33** ლარის დაკისრების საფუძველი, რადგან მითითებული თანხა თ. წ-შვილმა მიიღო შრომის ანაზღაურების – ხელფასის სახით, რომლის გადახდის ვალდებულება თავდაცვის სამინისტროს წარმოემვა როგორც კანონის, ისე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 19 მაისის** გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. წ-შვილმა, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 19 მაისის** გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010 წლის 16 ივლისის** განჩინებით თ. წ-შვილისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 19 მაისის** გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სსსკ-ის **390-ე** მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010 წლის 16 ივლისის** განჩინება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც ამ ნაწილში განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ის ფაქტი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან არა ხელფასს, არამედ მის საწევლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე დახარჯულ თანხას ითხოვდა.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე უზრუნველყოფდა. კასატორის განმარტებით, მოპასუხის მომზადებასა და წვრთნაზე საბიუჯეტო თანხები უშედეგოდ დაიხარჯა, ხოლო თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე კვლავ გაეწია შესაბამისი ხარჯები.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს **2004 წლის 29 დეკემბრის** კანონით **2005 წელში** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა **23 000-ით**, ხოლო «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს **2005 წლის 9 დეკემბრის** კანონით **2006 წელში** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა **28 000-ით**.

კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, თ. წ-შვილის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო, «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს **2004 წლის 29 დეკემბრისა** და **2005 წლის 9 დეკემბრის** კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი კონტრაქტის გაფორმება და თანხის ხელახლა დახარჯვა მოუწია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010 წლის 16 ივლისის** განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. წ-შვილმაც, რომელმაც განჩინების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა,

რომლითაც უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის თანხების დაკისრების ნაწილში.

კასატორი – თ. წ-შვილის განმარტებით, მან თავად დაწერა პატაკი და თხოვნით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დროებით შეწყვეტის თაობაზე, რაც კონტრაქტის პირობების დარღვევად არ შეიძლება ჩათვლილიყო, შესაბამისად, არ არსებობდა მოპასუხისათვის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ნოემბრის განჩინებით, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თ. წ-შვილის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; თ. წ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის განჩინებაზე პირგასამტეხლოს სახით 4 200 ლარის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; თ. წ-შვილის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. წ-შვილის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად, ხოლო თ. წ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივლისის განჩინებაზე პირგასამტეხლოს სახით 4 200 ლარის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 4 200 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 8 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თ. წ-შვილს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2007 წლის 30 მაისიდან თ. წ-შვილი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს I საარტილერიო ბრიგადის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე – თ. წ-შვილს შრომის ანაზღაურების, ხელფასის სახით, მთლიანად ნამსახურებ პერიოდში მიღებული აქვს – 9 571.33 ლარი, კვებაზე დახარჯული თანხა – 997 ლარი, ხოლო სწავლებაზე დახარჯული თანხა – 313.95 ლარი. 106670 სამხედრო ნაწილის 1117106 ცნობის თანახმად, თ. წ-შვილს სანივთე ქონების დავალიანების სახით ერიცხება დავალიანება – 51.95 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – თ. წ-შვილის მსჯელობას, გასაჩივრებული განჩინების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 8 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თ. წ-შვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო

ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგულამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 14 000 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 4 200 ლარი უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას ადასტურებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღმატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 4 200 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივლისის განჩინება თ. წ-შვილისათვის პირგასამტეხლოს სახით 4 200 ლარის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 4 200 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა, რაც სოციალურ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება. ამდენად, სსკ-ის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მხარეები განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. წ-შვილის საკასაციო საჩივარი დაშვებულ – პირგასამტეხლოს თანხის 4 200 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივლისის განჩინება თ. წ-შვილისათვის პირგასამტეხლოს სახით 4 200 ლარის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 4 200 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1478-1440(23-10)

17 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ი. პ-ელის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 30 დეკემბერს ი. პ-ელსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და ი. პ-ელი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 ნოემბრის 1... ბრძანებით, 2006 წლის 1 ნოემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ი. პ-ელი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 18 259.59 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5 477.88 ლარის და ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 4 373.60 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ი. პ-ელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, ჯარიმის – 17 328.96 ლარის, პირგასამტეხლოს – 5 477.88 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ხელფასის სახით საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად. რაიონული სასამართლოს მითითებით, ამავე კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით სამხედრო მოსამსახურის მიერ მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2006 წლის 10 ნოემბრის 1... ბრძანებით ი. პ-ელი კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2006 წლის 1 ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული გარემოება საკონტრაქტო პირობების შესაბამისად მოპასუხის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების საფუძველად მიიჩნია.

სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებში წარმოდგენილ ს/ნ 06411-ის მეთაურისა და ამავე ს/ნ-ის ფინანსისტის ხელმოწერით წვრთნისა და აღჭურვის პროგრამიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშების შესახებ დოკუმენტზე, საიდანაც ჩანს, რომ ი. პ-ელს სულ ასანაზღაურებელი აქვს 17 328.96 ლარის ოდენობის სწავლის პერიოდში მასზე დახარჯული თანხა. ამასთან, სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ კონტრაქტით დადგენილი პირგასამტეხლოს თანხა 5 477.88 ლარს შეადგენდა.

ამასთან, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმ ზიანზე, რაც მას მოპასუხისგან მიადგა. სასამართლომ სსკ-ის 416-ე მუხლზე მიუთითა და განმარტა, რომ მხარეებს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეუძლიათ გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც, კერძოდ პირგასამტეხლო, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს მოვალის მიერ ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებული სავარაუდო ზიანის ოდენობას ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ხელშეკრუ-

ლების დადების დროს ვალდებულების შეუსრულებლობისაგან მიყენებული ზიანი შეფასდა სწორედ პირგა-სამტეხლოს ოდენობით და მასზე მეტი ზიანის ოდენობა მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფი-ლების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. პ-ელმა, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნა-წილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოით-ხოვა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის გა-დაწყვეტილებით ი. პ-ელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის, რომლითაც ი. პ-ელს საქართველოს თავდაცვის სასარგებლოდ ჯარიმის სახით 17 328.96 ლარის გადახდა დაეკისრა, შეცვლით ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გა-დაწყვეტილება; ი. პ-ელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 18 259.59 ლარის გადახდა დაეკისრა; გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ასრულებ-და ნაკისრ ვალდებულებას – მსახურობდა სამხედრო ქვედანაყოფში, რის სანაცვლოდაც იღებდა შესაბამის ანაზღაურებას ხელფასის სახით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 352-ე მუხლზე, რომელიც ით-ვალისწინებს ხელშეკრულების მოშვილს შემთხვევაში, მხარეთა ორმხრივ რესტიტუციას. შესამაბისად, სა-დავო შემთხვევაში სასამართლომ მოსარჩელისათვის ხელფასის დაბრუნება შეუძლებლად მიიჩნია, ვინაი-დან მოპასუხეს გაწეული ჰქონდა სათანადო შრომა. ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლზე მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელი მოპასუხისათვის ზიანის სახით – 4 373.60 ლარის დაკისრების ნაწილში.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტ – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზი-ცია და მიიჩნია, რომ კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ი. პ-ელისათვის ჯარიმის სახით დასაკისრებელი თანხა შეადგენს არა 17 328.96 ლარს, არამედ – 18 259.59 ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის გა-დაწყვეტილება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაა-საჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაი-ზიარა ის ფაქტი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან არა ხელფასს, არამედ მის სა-ნაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე დახარჯულ თანხას ითხოვდა.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთვნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყო-ფილი ასიგნებების ხარჯზე უზრუნველყოფდა. კასატორის განმარტებით, მოპასუხის მომზადებასა და წვრთნაზე საბიუჯეტო თანხები უშედეგოდ დაიხარჯა, ხოლო თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე კვლავ გაეწია შესაბამისი ხარჯები.

კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონით 2005 წელში საქარ-თველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 23 000-ით, ხოლო «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 2005 წლის 9 დეკემბრის კანონით 2006 წელში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 28 000-ით.

კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, ი. პ-ელის საქართველოს შეიარაღე-ბული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო, «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრისა და 2005 წლის 9 დეკემბრის კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, სა-ქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი კონტრაქტის გაფორმება და თანხის ხელახლა დახარჯვა მოუ-წია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის გა-დაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. პ-ელმაც, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-უქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის 185 ბრძანების სა-ფუძველზე დაინიშნა სამინისტროს ... მძღოლად. კასატორი უთითებს, რომ თავდაცვის სამინისტროს მხრი-

დან დაშვებულ იქნა შეცდომა, ვინაიდან იგი იმ პირობებში აიყვანეს მძლოლად, როდესაც მართვის მოწმობა არასდროს ქონია. ამდენად, მართვის მოწმობის არ არსებობის გამო იგი ვერ შეძლებდა კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებას.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად გამოიტანა გადაწყვეტილება და არ დაინტერესებულა შეეძლო თუ არა ი. პ-ელს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებით, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. პ-ელის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ი. პ-ელის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაზე პირგასამტეხლოს სახით 5 477.88 ლარის დაკისრების თაობაზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; ი. პ-ელის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. პ-ელის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან 2011 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო ი. პ-ელის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაზე პირგასამტეხლოს სახით 5 477.88 ლარის დაკისრების თაობაზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულია დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 5 477.88 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 30 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. პ-ელს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 10 ნოემბრის '... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2006 წლის 1 ნოემბრიდან ი. პ-ელი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – ი. პ-ელის მსჯელობას, გასაჩივრებული განჩინების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 30 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. პ-ელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლება – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 18 259.59 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 5 477.88 ლარი უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა შეუსაბამობას ადასტურებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღმატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 5 477.88 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. პ-ელის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება ი. პ-ელისათვის პირგასამტეხლოს სახით 5 477.88 ლარის დაკისრების თაობაზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 5 477.88 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა, რაც სოციალურ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება. ამდენად, სსკ-ის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მხარეები განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ი. პ-ელის საკასაციო საჩივარი დაშვებულ – პირგასამტეხლოს თანხის 5 477.88 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება ი. პ-ელისათვის პირგასამტეხლოს სახით 5 477.88 ლარის დაკისრების თაობაზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, ი. პ-ელისათვის პირგასამტეხლოს სახით – 5 477.88 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-409-406(კ-10)

21 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოსა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრება

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხის – ი. ბ-შვილის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურების დაკისრება, შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელე გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ხოლო 2006 წლის 10 აგვისტოს, მასთან გაფორმდა კონტრაქტი პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით, ი. ბ-შვილი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, ი. ბ-შვილმა დაარღვია კონტრაქტის პირობები, მისი სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა ერთ წელს, 4 თვესა და 1 დღეს, ამდენად მოპასუხე ვალდებული იყო აენაზღაურებინა კონტრაქტის 7.3 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული ჯარიმა და 7.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, მაგრამ ჯარიმის 30%-ის ოდენობით, სულ ჯარიმა 7981,41 ლარი, 5000 ლარი სწავლებაზე დახარჯული თანხა და პირგასამტეხლო 2394,43 ლარი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სასკ-ის მე-2 და 25¹, სსკ-ის 170-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე, 417-ე მუხლებზე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ი. ბ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 7981,41 ლარის გადახდა, ხოლო პირგასამტეხლოს სახით – 2394,43 ლარის გადახდა; მოპასუხეს – ი. ბ-შვილს დაეკისრა ბაჟის – 311,28 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. ბ-შვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სსსკ-ის 390.3 მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, სწორად გამოიყენა სამართლის ნორმა და შესაბამისად არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები. დამატებით სასამართლომ მიუთითა, რომ ი. ბ-შვილს სადავოდ არ გაუხდია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება, რომლითაც იგი ამოირიცხა სამხედრო სამსახურიდან და ჩაირიცხა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, შესაბამისად, რაიონული სასამართლო გადაწყვეტილება იყო კანონშესაბამისი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით გასაჩივრა ი. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრულია. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კასატორს კონტრაქტი არ დაურღვევია, კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ ის გადაიყვანეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში და ამდენად სახეზე იყო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინამძღვრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინებით ი. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი პირგასამტეხლოსა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; ამ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2011 წლის 4 თებერვლის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ი. ბ-შვილისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 2394.43 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. ბ-შვილს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის 7.3. მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით ან მისი გამოისობით სამხედრო სამსახურის დატოვების შემთხვევაში განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურის უპირობო ვალდებულება, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აანაზღაუროს კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რამაც მხარეთათვის უდავო ფაქტის სახით შეადგინა 7981,41 ლარი.

ამავე ხელშეკრულების 7.4 მუხლის მიხედვით, ჯარიმის თანხის დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო ჯარიმის 30%-ის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია კონტრაქტის შეწყვეტის თარიღთან.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 დეკემბრის 1... ბრძანება, რომლის მიხედვით, ი. ბ-შვილი ჩაითვალა ამორიცხულად საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურიდან და ჩარიცხულად სავალდებულო სამხედრო სამსახურში განკუთვნილი ვადის ამოწურვამდე 2007 წლის 29 ოქტომბრიდან.

საქმეში წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმი 156, რომლის მიხედვით კომისიამ განიხილა ი. ბ-შვილის საკითხი და დააადგინა, რომ ი. ბ-შვილი მოიხსნა ყველა კმაყოფიდან 2007 წლის 29 ოქტომბრიდან. საქმის მასალების მიხედვით კომისიის სხდომის ოქმის შესახებ ი. ბ-შვილისათვის ცნობილი არ იყო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სასამართლოების სამართლებრივ შეფასებას, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დენის დაწყება პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შეწყვეტას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა მოხდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც დაცულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თუმცა აღნიშნული ი. ბ-შვილს არ ეცნობა, შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო რა მინისტრის ბრძანების ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობის შესახებ სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა, მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის ვადის დარღვევის ფაქტი ვერ იქნება დადგენილი.

ვინაიდან სწორედ ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დარღვევა იწვევს კონტრაქტის 7.4. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, ვალდებულების წარმოშობი იურიდიული ფაქტის დაუდგენლობა, გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო. ამავე კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით, ან წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა. დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების ან კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს. ასევე, პირგასამტეხლოს ამ სახის – ჯარიმის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში გადახდის ვალდებულების გადაცილების შემთხვევაში, გათვალისწინებულია პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ დაგადაცილებულ დღეზე /ხელშეკრულების 7.4.პუნქტი/.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსაღებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ი. ბ-შვილის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, ა. ბ-შვილს არ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს სახით 2394.43 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს ასევე დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ ი. ბ-შვილისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში უცვლელად დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებზე.

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით შრომითი უფლებები სოციალურ უფლებებსა და თავისუფლებას მიეკუთვნება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე, 32-ე მუხლები (აღნიშნის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები) განსაზღვრულია, რომ შრომა თავისუფალია და სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, საქართველო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს დასაქმებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შრომის უფლება უდავოდ წარმოადგენს ადამიანის სოციალურ უფლებას და მასთან დაკავშირებული სადავო საკითხები სასამართლოთა მიერ განხილულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დავა შეეხება შრომით საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობას, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი. ბ-შვილი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ნაწილშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების დაშვებულ ნაწილში გაუქმების და საკასაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ი. ბ-შვილისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სსსკ-ის 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. ი. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2011 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ი. ბ-შვილისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 2394.43 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. ი. ბ-შვილი გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1868-1821(2კ-10) 20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის – ვ. ი-ის მიმართ და მოითხოვა, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოპასუხისათვის: ჯარიმის სახით – 18171,07 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5451,33 ლარის, ზიანის სახით – 5770,56 ლარისა და სანივთე ქონების დავალიანების სახით – 125,68 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, ვ. ი-ი 2006 წლის 23 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის ბრძანებით 2007 წლის 24 ივლისიდან ვ. ი-ი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

ვ. ი-ის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს 11 თვესა და 1 დღეს, მისი ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 491,11 ლარს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება კონტრაქტის 7.3 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

მოსარჩელის მითითებით, ვ. ი-ი კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების შესაბამისად, ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, ვინაიდან, ვ. ი-ის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მოსამსახურესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება

და მოპასუხეზე დახარჯული თანხის ხელახლა დახარჯვა ახალი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, რაც ჰქონდა მიღწეული მოპასუხეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას. სანივთე უზრუნველყოფის ფარგლებში სამხედრო სამსახურის განმავლობაში მოპასუხეზე გადაცემული ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ მოპასუხეს არ დაუბრუნდება სანივთე ცნობაში ჩამოთვლილი სანივთე ქონება, რაც შეადგენს **125,68** ლარს.

მოპასუხე ვ. ი-მა შესაგებლით სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს, ვ. ი-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – **18171,07** ლარის, პირგასამტეხლოს სახით – **5451,33** ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით – **125,68** ლარისა და ზიანის სახით – **279,45** ლარის ანაზღაურება, ხოლო ზიანის სახით – **5491,11** ლარის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა ზაკ-ის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-10, 12.1, 65-ე, სამოქალაქო კოდექსის 316.1, 317.1, 327.1, 361.2, 417-ე მუხლებით.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ვ. ი-მა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევით იძულებული გახადა თავდაცვის სამინისტრო შეეწყვიტა მასთან გაფორმებული კონტრაქტი. მოპასუხესთან დადებული კონტრაქტის 7.3 მუხლით, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გამხდარიყო, შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში, ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები. კონტრაქტზე თანდართულ ხელშეკრულებაში დამატების შეტანის თაობაზე **2005** წლის **12** დეკემბრის **31** დანართის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, «ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ **14 000** ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად». მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ი-ს შორის დაიდო **2006** წლის **23** აგვისტოს, ხოლო ვ. ი-ი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა თავდაცვის მინისტრის **2007** წლის **10** სექტემბრის ბრძანების საფუძველზე.

სსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, «პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის».

კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3. და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო **0,2%**-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის **1609** ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველეად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძველები და წესი) II პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით «თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველეად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის **30%**-მდე».

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხემ არ შეასრულა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც მას უნდა დაეკისროს ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სანივთე დავალიანების არსებობის ფაქტიც.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების სახით მომზადების პერიოდში მასზე დახარჯული თანხის – **5770,56** ლარის დაკისრების შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით, რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ელი ნაწილით, რომლის შესაბამისად, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოპასუხე ვ. ი-ის მომზადებაზე დახარჯული იქნა **5770,56** ლარი, თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილი ცნობებით დადგენილია, რომ ვ. ი-ს მსახურობის პერიოდში მიღებული აქვს ხელფასის სახით სულ – **5 491,11** ლარი.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ ვ. ი-ისათვის გაცემული ხელფასი და მასზე დახარჯული სხვა თანხები წარმოადგენს ზიანს, რადგან მოსარჩელეს არ წარმოუდგენია აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ვ. ი-ი, კი ხელფასს იღებდა ყოველთვიურად გაწეული სამსახურისათვის. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, «მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)», კონკრეტულ შემთხვევაში კი, II ქვეითი ბრიგადის საფინანსო სამსახურის 2010 წლის 25 აპრილის ცნობის თანახმად ვ. ი-ის სწავლებაზე დახარჯული თანხა შეადგენს 279,45 ლარს, ხოლო ხელფასის სახით აღებული თანხა არის 5 491,11 ლარი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტმა მოითხოვა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ვ. ი-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ვ. ი-ისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა კონტრაქტის 7.3 და 7.4 მუხლები, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» და «გ» ქვეპუნქტები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ სსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს და თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ანაზღაურებას კი ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის მხრიდან მიყენებულ ზიანს ნაწილობრივ უწოდებს იმ ხარჯს, რაც ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე იქნა გაწეული და ამ თანხას განსაზღვრავს ვ. ი-ის ხელფასის სახით გადახდილი თანხით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კონტრაქტის 4.1 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დადგენილი ხელფასის სახით. ამავე კონტრაქტის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, სამინისტრო ვალდებულია: «სამხედრო მოსამსახურეს» გადაუხადოს 4.1 მუხლში აღნიშნული ხელფასი.

პალატის მითითებით, უდავოა, რომ სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოფილია სათანადო ანაზღაურებით ანუ ხელფასით. ამდენად, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიცია, რომ მას ზიანი მიადგა სამხედრო მოსამსახურეზე კონტრაქტით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების (ხელფასის) სახით თანხის გაცემით, ასევე უსაფუძვლოა ვ. ი-ის სააპელაციო პრეტენზია ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რამდენადაც სამხედრო მოსამსახურემ დაარღვია კონტრაქტის პირობები.

ხოლო ხელშეკრულების (კონტრაქტი) 7.3 მუხლით, კი თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობას იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით, აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები შემდეგი წესით: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. შესაბამისად, სსკ-ის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეუძლიათ ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც, მათ შორის პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მხარემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. იმავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად კი,

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღმატებოდეს შესაძლო ზიანს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების 7.3 მუხლი – მოპასუხის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულება, რომლის შემთხვევაშიც სამხედრო მოსამსახურე ვალდებული ხდება გადაიხადოს კონტრაქტით დარჩენილ ვადაში მოსამსახურისათვის გასაცემი ფულადი თანხა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ვ. ი-მაც, რომელიც საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილის გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი, კერძოდ: 2006 წლის 23 აგვისტოს მასსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 1 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 1 მარტის განჩინებით ვ. ი-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი ასკ-ის 34.3 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვ. ი-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინება მოპასუხე ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმის – 18171.07 ლარის 30%-ის – 5451,33 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 5451,33 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, დანარჩენ ნაწილში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში დასაბუთებელია, შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამიობის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, შესაბამისად, სახეზეა ამ ნაწილში სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლის შესაბამისად განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2006 წლის 23 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ი-ს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება, 2006 წელს გაიწვიეს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა საინჟინრო-მესანგრეთა ასეულის საინჟინრო-მესანგრეთა II ოცეულის I ათეულის მესანგრედ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2007 წლის 24 ივლისიდან ვ. ი-ი დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. სახმელეთო ჯარების სახელობის II ქვეით ბრიგადის 2010 წლის 25 აპრილის ცნობის შესაბამისად, ვ. ი-ის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 491,11 ლარს, ხოლო ამავე ცნობის თანახმად მთლიანად ნამსახურობის პერიოდში ხელზე გაცემულმა ხელფასმა შეადგინა 5491,11 ლარი.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოპასუხე – ვ. ი-ისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიაჩნია, რომ ვ. ი-ის მართებულად დაეკისრა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ამავე კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, 2006 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, ასეთ შემთხვევაში. სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულებ

ბის 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთ წლამდე და 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; 2) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით. გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა, რომ სასამართლოს ჯარიმის სახით უნდა დაეკისრებინა 14000 ლარი, როგორც ეს კონტრაქტში იყო მითითებული და არა 18171.07 ლარი, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა 7.3 «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ფულადი თანხა საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადგენილია, რომ კონტრაქტით დარჩენილი 3 წლისა და 30 დღის ფულადი თანხა შეადგენდა 18171.07 ლარს, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და ამ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულ დასკვნას მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 23 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ი-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო ჯარიმის და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 'ბს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-შვილის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: განმარტავს, რომ «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) **10** დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის **420**-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.»

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ვ. ი-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის **7.3** პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – **18171,07** ლარის **30%** – **5451.33** ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს **2011** წლის **5** დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის **1998** წლის **26** ოქტომბრის **1609** ბრძანებულების **XVI** თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის **4¹** პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ი-ის საკასაციო საჩივარი პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე საფუძვლიანია, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ხოლო, რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ვ. ი-ისთვის სახელმწიფო ბაჟის – **720** ლარის დაკისრების ნაწილში, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იგი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე მას სააპელაციო სასამართლოსათვის არ მიუმართავს და სსკ-ის **406**-ე მუხლიდან გამომდინარე, ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა **2006** წლის **23** აგვისტოს კონტრაქტის ბათილად ცნობის თაობაზე, ვინაიდან არც აღნიშნულ საკითხზე არ წარუდგენია შესაბამისი მოთხოვნა კასატორს რაიონულ და სააპელაციო სასამართლებში და შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით არ მოუხდენია მისი უფლების რეალიზაცია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა ასკ-ის **1.2**, სსსკ-ის **243.2-ე**, **399-ე**, **408.3**, **410-ე**, **411-ე** მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ი-ის წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010** წლის **29** ოქტომბრის განჩინება მოპასუხე ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს – **18171,07** ოდენობის თანხის **30%**-ის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **2010** წლის **25** აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

განჩინება

18ს-800-794(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: ა. ტ-ე

სარჩელის სახე: ასკ-ის მე-2 მუხლის 1 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 25392 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 7617.6 ლარისა და ზიანის სახით – 1262.98 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2007 წლის 13 სექტემბერს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 10 მარტის 1... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2007 წლის 15 ნოემბრიდან.

კონტრაქტის საფუძველზე ფაქტობრივად ნამსახურევი ვადა შეადგენს 2 თვესა და 3 დღეს, დარჩენილი – 3 წელს, 9 თვესა და 30 დღეს, რის გამოც მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტის 7.3 «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრული ჯარიმა და 7.4 პუნქტით გათვალსწინებული პირგასამტეხლო ჯარიმის 30%-ის ოდენობით.

... ქვებრიგადის მიერ 2010 წლის 19 სექტემბერს გაცემული 1... წერილით დასტურდება, რომ ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 552 ლარს, შესაბამისად, კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის თანხა – 25392 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო ამ თანხის 30% – 7617.6 ლარი.

კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების საფუძველზე მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

... ქვებრიგადის მიერ 2010 წლის 19 სექტემბერს გაცემული 1... წერილით დასტურდება, რომ ზიანის საკომპენსაციო თანხა შეადგენდა 1262.98 ლარს.

სამართლებრივი: მოსარჩელის მტკიცებით მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოს ასკ-ის მე-2 მუხლის, 25¹ მუხლის, სსკ-ის 361.2, 316.1, 317.1, 394.1, 407-ე, 417-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ა. ტ-ემ წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი, არ ცნო სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ იგი ასეულის თანხმობის საფუძველზე წამოვიდა სახლში, ხოლო შემდეგ დანაშაული ჩაიდინა, დააკავეს და ამის გამო ვედარ მოახერხა სამხედრო ნაწილში გამოცხადება.

საქმის გარემოებები: 2007 წლის 13 სექტემბერს გაფორმდა 4-წლიანი ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ტ-ეს შორის და იგი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 10 მარტის 1... ბრძანებით მოპასუხე ა. ტ-ე დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2007 წლის 15 ნოემბრიდან.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ა. ტ-ეს მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა ჯარიმის სახით – 25336.80 ლარის გადახდა; ხოლო სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2007 წლის 13 სექტემბერს გაფორმდა 4-წლიანი ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ტ-ეს შორის და იგი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

სამხედრო ნაწილის სამანდატო კომისიის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით აღიძრა შუამდგომლობა მეთაურთა წინაშე ა. ტ-ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 10 მარტის 1... ბრძანებით მოპასუხე ა. ტ-ე დაითხოვა შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2007 წლის 15 ნოემბრიდან.

აღნიშნული ბრძანება, ასევე ხელშეკრულება არ გასაჩივრებულა.

ა. ტ-ემ სამხედრო სამსახურში იმსახურა 2 თვე და 3 დღე, ხოლო დარჩენილი ვადა შეადგენს 3 წელს, 9 თვესა და 27 დღეს.

სამხედრო სამსახურის პერიოდში ა. ტ-ეს ხელფასის სახით მთლიანად მიღებული აქვს – 1262.98 ლარი, ხოლო დათხოვნისას მისი ერთი თვის ხელფასი შეადგენდა 552 ლარს.

ა. ტ-ე 2007 წლის 15 ნოემბერს დააკავეს დანაშაულის ჩადენის გამო.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადაო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება. მოპასუხე მხარემ სადაო გახადა პატივსაღები მიზეზი, რის გამოც ვერ მოახერხა სამხედრო სამსახურში გამოცხადება.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლო გაეცნო რა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმის თაობაზე, რომ მისი სამსახურში გამოუცხადებლობა გამოწვეულია დაკავებით, რის გამოც არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს პასუხისმგებლობა ეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი შექმნის პირობებს, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს კონტრაქტი. სასამართლომ მოპასუხის დაკავება სწორედ ამგვარ პირობად შეაფასა.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სასამართლოს მითითებით, სზაკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით მინიჭებული აქვს, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით, რა დროსაც გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

სსკ-ის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავ კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით შეწყვეტს კონტრაქტს ან შექმნის პირობებს, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს ქვემოთ მოცემული თანხები შემდეგი წესით: ა) ერთ წლამდე და 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მოცემული დებულებები ა. ტ-ისათვის ფინანსური პასუხისმგებლობის – ჯარიმის დაკისრების საფუძველია. მისი ბოლო თვის ხელფასი იყო 552 ლარი, ხოლო მომდევნო სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასი იქნება 552X45.9=25336.8 ლარი.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

კონტრაქტის 7.4. პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3. და 7.4. მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადაში (ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში) დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დარღვევა იწვევს კონტრაქტის 7.4. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, ხოლო მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება თუ როდის ჩაბარდა მოპასუხეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, რომლითაც მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა, სახეზეა იურიდიული ფაქტის დაუდგენლობა, რაც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, დადგენილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულებით დამატებითი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო ერთდროულად არის, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია: 1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისაკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის მოლოდინის გამოისობით; 2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება პირგასამტეხლოს ორი ფორმა: ჯარიმა და საურავი.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს უფლება აქვს შეამცროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია და უნდა შემცირდეს, კერძოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მხოლოდ ჯარიმის გადახდა, ხოლო კონტრაქტის 7.4. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებაზე მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ 1262.98 ლარი არის სამინისტროს მიერ ხელფასის სახით მიცემული თანხა.

სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას. ა. ტ-ის მიღებული აქვს იმის შესაბამისი გასამრჯელო, რა დროის განმავლობაშიც მსახურობდა.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე პუნქტით და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის შრომის უფლება – უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს. მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოა.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: ა. ტ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით სასამართლომ არასწორად შეაფასა სარჩელში მოყვანილი გარემოებები. თავდაცვის სამინისტრო ითხოვდა 8.2, 8.3 მუხლების საფუძველზე ზიანის ანაზღაურებას. სამინისტრო ითხოვს ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე გაწვრთნისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროს.

სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა პირგასამტეხლოს თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილშიც, იმ საფუძველით, რომ არ არსებობს მოპასუხე – ა. ტ-ეზე თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 10 მარტის 1... ბრძანების ჩაბარების დამადასტურებელი საბუთი. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირგასამტეხლოს მოთხოვნა უშუალოდ გამომდინარეობს კონტრაქტის 7.3, 7.4 მუხლებიდან.

აპელანტი არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ა. ტ-ეს სამხედრო სამსახურში კიდევ უნდა ემსახურა 3 წელი, 9 თვე და 27 დღე, ვინაიდან აპელანტის მითითებით, 2007 წლის 15 ნოემბრიდან 2011 წლის 13 სექტემბრამდე არის 1399 დღე და სარჩელში სამინისტროს მიერ სწორად იყო დაანგარიშებული ჯარიმის თანხა.

სამართლებრივი: მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებითად შეთანხმდნენ სსკ-ის 418-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

კანონისმიერი მტკიცებულებები თავისი შინაარსით უტოლდებიან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ხოლო თვით სამინისტრო განთავისუფლებულია ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისაგან სსკ-ის 106-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოწინააღმდეგის შეპასუხება:

მოტივები: ფაქტობრივი: მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენია, თუმცა სასამართლოს სხდომაზე სააპელაციო საჩივარი არ ცნო და განმარტა, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

უცვლელად დარჩა ხაშურის რაონული სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ რაიონულმა სასამართლომ არასწორად დაიანგარიშა ჯარიმის თანხა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ა. ტ-ის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 552 ლარს, ამიტომ მისი მომდევნო სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასი შეადგენს $552 \times 45.9 = 25336.8$ ლარს. რაიონულმა სასამართლომ სწორად დაიანგარიშა ჯარიმის ოდენობა, რაც ა. ტ-ეს სადავოდ არ გაუხდია და არ გაუსაჩივრებია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასევე უსაფუძველოა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მსჯელობა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ 2007 წლის 13 სექტემბერს მოდავე მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა პირგასამტეხლოს ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ხელშეკრულებითვე დადგენილი ჯარიმის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც მოპასუხეს ეკისრება, თავისი არსით, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით. დამატებით **7617.6** ლარი უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას ადასტურებს.

მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც რაიონული სასამართლო უფლებამოსილი იყო შეემცირებინა იგი გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – **7617.6** ლარის ნაწილში.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მოპასუხისათვის ზიანის სახით **1262.98** ლარის დაკისრების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ითხოვს ზიანის სახით იმ თანხის გადახდას, რომელსაც ა. ტ-ე მუშაობის დროს იღებდა ხელფასის სახით. სასკ-ის მე-17 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოსარჩელეს ევალებოდა დაესაბუთებინა მოპასუხის მხრიდან მისთვის მიყენებული ზიანი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. სასკ-ის **992**-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სასამართლოს მოსაზრებით, იმისათვის რომ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უნდა არსებობდეს **4** პირობა კუმულაციურად: **1.** უნდა არსებობდეს ზიანი; **2.** ზიანი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო; **3.** უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; **4.** ზიანის მიმყენებელს ბრალი უნდა მიუძღოდეს ზიანის მიყენების ფაქტში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ წარადგინა რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ა. ტ-ემ თავდაცვის სამინისტროს რაიმე ზიანი მიაყენა. კონტრაქტის პირობების დარღვევა თავისთავად ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც ზიანის მიყენების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო აქტები ავალდებულებს დამსაქმებელს დასაქმებულს აუნაზღაუროს ხელფასი. კერძოდ, «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის I ნაწილის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით. ამავე პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ თითოეულს ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, სამართლიანი ხელფასი. «ევროპის სოციალური ქარტიის» მე-4 მუხლი ეხება შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებას, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების მხარეები აღიარებენ მუშაკთა მიერ ისეთი ანაზღაურების მიღების უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს მათი ცხოვრების ღირსეულ დონეს. «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის» **23**-ე მუხლის მიხედვით, ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თავად მისთვის და მისი ოჯახისათვის. საქართველოს კონსტიტუციის **30**-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით დაცულია მოქალაქეთა შრომითი უფლებები და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურება. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის **37**-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო.

სააპელაციო პალატის მსჯელობით, შესრულებული სამუშაოსათვის მოსამსახურის მიერ კანონით დადგენილი წესით მიღებული ხელფასის უკან დაბრუნების მოთხოვნა იქნებოდა, როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების უხეში დარღვევა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები.

კასატორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: ა. ტ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ა. ტ-ისათვის ჯარიმისა (**55,20** ლარის) და პირგასამტეხლოს (**7617,60** ლარის) დაკისრების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი:

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» და «ე1» ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის მითითებით, დადგენილია, რომ მოწინააღმდეგე მხარის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 552 ლარს, ხოლო ა. ტ-ეს სამსახურის ვადა დარჩენილი ჰქონდა 3 წელი, 9 თვე და 30 დღე. შესაბამისად, მითითებული ვადა გამრავლებული 552 ლარზე არის 25392 ლარი და არა 25336.80 ლარი, როგორც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია.

კასატორის აზრით ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოვლად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

აპელანტის განმარტებით, ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში.

თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს ფიქსირებული პირგასამტეხლო საჯარიმო თანხის 30%-ის ოდენობით, რასაც არ შეიძლება ეწოდოს შეუსაბამოდ მაღალი. ხელშეკრულების 7.4 მუხლით გათვალისწინებული განგრძობადი პირგასამტეხლო საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულებითვე იქნა ფიქსირებულ თანხამდე შემცირებული. სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აყენებს მხარეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო.

კასატორის მითითებით გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სსსკ-ის 393.2, 393.3, მუხლების საფუძველზე, რადგან გადაწყვეტილება მიღებულია სსსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ასკ-ის 34.3 მუხლის „ა« და „გ« ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით დასაშვებად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2007 წლის 13 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ტ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 10 მარტის 1... ბრძანების შესაბამისად, ა. ტ-ე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ჯარიმისა და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 18ს-1580-1509(კ-09) სა-

ქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს, ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არა მარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან».

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ა. ტ-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – 25392 ლარის 30% – 7617,6 რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ტ-ეს შორის გაფორმებული კონტრაქტის 7.3 მუხლი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, ასეთ შემთხვევაში. სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთ წლამდე და 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; 2) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით. გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადგენილია, რომ კონტრაქტით დარჩენილი ვადა შეადგენს 3 წელს, 9 თვესა და 30 დღეს, ხოლო მოსამსახურის ხელფასი – 552 ლარს, ანუ ჯარიმის თანხა შეადგენდა $45.9 \times 552 = 25336,8$ ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1.2, სსსკ-ის 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინება (სასამართლო სხდომის ოქმი);
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

განჩინება

18ს-735-729(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: გ. კ-ე

სარჩელის სახე: სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 19692 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 19692 ლარის 0,2% ის ოდენობა 2006 წლის 7 ოქტომბრიდან ჯარიმის თანხის გადახდამდე, ზიანის სახით – 1970.58 ლარის დაკისრება და სანივთე ქონების დავალიანების სახით სანივთე ატესტატში ჩამონათვალი სანივთე ქონების ექვივალენტი ნატურით.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2005 წლის 3 ნოემბერს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 სექტემბრის 1... ბრძანებით მოპასუხე

გ. კ-ე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2006 წლის 21 აგვისტოდან.

კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად და ამასთანავე პირგასამტეხლო 0.2 % ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 7.4 პუნქტის შესაბამისად.

კონტრაქტის 8.3 პუნქტის საფუძველზე მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დახარჯული თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

სანივთე უზრუნველყოფის ფარგლებში სამხედრო სამსახურის განმავლობაში მოპასუხეზე გაცემული ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ მოპასუხეს არ დაუბრუნდება სანივთე ატესტატში ჩამონათვალი სანივთე ქონების ექვივალენტი ნატურით.

სამართლებრივი: მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა სასკ-ის მე-2 მუხლის, 25¹ მუხლის, სსკ-ის 361.2, 316.1, 317.1, 394.1, 407, 417, 52-ე მუხლების საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე გ. კ-ემ წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი, არ ცნო სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ გაურკვეველია რა საფუძველით ითხოვს მოსარჩელე ჯარიმისა და ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან საქმეზე მას არ აქვს წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება კონტრაქტის პირობების დარღვევის შესახებ.

მოპასუხემ აღნიშნა, რომ კონტრაქტის 7.3 პუნქტში მითითებული ჯარიმა უნდა ჩაითვალოს შეთანხმებულ პირგასამტეხლოდ.

მოპასუხის მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა სანივთე ქონების ექვივალენტის მოთხოვნის ნაწილშიც დაუსაბუთებელია, ვინაიდან გაუგებარია მოსარჩელე ნატურით ითხოვს ქონების დაბრუნებას, თუ მის ექვივალენტ თანხას.

სამართლებრივი: სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საქმის გარემოებები: 2005 წლის 3 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. კ-ეს შორის და იგი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 სექტემბრის 1... ბრძანებით მოპასუხე გ. კ-ე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2006 წლის 21 აგვისტოდან.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – გ. კ-ეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 5000 ლარის გადახდა; მოპასუხე – გ. კ-ეს დაევალა სამხედრო სამსახურის გავლისას მასზე გადაცემული სამხედრო მოსამსახურისათვის განკუთვნილი სანივთე ქონების (კერძოდ: ფორმა კომუფლირებული ერთი ცალი; ქუდი კომუფლირებული ერთი ცალი; ფეხსაცმელი მ/ყ ერთი ცალი; მაისური ერთი ცალი; წინდა ერთი ცალი) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემა; ხოლო სარჩელი ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2005 წლის 3 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხე გ. კ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად სამხედრო ქვედანაყოფებში სამსახური. ხელშეკრულების 3.1 მუხლის თანახმად ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 4 წელი. მხარეთა მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი ძალაში შევიდა სამხედრო მოსამსახურის სამხედრო ნაწილში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან (ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან).

2006 წლის 11 სექტემბრის 116104 სამხედრო ნაწილის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით დადგინდა გ. კ-ის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის შეიარაღებული ძალების რიგებიდან მისი დათხოვნა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 სექტემბრის 1... ბრძანების თანახმად ... ბრიგადის მეთაურის შუამდგომლობის საფუძველზე, გ. კ-ე დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით) «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხ-

ლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) თანახმად, 2006 წლის 21 აგვისტოდან.

დადგენილია, რომ გ. კ-ეს, სამხედრო სამსახურის გავლისას გადაეცა სამხედრო მოსამსახურისათვის განკუთვნილი სანივთე ქონება, კერძოდ: ფორმა კომუფლირებული ერთი ცალი; ქუდი კომუფლირებული ერთი ცალი; ფეხსაცმელი მ/ყ ერთი ცალი; მაისური ერთი ცალი; წინდა ერთი ცალი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება. მოპასუხე მხარემ სადავო გახადა კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლოს შეფასებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევასთან მიმართებაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები არ შედავებულა მოპასუხის მხრიდან. სადავოა მხოლოდ ამ ფაქტობრივი გარემოებების შეფასება. ამდენად ხელშეკრულება დაირღვა მოპასუხე გ. კ-ის მხრიდან, რადგან ხელშეკრულების პირობების მიხედვით ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნეოდა მისი შეწყვეტა საკუთარი სურვილით.

რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე ზიანის წარმოშობის საფუძველად მიუთითებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2009 წლის 17 ივნისის ცნობაზე, რომლის თანახმად სამხედრო მოსამსახურეს გ. კ-ეს ხელფასის სახით მიღებული აქვს 1970,58 ლარი, სასამართლომ არ მიიჩნია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად ის, რომ სამხედრო მოსამსახურეზე გაცემული გასამრჯელოთი (ხელფასით) მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რომლის ანაზღაურების უფლებაც მას გააჩნია.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2005 წლის 3 ნოემბრის ხელშეკრულებაში ცვლილებები არ შესულა.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

საქართველოს ასკ-ის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო სამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის 1119 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების» თანახმად, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად ჯარების მომზადების დონის განსაზღვრა, სამხედრო კადრების მომზადება.

სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით «სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები, განისაზღვრება სახელმწიფო შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება».

მხარეთა შორის დადებული კონტრაქტი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისათვის საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ვინაიდან, «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახური არის სამხედრო სამსახურის ერთ-ერთი სახეობა, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

კონტრაქტის საგანს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის შემდგომი აუცილებელი ოთხწლიანი დასაქმება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის 3.1. მუხლის თანახმად, იგი დადებულია ოთხი წლის ვადით, ხოლო 7.3. მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ «სამხედრო მოსამსახურე» მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს ხელშეკრულების 3.2 მუხლში მითითებული ვადის დასრულებიდან ვადიანი სამხედრო მოსამსახურის ამ სამხედრო პირისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით მისთვის გადახდილი თანხები და მის სწავლებაზე გაწეული ხარჯი 5 000 ლარის ოდენობით.

ხელშეკრულების მე-4 მუხლი განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურისათვის შრომის ანაზღაურების გაცემის წესს და ოდენობას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხესთან ხელშეკრულების გაფორმებისას მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების ყველა პირობა, მათ შორის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, მათ შორის ის, რომ ხელშეკრულების დარღვევად იქნებოდა მიჩნეული მისი შეწყვეტა საკუთარი ნება-სურვილით.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება (კონტრაქტი) არაჯეროვნად შესრულდა. ხელშეკრულების სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენას კონტრაქტში მონაწილე პირებს შორის. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული კონტრაქტი დადებულია ითვლება თუ მხარეები, მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად: «ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან». ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად «ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას».

სასამართლოს მსჯელობით, მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ხელშეკრულება მოპასუხის ბრალეული მოქმედებით ვადაზე ადრე შეწყდა, ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა თანხის გადახდასთან დაკავშირებით საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. მოპასუხე გ. კ-ეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს თანხის, კერძოდ ჯარიმის სახით 5 000 ლარის გადახდა, რადგან მასთან დადებული ხელშეკრულება ხელშეკრულების დარღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებად არ ითვალისწინებს ჯარიმას საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით და ბოლო თვის ხელფასის დაანგარიშების შესაბამისად. იგი განსაზღვრულია 5000 ლარით და იმ თანხების ანაზღაურებით, რაც დაიხარჯა სამხედრო მოსამსახურის სწავლებაზე და გათვალისწინებულია ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლით, ანუ მიღებული შრომის ანაზღაურების დაბრუნებით.

სსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად პირგასამტეხლო, არის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, ანუ ფულადი თანხა, რომელსაც მხარეები ითვალისწინებენ ხელშეკრულების დადებისას ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ჯარიმას, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს და შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული დათქმა ჯარიმის გადახდის შესახებ, წარმოადგენს უკვე ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეს, პირგასამტეხლოს.

ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად: «სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო». სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებულია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს სახით 5 000 ლარის ოდენობით, დამატებით კიდევ 19 692 ლარის 0,2 პროცენტი უკვე შეუსაბამოდ მაღალი ოდენობაა. მით უფრო მაშინ, როდესაც ეს თანხა მოსარჩელეს დაანგარიშებული აქვს არა 5000 ლარიდან, არამედ არასახელშეკრულებო პირობიდან 14 000 ლარიდან და მოპასუხის ბოლო თვის ხელფასზე დაანგარიშებით, რაც შეუსაბამობაშია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებთან.

მოპასუხე გ. კ-ეს 1970,58 ლარი მიღებულ აქვს შრომის ანაზღაურების – ხელფასის სახით, რომლის გადახდის ვალდებულება თავდაცვის სამინისტროს წარმოეშვა როგორც კანონის, ისე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

იმისთვის, რომ კრედიტორმა შეძლოს ზიანის გამო დავა, სახეზე უნდა იყოს რამდენიმე პირობა ერთობლიობაში: 1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობა; 2. უშუალოდ ასეთი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.

სასამართლოს მსჯელობით მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის თანხის, უკან დაბრუნებას.

სასამართლო, მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული დათქმისა, არ დაეთანხმა მოსარჩელის მტკიცებას იმის შესახებ, რომ მოპასუხის სასარგებლოდ გადახდილი ხელფასის თანხა წარმოადგენს ზიანს.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომელიც მოიცავს სავალდებულო ვადიან საკონტრაქტო (პროფესიულ) და კადრის სამხედრო სამსახურებს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის «ა» პუნქტის თანახმად სამხედრო მოსამსახურე ეს არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში ან სამხედრო ძალების რეზერვის პირველ თანრიგში.

მოპასუხე გ. კ.-ე, იმყოფებოდა რა ვადიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში, იგი იმავდროულად წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს ყველა ის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულებანი, რომლებიც შეეხება სამხედრო მოსამსახურეს, პირის სამხედრო სამსახურში ყოფნას, სამხედრო სამსახურის გავლას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები. ამ კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. იმავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით (ძველი რედაქციის) დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე დროის შუალედში მოპასუხე გ. კ.-ე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი იღებდა რა ამ შესრულებას, საპასუხოდ გასცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს, რითაც ასრულებდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტით ნაკისრ ვალდებულებას.

სსკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლება-მოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

იმავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ 03.11.2005 წლის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ გადახდილი ხელფასის გამო გაწეული ხარჯის ანაზღაურების უკან დაბრუნების ვალდებულებაზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი თუნდაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოითხოვოს ისეთი ვალდებულების შესრულება, რაც თავისი არსით კანონსაწინააღმდეგოა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1.1 პუნქტის საფუძველზე იკისრა ვალდებულება, გადაუხადოს გ. კ.-ეს ხელფასი და უზრუნველყოს იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით, მათ შორის – ვალდებულებით, გასწიოს მისი კმაყოფის ყველა ხარჯი.

სსკ-ის 352-ე მუხლის შესაბამისად, თუ ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მხარეებს უბრუნდებათ მიღებული შესრულება და სარგებელი, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ითხოვს მეორე მხარისაგან სარგებლის დაბრუნებას, იგი ვალდებულია დაუბრუნოს ხელშეკრულების მეორე მხარეს მიღებული შესრულება.

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველების გათვალისწინებით, მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ხელფასის უკან დაბრუნება სწორედ იმ მოტივით, რომ ხელ-

ფასი არ წარმოადგენს არც ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს და არც სამხედრო მოსამსახურის სწავლებაზე გაწეულ ხარჯს.

სასამართლოს შეფასებით, დაუშვებელია, რომ სამხედრო მოსამსახურეზე გაცემული ხელფასზე დახარჯული თანხები მიჩნეულ იქნეს სწავლებისათვის დახარჯულ თანხად. სასამართლომ განმარტა, რომ სამხედრო მოსამსახურის სწავლებისთვის გაწეული ხარჯი ეს არის ფულადი სახსრები, რომელიც უნდა მოხმარდეს სამხედრო მოსამსახურის ფიზიკური და ინტელექტუალური წვრთნის პროცესში ადამიანური და მატერიალური რესურსის გამოყენებას. მოსარჩელე მხარეს დავის განხილვის პროცესში არა თუ არ წარმოუდგენია ასეთი ტიპის ხარჯების რეალურად გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, მან სარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა ისეთი ფაქტობრივი გარემოებანი, როგორცაა ხელფასის ხარჯის გაწევის გარემოება, მოპასუხემ სწორედ ამ გარემოებაზე დააფუძნა თავისი სარჩელი, სწორედ ხელფასი მიიჩნია სამხედრო პირის სწავლებაზე გაწეულ ხარჯად, რაც არასწორია.

სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა სამხედრო სამსახურის გავლისას მოპასუხეზე გადაცემული სამხედრო მოსამსახურისათვის განკუთვნილი სანივთე ქონების (კერძოდ: ფორმა კომუფლირებული ერთი ცალი; ქუდი კომუფლირებული ერთი ცალი; ფეხსაცმელი მ/ყ ერთი ცალი; მისური ერთი ცალი; წინდა ერთი ცალი;) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
მოწინააღმდეგე მხარე: გ. კ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ჯარიმის 1970.5 ლარის ნაწილში, ვინაიდან კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ჯარიმის სახით მისთვის გადახდილი თანხები და მის სწავლებაზე გაწეული ხარჯი 5000 ლარის ოდენობით. საქმეზე წარმოდგენილი მე-3 ქვეითი ბრიგადის მიერ გაცემული 1277 ცნობით დასტურდება, რომ მოპასუხეზე გადახდილი თანხები შეადგენს 1970.58 ლარს. შესაბამისად აპელანტის მსჯელობით, ჯარიმის სახით მოწინააღმდეგე მხარეს უნდა დაკისრებოდა ასევე 1970.58 ლარი.

აპელანტის მოსაზრებით, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოველ დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

აპელანტის განმარტებით, ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში.

სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარეზე დამატებით 1970,58 ლარის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან აპელანტის მიერ მითითებული თანხა დადგენილია, რომ გ. კ-ეს მიღებული აქვს ხელფასის სახით.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. კ-ის მომზადებაზე დახარჯული და შესაბამისად მიყენებული ზიანის თანხა შეადგენს 1970.58 ლარს. პალატამ

განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მან გ. კ-ის სანაცვლოდ მოამზადა სხვა მოსამსახურე, რომლის მომზადებაზე დაიხარჯა 1970.58 ლარი.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია ზიანის ანაზღაურების საფუძვლად ხელშეკრულების 8.3 პუნქტზე მითითება. პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული პუნქტით განსაზღვრულია არა ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, არამედ, ზიანის არსებობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, სამინისტროს მიერ აღსრულების ღონისძიებები.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა პირგასამტეხლოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას წარმოადგენს ბესა და მოვალის გარანტიასთან ერთად. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ხელშეკრულებითვე დადგენილი ჯარიმის თანხა, თავისი არსით პირგასამტეხლოს წარმოადგენს. პირგასამტეხლოზე პირგასამტეხლოს დაკისრება კი კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეს. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 7.1-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია ა) საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კონსტიტუციური კანონი; ბ) საქართველოს ორგანული კანონი; გ) საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. ამავე კანონის 11.1-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებას გამოსცემს საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათ საფუძველზე. 7.7-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სსსკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სსსკ-ის დებულებანი.

სსსკ-ის 377-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიან სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს.

კასატორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: გ. კ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» და «ე¹» ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის აზრით ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოველად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

კასატორის განმარტებით, ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ასკ-ის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით დასაშვებად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურითიერობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 3 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. კ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

აღნიშნული ხელშეკრულების 7.3 შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ «სამხედრო მოსამსახურე» მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით შეწყვეტს კონტრაქტს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს ა) ხელშეკრულების 3.2 მუხლში მითითებული ვადის დასრულებიდან ვადიანი სამხედრო სამსახურის ამ სამხედრო პირისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით მისთვის გადახდილი თანხები და მის სწავლებაზე გაწეული ხარჯი 5000 ლარის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების 7.4 პუნქტით აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოპასუხეს ჯარიმის სახით უნდა დაკისრებოდა 5000+19700.58 ლარი, ვინაიდან, როგორც, უკვე აღინიშნა ხელშეკრულების 7.3 «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების 3.2 მუხლში მითითებული ვადის დასრულებიდან ვადიანი სამხედრო სამსახურის ამ სამხედრო პირისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აუნაზღაურებინა ამ ხელშეკრულებით მისთვის გადახდილი თანხები და მის სწავლებაზე გაწეული ხარჯი 5000 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯარიმის სახით მოპასუხეს უნდა დაეკისროს მხოლოდ ფიქსირებული 5000 ლარი და არა 5000+1970.58 ლარი, რომელიც, როგორც საქმის მასალებით დადგენილია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურისათვის გაცემულ ხელფასს.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა გ. კ-ისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმის თანხის 0,2%-ის ოდენობით დაკისრების ნაწილშიც და ჯარიმისა და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 'ზს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უზიძვოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს, ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არა მარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსაღებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან».

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა არის 5000 ლარი, რაც არსებული სოციალური ფონისა და გ. კ-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დამატა შემდეგი შინაარსის მე-41 პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1.2, სსსკ-ის 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს
შემცირება

განჩინება

1ბს-1007-999(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: მ. ბ-ი

სარჩელის სახე: სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 25¹-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 1400 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 1400 ლარის 0.2% ის ოდენობა 2006 წლის 4 ივნისიდან ჯარიმის თანხის გადახდამდე, ზიანის სახით – 6709.19 ლარის დაკისრება და სანივთე დავალიანების გადახდა 357.24 ლარის ოდენობით.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2005 წლის 15 მარტს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 31 მაისის 1... ბრძანებით მოპასუხე მ. ბ-ი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2006 წლის 24 მაისიდან.

კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად და ამასთანავე პირგასამტეხლო 0.2% ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 7.4 პუნქტის შესაბამისად.

კონტრაქტის 8.3 პუნქტის საფუძველზე, მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დახარჯული თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთვნის გამო.

სანივთე უზრუნველყოფის ფარგლებში სამხედრო სამსახურის განმავლობაში მოპასუხეზე გაცემული ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ მოპასუხეს არ დაუბრუნებია სანივთე უზრუნველყოფა, რაც თანხობრივად შეადგენს 357.24 ლარს.

სამართლებრივი: მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა სასკ-ის მე-2 მუხლის, 25¹-ე მუხლის, სსკ-ის 361.2, 316.1, 317.1, 394.1, 407-ე, 417-ე, 414-ე მუხლების საფუძველზე.

საქმის გარემოებები: 2005 წლის 15 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. ბ-ს შორის და იგი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 31 მაისის 1... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2006 წლის 24 მაისიდან.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. ბ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის სახით – 6 709.19 ლარისა და სანივთე დავალიანების სახით – 357.24 ლარის გადახდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. ბ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის – 14000 ლარის, სასურსათო ულუფის ხარჯის – 796.49 ლარისა და სანივთე დავალიანების ღირებულების – 357.24 ლარის ანაზღაურება, ხოლო სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოპასუხე მ. ბ-ი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნა 2005 წლის 15 მარტს.

მოპასუხე მ. ბ-მა 2005 წლის 15 მარტს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

2006 წლის 24 მაისიდან მ. ბ-ი, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან.

შეიარაღებულ ძალებში, მ. ბ-ის მიერ ფაქტობრივად ნამსახურები ვადა შეადგენს 1 წელს, 2 თვესა და 9 დღეს, ხოლო დარჩენილი ვადა – 2 წელს, 9 თვესა და 22 დღეს. მოპასუხის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 398,51 ლარს და მას ხელფასის სახით მიღებული აქვს 5912 ლარი და 70 თეთრი, ხოლო სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა ნამსახურების პერიოდზე გადაანგარიშებით შეადგენს 796.49 ლარს.

1... სამხედრო ნაწილის სანივთე ქონების დაგეგმარების ოფიცრის მ. ჩ-ის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ მ. ბ-ს ერიცხება შემდეგი დასახელების სანივთე ქონების დავალიანება: 1 ცალი ფორმა საველე კომუფლირებული ქუდით, ღირებულებით - 21,94 ლარი; 1 ცალი ფორმა კომუფლირებული ქუდით, ღირებულებით – 60,94 ლარი; ქურთუკი შეთბუნებული, ღირებულებით – 70 ლარი; მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ღირებულებით 43,26 ლარი; გორტექსის ქურთუკი, ღირებულებით – 93.60 ლარი; თბილი საცვალი, ღირებულებით – 13 ლარი; მაისური, ღირებულებით - 5 ლარი; ალუმინის კარდალა ღირებულებით – 5 ლარი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლოს შეფასებით სახეზეა კონტრაქტის გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო სზაკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

სსკ-ის 316-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. იმავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებს შორის ვალდებულება წარმოიშვა ხელშეკრულებიდან. სსკ-ის 327-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. იმავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხემ არ შეასრულა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულებით (კონტრაქტი) ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატა მასში, რომ მან უარი განაცხადა დილის გასაყრისზე გამოცხადებაზე, სათანადოდ არ მოუწარა მისთვის განკუთვნილ სამხედრო ეკვიპირებასა და სამხედრო აღჭურვილობას, რის გამოც დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

სასამართლოს განმარტებით, პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლება – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი

უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

სასამართლო დასკვნით, სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 1400 ლარის ოდენობით. სასამართლოს მსჯელობით დამატებით 1400 ლარის 0,2% პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობაა. სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 14000 ლარის 0,2% 2006 წლის 4 ივნისიდან ყოველდღიურად მოთხოვნილი თანხის სრულ გადახდამდე დაკისრების ნაწილში.

სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მ. ბ-ი კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ. შეძენის (მიღებული შესრულების – მოპასუხის მიერ გაწეული სამსახურის და გაწეული სამსახურის შედეგად გადახდილი ხელფასის თანხის) ხასიათიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია ხელფასის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა დამსაქმებლის ვალდებულებას შეადგენდა. ამასთან, ვინაიდან სასურსათო უწყის ხარჯი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულების გასვლა განპირობებული იყო მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, სასამართლოს მსჯელობით, მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებული იყო მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მოთხოვნა სანივთე დავალიანების ღირებულების 357.24 ლარის ანაზღაურების ნაწილში საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: მ. ბ-ი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით, სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრულია. აპელანტის მსჯელობით, სასამართლომ არ გაითვალისწინა პირგასამტეხლოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. სადავო ურთიერთობაში მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება, რომლის 7.3 და 7.4 პუნქტებით განსაზღვრულია ფინანსური პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის გამო.

აპელანტის მოსაზრებით, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატი-

ულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» მე-16 და 17-ე თავები. ამდენად, ყოვლად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ თითქოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა ნამსახურობის პერიოდში მასზე გაცემული ხელფასის უკან დაბრუნებას, რადგან მოსარჩელე მოითხოვდა არა ხელფასის უკან დაბრუნებას, არამედ იმ ზიანის ანაზღაურებას რომელიც მიადგა თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

სამართლებრივი: მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებითად შეთანხმდნენ სსკ-ის 418-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის განჩინებით (სასამართლო სხდომის ოქმი) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

საქმის მასალებით არ ირკვევა, ხოლო სსსკ-ის 102.3. მუხლის შესაბამისად, აპელანტ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოპასუხე მ. ბ-მა მხარეთა შორის დადებული «კონტრაქტი»-ს 3.2. მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახურის პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში გაიარა «სამხედრო მოსამსახურის სწავლება და მომზადება» და ამ დროს მის მომზადებაზე დაიხარჯა 5 912,70 ლარი, ასევე საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხის, როგორც «სამხედრო მოსამსახურის სწავლება და მომზადება», აგრეთვე ის გარემოება, რომ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხა განმეორებით იქნა გადებული მოსარჩელის მიერ მოპასუხის ნაცვლად სხვა სამხედრო მოსამსახურის მომზადების მიზნით.

პალატის მოსაზრებით, აპელანტის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხა არის სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მოწინააღმდეგე მხარის – მ. ბ-ის შრომის ანაზღაურება – ხელფასი. ამასთანავე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის მხრიდან, ნამსახურების პერიოდში მიღებული ხელფასის (შრომითი გასამრჯელოს), როგორც მიყენებული ზიანის საკომპენსაციო თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უკან დაბრუნება მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს – 2006 წლის 4 ივნისიდან 14000 ლარის 02% ოდენობით მოპასუხეზე დაკისრება, არის შეუსაბამოდ მაღალი და ამდენად, მოპასუხეზე ჯარიმის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ არის კანონშესაბამისი.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა აპელანტ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრებები სადავო გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სსსკ-ის 1.2. მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სსსკ-ის დებულებანი.

სსსკ-ის 377.1. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სსსკ-ის 390.3 «გ» მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს: მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 390.3. «გ» მუხლის შესაბამისად, სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სადავო გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე.

კასატორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: მ. ბ-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» და «ე1» ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის აზრით ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოველად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

კასატორის განმარტებით, ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში. კასატორის მითითებით გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სსსკ-ის 393.2, 393.3, მუხლების საფუძველზე, რადგან გადაწყვეტილება მიღებულია სსსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ასკ-ის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით დასაშვებად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის განჩინება (სასამართლო სხდომის ოქმი) შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 15 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. ბ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 31 მაისის 1... ბრძანების შესაბამისად, მ. ბ-ი დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საკასაციო სასამართლო ჯარიმის და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 1ბს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: განმარტავს, რომ «სსსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სკ-ის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემაჯალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამართო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან».

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და მ. ბ-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის 0,2%, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1.2, სსსკ-ის 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის განჩინება (სასამართლო სხდომის ოქმი);

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1258-1244(კ-11)

27 დეკემბერი 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: ბ. ნ-ე

სარჩელის სახე: სასკ-ის მე-2 მუხლის 1 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 25¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 20606.73 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 6182.02 ლარისა და ზიანის სახით – 13007.32 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2006 წლის 10 ივნისს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 15 მაისის 1... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2008 წლის 25 აპრილიდან ვალდებულების დარღვევის გამო.

კონტრაქტის საფუძველზე ფაქტობრივად ნამსახურები ვადა შეადგენს 1 წელს, 10 თვესა და 16 დღეს, ხოლო დარჩენილი – 2 წელს, 1 თვესა და 17 დღეს, რის გამოც მოპასუხეზე ვრცელდება კონტრაქტის 7.3-ის «ა» და 7.4 პუნქტებით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობა.

მოპასუხის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 806 ლარს, რის გამოც გადასახდელი ჯარიმის ოდენობა შეადგენს 20606.73 ლარს, ხოლო გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა 6182.02 ლარს.

კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების საფუძველზე მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა სასკ-ის 361.2, 316.1, 317.1, 417-ე, 394.1, 407-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ბ. ნ-ეს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია, თუმცა სასამართლო სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქმის გარემოებები: 2005 წლის 10 ივნისს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა კონტრაქტი და მოპასუხე ბ. ნ-ე დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 15 მაისის 1... ბრძანებით მოპასუხე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან 2008 წლის 25 აპრილიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე ბ. ნ-ეს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა – 20606.73 ლარი და ზიანის სახით კვებაზე დახარჯული თანხის – 1392.77 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

1. 2006 წლის 10 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხე ბ. ნ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამსახურის გავლის შესახებ 4 წლის ვადით.

2. ხელშეკრულების 3.1 მუხლის თანახმად, მოპასუხის, როგორც სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს, რომელიც აითვლებოდა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

3. საქართველოს თავდაცვის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ბ. ნ-ის 1 თვის სამტაქტო ხელფასი შეადგენდა 806 ლარს. სულ ხელფასის სახით მიღებული აქვს 11614 ლარი, ამასთან კვებაზე დახარჯული თანხა შეადგენს 1392.77 ლარს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება. მოპასუხე მხარემ სადავო გახადა კონტრაქტის დარღვევის ფაქტი.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის მოპასუხეზე ხელფასის სახით გადახდილი თანხის შესაბამისად დაკისრების ნაწილში იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მიზეზით აღნიშნული თანხის ხელახლა დახარჯვა მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის, რადგან ხელფასი შრომითი გასამრჯელო და შრომითი ანაზღაურება ერთიდაიგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. სწორედ მოპასუხის მიერ სამსახურის გავლის პერიოდში გაწეული შრომის ანაზღაურების შესაბამისი თანხა იქნა მასზე გაცემული ხელფასის სახით. სასამართლომ მსჯელობით, არ არსებობს აღნიშნულის ზიანად მიჩნევის როგორც სამართლებრივი, ის თავად ხელშეკრულებიდან გამომდინარე საფუძველი.

სასამართლოს დასკვნები – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ჯარიმის და ზიანის სახით კვებაზე დახარჯული თანხის ნაწილში საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. ნ-ეს შორის დადებული ხელშეკრულება თავდაცვის საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ წარმოადგენს სზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის «ზ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელიც საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებულია ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის.

სზაკ-ის 65-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

სსკ-ის 327-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. 316-ე მუხლის თანახმად, კი ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

სასამართლოს დასკვნით, მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე.

სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. 412-ე მუხლი კი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს. კერძოდ ანაზღაურდება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ. ნ-ის მოქმედება წარმოადგენს სამინისტროსადმი ზიანის მიყენების ფაქტს, რაც მისთვის სავარაუდო იყო.

სსკ-ის 417-ე მუხლით განსაზღვრულია პირგასამტეხლოს ცნება, რომლის თანახმად პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა მიერ განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

სასამართლოს მსჯელობით, ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში. სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის I პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. ასეთივე განმარტება აქვს ხელფასს საქართველოს შრომის კოდექსში, კერძოდ, დასახელებული კანონის მიხედვით ხელფასის შესატყვის სიტყვად მიჩნეულია შრომის ანაზღაურება. იგი პირის მიერ გაწეული სამსახურის შესატყვისი ანაზღაურების გამოხატულებაა ფულად თანხაში, რომელიც გაიცემა დამსაქმებლის

მიერ დასაქმებულის ფიზიკური თუ გონებრივი სამუშაოს სანაცვლოდ და ფაქტიურად ამ პირის მიერ მომსახურებით გაწეული დანახარჯების აღდგენის სამართლიან კომპენსაციას წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველი.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: ბ. ნ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: აპელანტის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით არასწორია სასამართლოს მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვს ნამსახურების პერიოდში მასზე გაცემული ხელფასის უკან დაბრუნებას. იგი ითხოვს არა ხელფასის უკან დაბრუნებას, არამედ იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მიადგა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი.

სამართლებრივი: ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოველად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება. კანონისმიერი მტკიცებულებები თავისი შინაარსით უტოლდებიან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ხოლო თვით სამინისტრო გათავისუფლებულია ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისაგან სსსკ-ის 106 მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ბ. ნ-ისათვის პირგასამტეხლოს 6182.02 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ბ. ნ-ისათვის პირგასამტეხლოს 6182.02 ლარის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა.

აპელაციის მოტივების გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების შესაბამისად ჯარიმა და პირგასამტეხლო ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებული სახეებია. ამასთან, ისინი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთიდაიგივე საშუალება რომც იყოს, თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულ ჯარიმა, ისე პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხა არ არის შეუსაბამოდ მაღალი და დაუსაბუთებელია მისი დაკისრება, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს მხარეს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გაიგივების შესახებ. სასამართლოს მსჯელობით, თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და გამომდინარეობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულებიდან.

სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ბ. ნ-ემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2006 წლის 10 ივნისს გააფორმა კონტრაქტი და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, სამხედრო-საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 15 მაისის 1... ბრძანებით ბ. ნ-ე კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2008 წლის 25 აპრილიდან დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან.

ბ. ნ-ის კონტრაქტის საფუძველზე ფაქტობრივად ნამსახურები ვადა შეადგენს 1 წელს, 10 თვესა და 16 დღეს, ხოლო დარჩენილი ვადა შეადგენს 2 წელს, 1 თვესა და 17 დღეს.

მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტების შეფასება

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჩივრით მოთხოვნილი ზიანის თანხა – 11614.55 ლარი ბ. ნ-ის მიმართ ხელფასის სახით გაცემული თანხაა.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ბ. ნ-ისათვის 11614.55 ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პირგასამტეხლოს 6182.02 ლარის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ზიანის თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, თუმცა პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნა განმარტა შემდეგნაირად: სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სამხედრო მოსამსახურეს უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო 6182.02 ლარი, რადგან კონტრაქტის 7.3 და 7.4 მუხლებით მხარეები შეთანხმებულნი იყვნენ ამგვარ ფინანსურ პასუხისმგებლობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავის II პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოეძმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30%-მდე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი არაა მხარისათვის, რაც მისი დაკისრების საფუძველია.

კასატორი: ბ. ნ-ე

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» და «ე1» ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის მსჯელობით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კონტრაქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილი უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს სახით და დამატებითი საჯარიმო თანხა 30%-ის ოდენობით, შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას წარმოადგენს, რის გამოც იგი უნდა შემცირდეს სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად.

მოწინააღმდეგის შეპასუხება: მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენია, თუმცა მოსაზრებაში აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ სასარჩელო განცხადებაში პირგასამტეხლოს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა, როგორც კონტრაქტის 7.3 მუხლი, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» ბრძანებულების მე-16 თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს პირგასამტეხლოს შემცირებას ჯარიმის თანხის 30%-მდე.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ბ. ნ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ასკ-ის 34.3 მუხლის «გ» ქვეპუნქტით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის განჩინება ბ. ნ-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 6182,02 დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ბ. ნ-ისათვის

პირგასამტეხლოს სახით – 6182,02 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში დასაბუთებელია, შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, შესაბამისად, სახეზეა ამ ნაწილში სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლის შესაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2006 წლის 10 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. ნ-ეს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 15 მაისს ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2008 წლის 25 აპრილიდან ბ. ნ-ე დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 10 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. ნ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ჯარიმისა და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე ¹ბს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამართო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან».

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ბ. ნ-ისათვის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – 20606,73 ლარის 30% – 6182,02 ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. ნ-ის საკასაციო საჩივარი პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე საფუძვლიანია, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ბ. ნ-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 6182,02 ლარის დაკისრების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1.2, სსსკ-ის 399-ე, 408.3, 411-ე მუხლებით

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. ბ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება მოპასუხე ბ. ნ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ბ. ნ-ისათვის პირგასამტეხლოს – 6182,02 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1663-1635(კ-11)

26 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 12 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ა. ა-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 30 ოქტომბერს ა. ა-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და ა. ა-ე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის 1... ბრძანებით, 2008 წლის 6 სექტემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ა. ა-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307,85 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 6392,36 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 11 395,90 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის სახით – 389,76 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ა. ა-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307,85 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 6392,36 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 456,55 ლარის და სანივთე ქონების ღირებულების კომპენსაციის სახით – 389 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახური წარმოადგენდა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები, განისაზღვრებოდა სახელმწიფო შეიარაღებული ძალებისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებული იყო დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, სამინისტროსათვის ჯარიმის სახით აენაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები შემდეგი წესით: ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძველები და წესი) მეორე პუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდებოდა გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, არამედ საქართველოს პრეზიდენტის დასახელებული ბრძანებულებით შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კერძოდ, ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებას წარმოადგენდა და მიუთითა სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები გამოიყენებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა ზიანის სახით მოპასუხისათვის 11 395,90 ლარის დაკისრებას, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის უკან დაბრუნებას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელებულიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილი იყო, რომ მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით (ძველი რედაქციის) დადგენილი იყო, რომ სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე დროის შუალედში მოპასუხე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იღებდა ამ შესრულებას და საპასუხოდ გასცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს, რითაც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტით ნაკისრ ვალდებულებას ახორციელებდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი იყო, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშვებოდა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეები არ შეთანხმებულან გადახდილი ხელფასის გამო გაწეული ხარჯის ანაზღაურების, ანუ ხელფასის უკან დაბრუნების ვალდებულებაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ისეთი ვალდებულების შესრულება მოეთხოვა, რაც არ ყოფილა შეთანხმებული ხელშეკრულებით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარე ფაქტიურად ითხოვდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის თანხის უკან დაბრუნებას. საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ კონტრაქტის მოქმედების პერიოდში მოპასუხის სასარგებლოდ გადახდილი ხელფასი ზიანს წარმოადგენდა.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა ა. ა-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და აღნიშნულის შედეგად, მისი მხრიდან ჯარიმის, პირგასამტეხლოს, სანივთე ქონების კომპენსაციისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის ფაქტი, რაც სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება ა. ა-ისათვის კვებაზე დახარჯული 276,49 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ა-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ კვებაზე დახარჯული თანხის – 276,49 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კვებაზე დახარჯული თანხის დაბრუნების ვალდებულება სამხედრო მოსამსახურეს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო ეკისრებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაა-

საჩივრა ა. ა-მ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – ა. ა-ის განმარტებით, მას კონტრაქტის პირობები არ დაურღვევია, ვინაიდან, მისი განთავისუფლების მიზეზი იყო მამის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამდენად, არ არსებობდა მისთვის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარიმო თანხების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ა-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის განჩინებით, ა. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307.85 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 456.55 ლარის, სანივთე ქონების ღირებულების საკომპენსაციო თანხის სახით – 389 ლარისა და კვებაზე დახარჯული თანხის სახით – 276.49 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება; ა. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით – 6392.36 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა ჩაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ა-ის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის განჩინებით ა. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307.85 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 456.55 ლარის, სანივთე ქონების ღირებულების საკომპენსაციო თანხის სახით – 389 ლარისა და კვებაზე დახარჯული თანხის სახით – 276.49 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე მისთვის პირგასამტეხლოს სახით 6392,36 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 6392,36 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ა-ს შორის 4 წლის ვადით გაფორმდა ხელშეკრულება. 2008 წლის 21 ნოემბრის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად 2008 წლის 6 სექტემბრიდან ა. ა-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – ა. ა-ის მსჯელობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ა-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამას-

თან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლება – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 21 307,85 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 6392,36 ლარი უკვე პირგასამტეხლოს პირგასამტეხლოა, რასაც ასევე არ ცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება განთავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთობლივად ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება ა. ა-ისათვის პირგასამტეხლოს სახით 6392,36 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ა. ა-ის საკასაციო საჩივარზე დაშვებულ – პირგასამტეხლოს თანხის 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება ა. ა-ისათვის პირგასამტეხლოს სახით 6392,36 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს
შემცირება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

18ს-1388-1352(2კ-10)

14 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ **28.09.09წ.** სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ი. კ-ის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – **18837,23** ლარის, ზიანის – **3915,73** ლარისა და პირგასამტეხლოს – **5651,17** ლარის დაკისრება მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **19.11.09წ.** გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. კ-ს დაეკისრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ ჯარიმის – **18837,23** ლარის, პირგასამტეხლოს – **5651,17** ლარისა და ზიანის საკომპენსაციო თანხის – **3915,73** ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. კ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **16.06.10წ.** გადაწყვეტილებით ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **19.11.09წ.** გადაწყვეტილება ზიანის თანხის – **3915,73** ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. კ-ს შორის **30.12.05წ.** დადებული ხელშეკრულების **7.3** პუნქტი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში «თავისი სურვილით» და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეწყვიტა ოთხწლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო **3** წლის ხელფასის სახით, საშუალოდ **14000** ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო **2** წლის ხელფასის სახით, საშუალოდ **10000** ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო **1** წლის ხელფასის სახით, საშუალოდ **5 000** ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების დანართი **11**-ით ცვლილება შევიდა მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულების **7.3** მუხლის «ა» ქვეპუნქტში, კერძოდ, დასახელებული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ გახდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ **14000** ლარის ოდენობით, რომლის დაანგარიშებაც ხდებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მოპასუხისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს თანხების დაკისრების ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის **37**-ე მუხლის **1**-ელი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო. ასეთი გასამრჯელოს სახით ი. კ-ს მიღებული ჰქონდა **3915,73** ლარი. სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, ნამსახურობის პერიოდში მიღებული შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელი იყო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუ-

ხისათვის ხელფასის თანხის – **3915,73** ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ი. კ-მ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა. ი. კ-მ გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. ი. კ-ის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია როდის შედგა ხელშეკრულების დანართი, რომლითაც ცვლილება შევიდა ხელშეკრულებაში, ვინ წარმოადგენდა ხელშეკრულების აღნიშნული დანართის მხარეს და რომელი ხელშეკრულების დანართს წარმოადგენდა აღნიშნული ცვლილება. ამასთან, ხელშეკრულების **11.2** პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალი საკანონდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **22.12.10**წ. განჩინებებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო ი. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ი. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. კ-ს შორის **30.12.05**წ. დადებული ხელშეკრულების **7.3** პუნქტი განსაზღვრავდა ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მოშადადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა **4-წლიანი კონტრაქტი**. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

საქმეში დაცული ხელშეკრულების **11** დანართით ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. კ-ს შორის **30.12.05**წ. დადებულ ხელშეკრულებაში, რის შედეგადაც ხელშეკრულების **7.3** პუნქტის «ა» ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ სამხედრო მოსამსახურე კისრულობდა ვალდებულებას ხელშეკრულების შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ **14000** ლარის ოდენობით, რომლის დაანგარიშებაც ხდებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად. მხარეებს შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი იყო ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით. ხელშეკრულების დანართს, რომლითაც ხელშეკრულებაში დამატება იქნა შეტანილი ხელს აწერს ი. კ-ე, რაც ადასტურებს იმას, რომ მხარეები არსებითად შეთანხმდნენ როგორც ხელშეკრულების ძირითად, ასევე დამატებით პირობებზე. სკ-ის **327.1** მუხლის თანახმად ხელშეკრულება დადებულად ითვლება თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სკ-ის **316-ე** მუხლის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. საქმის მასალებით დასტურდება ი. კ-ის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. კ-ს შორის ხელშეკრულება შეწყდა **1** წლის გასვლამდე, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა ქმნის კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოემვა იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. კონტრაქტის ტექსტი არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ და მრავალმნიშვნელოვან გამონათქვამებს, კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრა არ უკავშირდება საკანონმდებლო ცვლილებებს. სკ-ის **327.2** მუხლის თანახმად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომელზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება მხარეებს შორის ან რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. მოცემულ შემთხვევაში არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი არ განსაზღვრავს, მას თვითონ მხარეები განსაზღვრავენ ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და ამ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. კ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 7.3 და 7.4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით. საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98წ. 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადაში შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოეკმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციის ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიების სახით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98წ. 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის 4¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურისთვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან. სსკ-ის 420-ე მუხლიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში მხარეთა თავისუფლების მიუხედავად, სასამართლოს საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 18837,23 ლარის ოდენობით. ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს სახით 5651,17 ლარის დამატებით დაკისრება ადასტურებს პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა შეუსაბამობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის სამართლიანი გადაწყვეტის, ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის ინტერესი მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა 5651,17 ლარის ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება 5651,17 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ი. კ-ისათვის პირგასამტეხლოს – 5651,17 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ჯარიმის სახით – 18837,23 ლარის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ასკ-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილით, საქართველოს სსსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ი. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.06.10წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 19.11.09წ.

გადაწყვეტილება ი. კ-ისათვის პირგასამტეხლოს – 5651,17 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ი. კ-ისთვის 5651,17 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.06.10წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ ი. კ-ისათვის ჯარიმის – 18837,23 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1611-1585(კ-11)

26 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 8 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – შ. ჭ-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 1 ივლისს შ. ჭ-ისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და შ. ჭ-ე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 30 ივლისის 1... ბრძანებით, 2008 წლის 18 ივნისიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, შ. ჭ-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 11 503,20 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 3450,96 ლარისა და ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 20 069,42 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე შ. ჭ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 11 503,20 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 3450,96 ლარის და ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 249,05 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახური წარმოადგენდა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები, განისაზღვრებოდა სახელმწიფო შეიარაღებული ძალებისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებული იყო დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, სამინისტროსათვის ჯარიმის სახით აენაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხა შემდეგი წესით: ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით, ხო-

ლო სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძველები და წესი) მეორე პუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდებოდა გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, არამედ საქართველოს პრეზიდენტის დასახელებული ბრძანებულებით შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კერძოდ, ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა და მიუთითა სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები გამოიყენებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა ზიანის სახით მოპასუხისათვის 20 069,42 ლარის დაკისრებას, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის უკან დაბრუნებას.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელებულიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილი იყო, რომ მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით (ძველი რედაქციის) დადგენილი იყო, რომ სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი იყო, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშვებოდა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, არ არსებობდა მოპასუხისათვის ზიანის სახით – 20 069,42 ლარის დაკისრების საფუძველი, რადგან მითითებული თანხა შ. ჭ-მ მიიღო შრომის ანაზღაურების – ხელფასის სახით, რომლის გადახდის ვალდებულება თავდაცვის სამინისტროს წარმოეშვა როგორც კანონის, ისე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა შ. ჭ-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და აღნიშნულის შედეგად, მისი მხრიდან ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და ნაწილობრივად ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის ფაქტი, რაც სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ჭ-მ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რო-

მელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით შ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება შ. ჭ-ისათვის კვებაზე დახარჯული თანხის – 33,23 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შ. ჭ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ კვებაზე დახარჯული თანხის – 33,23 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კვებაზე დახარჯული თანხის დაბრუნების ვალდებულება სამხედრო მოსამსახურეს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო ეკისრებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. ჭ-მ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – შ. ჭ-ის განმარტებით, მას კონტრაქტის პირობები არ დაურღვევია, ვინაიდან, მისი განთავისუფლების მიზეზი იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამდენად, არ არსებობდა მისთვის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარიმო თანხების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის განჩინებით, შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 11503.20 ლარის, ზიანის სახით – 249.05 ლარისა და კვებაზე დახარჯული თანხის სახით – 33.23 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება; შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით – 3450.96 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მისი განხილვა ჩაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან 2012 წლის 12 იანვრის განჩინებით შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 11503.20 ლარის, ზიანის სახით – 249.05 ლარისა და კვებაზე დახარჯული თანხის სახით – 33.23 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე მისთვის პირგასამტეხლოს სახით 3450.96 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 3450.96 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 1 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შ. ჭ-ს შორის 4 წლის ვადით გაფორმდა ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 30 ივლისის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2008 წლის 18 ივნისიდან შ. ჭ-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – შ. ჭ-ის მსჯელობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 1 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შ. ჭ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხ-

ლო 0.2% ოდენობით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგულაციონირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 11 503,20 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 3450,96 ლარი უკვე პირგასამტეხლოს პირგასამტეხლოა, რასაც ასევე არ ცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება განთავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთობლივად ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 3450,96 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება შ. ჭ-ისთვის პირგასამტეხლოს სახით 3450,96 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 3450,96 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ – პირგასამტეხლოს თანხის **3450,96** ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2011** წლის **14** სექტემბრის გადაწყვეტილება შ. ჭ-ისათვის პირგასამტეხლოს სახით **3450,96** ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2011** წლის **26** ივლისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – **3450,96** ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

18ს-1410-1392(კ-11)

27 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ **02.05.11**წ. სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ზ. ჭ-ის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის ჯარიმის – **19344** ლარის, პირგასამტეხლოს – **5803,20** ლარისა და ზიანის – **16433,67** ლარისა და **168** აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს **30.06.11**წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ზ. ჭ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის – **19344** ლარისა და კვებაზე დახარჯული თანხის – **1823,27** ლარის გადახდა, მოსარჩელეს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს – **5803,20** ლარისა და ზიანის – **12787,13** ლარისა და **168** აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარი ეთქვა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.07.11**წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს **30.06.11**წ. გადაწყვეტილება პირგასამტეხლოსა და მივლინების ხარჯების ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ჭ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – **5803,20** ლარისა და მივლინების ხარჯების – **168** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს **30.06.11**წ. გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ჭ-ს შორის **10.11.05**წ. დადებული ხელშეკრულება განსაზღვრავდა კონკრეტულ პირობებს, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოემოზოდა ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის **417-ე** და **418-ე** მუხლებზე და აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლო შეიძლება აღმატებოდეს შესაძლო ზიანს. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა თავისუფალი ნების გამოვლენით განსაზღვრეს პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც არ იყო შეუსაბამოდ მაღალი და ამიტომ არ არსებობდა მისი შემცირების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონტრაქტის **8.2** და **8.3** პუნქტები ითვალისწინებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რის გამოც ზ. ჭ-ს უნდა დაეკისრებოდა სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის **37-ე** მუხლის **1-ელი** პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურ-

რიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო, რომლის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.07.11წ.** გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჭ-მ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოსა და მივლინების ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი სოციალური მდგომარეობა და ისე დააკისრა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის მას დაკისრებული ჰქონდა **19344** ლარის გადახდა. აღნიშნულ თანხაზე დამატებით პირგასამტეხლოს **5803,2** ლარის დაკისრება იყო პირგასამტეხლოს უსამართლოდ გაზრდა. ამასთან კასატორმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე ასრულებდა ნაკისრ შრომით მოვალეობას, საპასუხოდ იღებდა შრომით ანაზღაურებას, **168** აშშ დოლარი იყო მივლინებაზე დახარჯული თანხა და მისი გადახდა არ უნდა დაკისრებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **14.12.11წ.** განჩინებით ზ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ზ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ჭ-ს შორის **10.11.05წ.** დადებული ხელშეკრულების **7.3** პუნქტი განსაზღვრავდა ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა **4-წლიანი კონტრაქტი**. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ჭ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების **7.3** და **7.4** პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო **0.2%** ოდენობით. საქართველოს პრეზიდენტის **26.10.98წ.** **1609** ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველეად გაფორმებული კონტრაქტის ვადაში შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოეკმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის **30** პროცენტამდე. სამოქალაქო კოდექსის **417-ე** მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციის ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიების სახით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების **7.3** პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის **417-ე** მუხლით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის **26.10.98წ.** **1609** ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის 4¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურისთვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან. სსკ-ის **420-ე** მუხლიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში მხარეთა თავისუფლების მიუხედავად, სასამართლოს საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მა-

დალი პირგასამტეხლო. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 19344 ლარის ოდენობით. ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს სახით – 5803,20 ლარის დამატებით დაკისრება ადასტურებს პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა შეუსაბამობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის სამართლიანი გადაწყვეტის, ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის ინტერესი მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა 5803,20 ლარის ნაწილში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზ. ჭ-ის მივლინებაზე დახარჯული თანხა შეადგენს 168 აშშ დოლარს. საკასაციო პალატა მივლინების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ზ. ჭ-ე ხელშეკრულების დადებიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას და იღებდა შრომის ანაზღაურებას. მივლინებაში ყოფნის დროს ზ. ჭ-მ მიიღო მივლინების ასანაზღაურებელი თანხა – 168 აშშ დოლარის ოდენობით, რაც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს უკან დაბრუნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს – 5803,20 ლარისა და მივლინების ხარჯების – 168 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზ. ჭ-ისათვის პირგასამტეხლოსა და მივლინების ხარჯების დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილით, სსსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ზ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.07.11წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ზ. ჭ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 5803,20 ლარისა და მივლინების ხარჯების – 168 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზ. ჭ-ისათვის პირგასამტეხლოს – 5803,20 ლარისა და მივლინების ხარჯების – 168 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.07.11წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

18ს-690-684(23-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვაძემე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: ლ. მ-ე

სარჩელის სახე: სასკ-ის მე-2 მუხლის 1 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 25' მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 13152 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 3954.6 ლარისა და ზიანის სახით – 13384.31 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2005 წლის 20 ივნისს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 15 მაისის 1... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2007 წლის 5 ოქტომბრიდან ვალდებულების დარღვევის გამო. კონტრაქტის 7.3, 7.4, 8.2, 8.3, 8.4 პუნქტების საფუძველზე ეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა სსკ-ის 361.2, 316.1, 317.1, 417-ე, 394.1, 407-ე, 417-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ლ. მ-ემ წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი, სადაც აღნიშნა, რომ არცერთ დოკუმენტში არ არის აღწერილი, თუ რა სახის დარღვევის გამო იქნა იგი დათხოვნილი. ამასთან, თავდაცვის მინისტრის ბრძანება გამოცემულია 2008 წლის 15 მაისს, რის საფუძველზეც იგი ჩაითვალია შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ 2007 წლის 5 ოქტომბრიდან, მაშინ, როცა სამანდატო კომისიის სხდომა გაიმართა 2007 წლის 31 აგვისტოს.

მოპასუხის მსჯელობით, ვინაიდან მინისტრის ბრძანება გათავისუფლებაზე დაიწერა 2008 წლის 15 მაისს, იგი გათავისუფლებულად ითვლება აღნიშნული თარიღიდან და ნამსახურების ვადა შეადგენს 1 წელსა და 5 დღეს. მოპასუხის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს გაანგარიშება არის არასწორი, ვინაიდან კონტრაქტის პირობების შესაბამისად, დარღვევის დროს მოსამსახურის მიერ გადასახდელი საშუალო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საშუალოდ 10000 ლარს.

ერთი ცნობით დასტურდება, რომ სამხედრო მოსამსახურის სწავლაზე დაიხარჯა 130.68 ლარი, ხოლო მეორე ცნობით დასტურდება, რომ სამხედრო მოსამსახურის სწავლაზე დაიხარჯა 313.95 ლარი. დანარჩენი თანხები წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურების თანხას, რომელიც მოპასუხემ მიიღო ხელფასის სახით და რომელი თანხის უკან გამოთხოვაც დაუშვებელია, რადგან შრომის შესაბამისი ანაზღაურება არ მიეკუთვნება ზიანის თანხას და არც მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯულ თანხას.

მოპასუხის მითითებით, იგი თვითდათხოვნის საფუძველზე წამოვიდა სამხედრო ნაწილიდან და 2007 წლის 31 აგვისტოს სამანდატო კომისიის სხდომის ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც იგი დათხოვნილ იქნა დისციპლინებული პასუხისმგებლობის გამო, არ შეესაბამება სინამდვილეს.

საქმის გარემოებები: 2005 წლის 20 ივნისს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა კონტრაქტი და მოპასუხე ლ. მ-ე დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 15 მაისის 1... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2007 წლის 5 ოქტომბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

რეალური /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე ლ. მ-ეს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა – 13152 ლარი და პირგასამტეხლო – 394.6 ლარის ოდენობით. სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

1. 2005 წლის 20 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხე ლ. მ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თავდაცვის საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ.

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, ლ. მ-ის, როგორც სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს, რომელიც აითვლებოდა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ... ქვეითი ბრიგადის ... სამხედრო ნაწილის ფინანსისტი მიერ 2010 წლის 15 სექტემბერს გაცემული ცნობის თანახმად, ლ. მ-ეს ანაზღაურებული აქვს ხელფასი 2007 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით, ხოლო უკანასკნელი თვის ხელფასის ოდენობა შეადგენს 548 ლარს.

4. ლ. მ-ეს 2005 წლის ივლისიდან მიღებული აქვს შრომის ანაზღაურების სახით სულ 14703.95 ლარი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება. მოპასუხე მხარემ ლ. მ-ემ სადავო გახადა ნამსახურების ვადა.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლოს მსჯელობით სახეზეა კონტრაქტის პირობების დარღვევა, რის გამოც მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სასამართლოს დასკვნები – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფო შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სასამართლოს მითითებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. მ-ის შორის დადებული ხელშეკრულება თავდაცვის საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ წარმოადგენს სზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის «ზ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელიც საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებულია ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის.

სზაკ-ის 65-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სზაკ-ისა და სსკ-ით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს მსჯელობით, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა მოპასუხეზე ჯარიმის სახით 13152 ლარის დაკისრებაზე, საფუძვლიანია და გამომდინარეობს კონტრაქტის 7.3 მუხლის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებისა და სსკ-ის 407-ე მუხლით, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობისას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კონტრაქტი ლ. მ-ის ბრალით შეწყდა.

სასამართლო დასაბუთებულად და სამართლიანად მიიჩნევს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით თანხის დაკისრებას, ვინაიდან მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.4 პუნქტით განსაზღვრულ იქნა სამხედრო მოსამსახურის ვალდებულება, თუ იგი ვერ ასრულებს 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0.2%- ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სსკ-ის 417-ე მუხლით განსაზღვრულია პირგასამტეხლოს ცნება, რომლის თანახმად პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა მიერ განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30%-მდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეზე პირგასამტეხლოს სახით 3945.6 ლარის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია.

სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის მტკიცებას იმის შესახებ, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ კონტრაქტის მოქმედების პერიოდში მოპასუხის სასარგებლოდ გადახდილი ხელფასის თანხა წარმოადგენს ზიანს.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახე, რომელიც მოიცავს სავალდებულო ვადიან საკონტრაქტო და კადრის სამხედრო სამსახურს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის I მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში ან სამხედრო ძალების რეზერვის პირველ თანრიგში.

მოპასუხე ლ. მ-ე იმყოფებოდა ვადიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში და იმავდროულად წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს ყველა ის საკანონმდებლო და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულებანი, რომლებიც შეეხება სამხედრო მოსამსახურეს, პირის სამხედრო სამსახურში ყოფნას, სამხედრო სამსახურის გავლას.

შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები, რომლის 37-ე მუხლის I პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. ხელშეკრულების დადების მომენტიდან შეწყვეტამდე დროის შუალედში, მოპასუხე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი იღებდა ამ შესრულებას და საპასუხოდ გასცემდა შრომით ანაზღაურებას.

სსკ-ის 317 მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სასამართლოს მსჯელობით, ხელშეკრულების დადებისას მხარეები არ შეთანხმებულან გადახდილი ხელფასის გამო გაწეული ხარჯის ანაზღაურების, ხელფასის უკან დაბრუნების ვალდებულებაზე. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ისეთი ვალდებულების შესრულება, რაც არ ყოფილა შეთანხმებული ხელშეკრულებით. სამხედრო მოსამსახურეზე გაცემული ხელფასის სახით გაწეული ხარჯები ვერ იქნება მიჩნეული სწავლებისათვის დახარჯულ თანხად.

მოსარჩელე მხარეს დავის განხილვის პროცესში არ წარმოუდგენია ასეთი ტიპის ხარჯების რეალურად გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებანი. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა ისეთი გარემოება, როგორცაა ხელფასის ხარჯის გაწევა და სწორედ ამ გარემოებაზე დააფუძნა სარჩელი. ხელფასი მიიჩნია სამხედრო პირის სწავლებაზე გაწეულ ხარჯად, რაც არასწორია.

სსსკ-ის 102-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სასკ-ის მე-17 მუხლის I ნაწილით დადგენილია, რომ მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: ლ. მ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვს ნამსახურეობის პერიოდში მასზე გაცემული ხელფასის უკან დაბრუნებას. იგი ითხოვს არა ხელფასის უკან დაბრუნებას, არამედ იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მიადგა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

სამართლებრივი: კანონისმიერი მტკიცებულებები თავისი შინაარსით უტოლდებიან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ხოლო თვით სამინისტრო განთავისუფლებულია ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისაგან სსსკ-ის 106-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარში წარმოადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 მაისით დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, სამინისტროს მიერ ზიანის სახით მოთხოვნილ სახელფასო თანხებს მიენიჭა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯული თანხების სტატუსი.

აპელანტი: ლ. მ-ე

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მითითებით, კონტრაქტის შესაბამისად, ლ. მ-ის კუთვნილი ხელფასი შეადგენდა 447 ლარს და საქმეში არ არსებობს არანაირი დოკუმენტი იმისა, რომ სამხედრო მოსამსახურეს მყარად მოემატა სახელფასო სარგო. შესაბამისად, სამინისტრო და ვერც სხვა ორგანო წინასწარ ვერ გათვლის თუ მომდევნო ორი წლის განმავლობაში რა სახის დანამატებს განახორციელებს ძირითად სახელფასო სარგოზე. კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებულია პირგასამტეხლო საშუალოდ 10000 ლარი და მისი გაზრდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბოლო თვეში მოსამსახურემ მიიღო სხვა თანხა და მასზე დანამატი, დაუშვებელია.

სამართლებრივი: სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 412-ე მუხლი.

მოწინააღმდეგის შეპასუხება:

მოტივები: **ფაქტობრივი:** მოწინააღმდეგე მხარემ ლ. მ-ემ წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება, სადაც აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტრო ითხოვს მოპასუხისაგან მასზე გაცემულ ხელფასის თანხას, ვინაიდან აღნიშნულის დასადასტურებლად მას საქმეში წარმოადგენილი აქვს ცნობა ხელფასის შესახებ, თუ რა ოდენობის ხელფასი გაიცა სამხედრო მოსამსახურეზე.

მოწინააღმდეგე მხარემ აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია აპელანტის მიერ მითითებული უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესახებ. სასამართლო პრაქტიკისა და კანონის თანახმად ხელფასი გულისხმობს შრომის ანაზღაურებას. თუ შესრულება მიღებულია, მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. მ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ლ. მ-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა 13 152 და სწავლებაზე დახარჯული თანხა 444.63 ლარი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აპელაციის მოტივების გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა

სააპელაციო სასამართლო ნაწილობრივ დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი კვალიფიკაცია. თუმცა, პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა.

სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით პირგასამტეხლო – მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას წარმოადგენს ბესთან და მოვალის გარანტიასთან ერთად, რომელიც მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად კი პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ხელშეკრულებითვე დადგენილი ჯარიმის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც მოპასუხეს ეკისრება, თავისი არსით, ვალდებულების შესრულების ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგლამენტირებული პირგასამტეხლოა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ მიჩნეული უდავო ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. მ-ის სააპელაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებები სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოფის საშუალების პირგასამტეხლო – 13152 ლარი მოითხოვა, რისი მოთხოვნის საფუძველი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტითაა გათვალისწინებული. ხოლო რაც შეეხება პირგასამტეხლოს თანხას 3945.6 ლარს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამატებით ამ თანხის დაკისრების საფუძველი აღარ არსებობს.

კასატორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: ლ. მ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» და «ე1» ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულება. სასამართლოს არ ჰქონდა უფლება შეემცირებინა პირგასამტეხლოს ოდენობა, ვინაიდან მას არ გამოუკვლევია სსკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა. ყურადღება არ გაამახვილა ხელშეკრულების პირობებზე და ისე მიიღო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა ასკ-ის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით დასაშვე-

ბად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი, როგორც აბსოლუტური და დი-ვენგერტული კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მი-ვიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყო-ფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 თებერვლის გა-დაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერია-ლური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამარ-თლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუ-თებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათ-ვის.

საკასაციო სასამართლო დადგინდად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 20 ივნისს საქართველოს თავდაცვის სა-მინისტროსა და ლ. მ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესა-ბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამ-სახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათ-ვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვა-დაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხ-ლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგა-სამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცი-რებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო ჯარიმის და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა რა საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 'ზს-1580-1509(კ-09) საქართვე-ლის თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: რომ «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შეს-რულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სკ-ის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვა-ნი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდე-ბულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასუ-რის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უზიძვოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრუ-ლებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს, ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაი-მე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩი-ნოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემ-თხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. სა-ურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მი-მართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდევინება ყოველი მომ-დევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარ-გებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრუ-ლების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხე-

ბის (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დავას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამართო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან».

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ლ. მ-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – 13152 ლარის 30% – 3945.6 ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-41 პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის 1.2, სსსკ-ის 408.2, 410-ე მუხლებით და
და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

განჩინება

18ს-564-559(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძემე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: ნ. ა-ი

სარჩელის სახე: სასკ-ის მე-2 მუხლის 1 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 25' მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 13320 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 3996 ლარისა და ზიანის სახით – 15566.74 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2005 წლის 5 მაისს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 8 იანვრის 1... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. კონტრაქტის 7.3, 7.4, 8.2, 8.3, 8.4 მუხლების საფუძველზე, მას ეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 და 25' მუხლის, სსკ-ის 361.2, 316.1, 317.1, 417-ე, 394.1, 407-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქმის გარემოებები: 2006 წლის 5 მაისს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (კონტრაქტი) და მოპასუხე ნ. ა-ი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში 4 წლის ვადით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 8 იანვრის 1... ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ნ. ა-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 13320 ლარის, ზიანის სახით – 2189.80 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 463,30 ლარის გადახდა, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

1. 2005 წლის 5 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ა-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (კონტრაქტი), თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, 4 წლის ვადით.

2. 2008 წლის 8 იანვრის 1... ბრძანებით, ნ. ა-ი დათხოვნილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2007 წლის 6 ნოემბრიდან, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

3. ნ. ა-მა შეიარაღებულ ძალების რიგებში იმსახურა 2 წელი, 6 თვე და 2 დღე.

4. ნ. ა-ის ბოლო თვის ხელფასი შეადგენს 555 ლარს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო გარემოებები: საქმეში წარმოდგენილია ნ. ა-ის პატაკი, დათარიღებული 2007 წლის 29 ოქტომბრით, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე და გაცნობის ფურცელი. მითითებულ მტკიცებულებებში გამოხატულია მოპასუხის ნება შეწყვიტოს კონტრაქტი, რასაც უკავშირდება მისი ფინანსური პასუხისმგებლობა.

საქმეში წარმოდგენილი სამხედრო ნაწილ 1...-ის, სამანდატო კომისიის 2007 წლის 11 ნოემბრის, სხდომის ოქმი 124-ით დასტურდება, რომ აღიძრა შუამდგომლობა ..., ნ. ა-ის, საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის თაობაზე, საკუთარი სურვილით, კონტრაქტის შეწყვეტის მოტივით.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. ა-ს კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 8 იანვრის 1... ბრძანება არ გაუსაჩივრებია. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხეს არც შესაგებელი წარმოდგენია და სარჩელში მითითებული გარემოებები სადავოდ არ გაუხდია. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევაზე და მის შესაბამისად, კონტრაქტით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულების არსებობაზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით დგინდება, რომ ნ. ა-ის სასურსათო ულუფა ერთი თვის განმავლობაში, დათხოვნის პერიოდში შეადგენდა 59 ლარს, საიდანაც გამომდინარე კვების ულუფაზე დახარჯული თანხა შეადგენს 1774 ლარს.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება როდის ეცნობა ან ეცნობა თუ არა მოპასუხეს, კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 8 იანვრის 1... ბრძანება, რასთანაც დაკავშირებულია პირგასამტეხლოს დაკისრების ვადის და ოდენობის გაანგარიშება.

საქმეში წარმოდგენილია სახელფასო ცნობა ნამსახურობის პერიოდში მიღებული ხელფასის თაობაზე, საიდანაც დგინდება, რომ ნ. ა-ს ხელფასის სახით, მიღებული აქვს **13 782** ლარი, საიდანაც **415** ლარი წარმოადგენს კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ, ზედმეტად დარიცხულ თანხას.

სასამართლოს დასკვნები – იმ გარემოების გამო, რომ დადასტურებული იქნა მოპასუხის ბრალეულობით ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი, არსებობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სზაკ-ის **65-ე** მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

სკ-ის **317-ე** მუხლის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სკ-ის **361-ე** მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ა-ს შორის **2005 წლის 5 მაის** გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო სავალდებულო სამსახურის თაობაზე. ხელშეკრულება გასაჩივრებული ან გაუქმებული არ არის.

კონტრაქტის **7.3** მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ „სამხედრო მოსამსახურე“ მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და „სამინისტროსთან“ შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისთვის, რომ „სამინისტრო“ იძულებული გახდეს შეწყვიტოს კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან **10** დღის ვადაში, ჯარიმის სახით, აუნაზღაუროს სამინისტროს ფულადი თანხები შემდეგი წესით: ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ **14 000** ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

დადგენილია, რომ ნ. ა-მა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება **4-წლიანი** სამხედრო სამსახურის შესახებ და **2 წლის, 6 თვის და 2 დღის** სამსახურის შემდეგ შეწყვიტა ხელშეკრულება. სასამართლომ დაადგინა, რომ კონტრაქტის პირობების დარღვევის საფუძველით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის **2008 წლის 8 იანვრის 1...** ბრძანება, კონტრაქტის შეწყვეტისა და ნ. ა-ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე, გასაჩივრებული არ არის და ძალაშია. აღნიშნული კი ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ჯარიმის სახით, განსაზღვრული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში, ნ. ა-ის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა **555** ლარს, რომლის შესაბამისადაც ჯარიმის ოდენობად უნდა განისაზღვროს **13320** ლარით.

სკ-ის **417-ე** მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. სკ-ის **420-ე** მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასამართლომ ვერ დაადგინა როდის ეცნობა ან ეცნობა თუ არა მოპასუხეს კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის **2008 წლის 8 იანვრის 1...** ბრძანება, რასთანაც დაკავშირებულია პირგასამტეხლოს დაკისრების ვადის და ოდენობის განსაზღვრება. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ხელშეკრულებითვე დადგენილი ჯარიმის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც მოპასუხეს ეკისრება, თავისი არსით, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენს. პირგასამტეხლოზე პირგასამტეხლოს დაკისრება კი კანონმდებლობით დადგენილი არ არის, გარდა ამისა, მხოლოდ ჯარიმის თანხაც თავისი სიდიდით, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მოპასუხეს, მით უფრო პირგასამტეხლოს დაკისრება უგულბელებლად მის სასიცოცხლო მოთხოვნებს. მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა ჯარიმის თანხის **13320** ლარის **30%**, აშკარა უსამართლო და შეუსაბამოდ მაღალია. ასეთ ვითარებაში, სკ-ის **420-ე** მუხლი ადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, თუ ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი არ არსებობს.

სკ-ის **394-ე** მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ზიანის სახით მოსარჩელე ითხოვს **15 566.74** ლარის ანაზღაურებას. სასამართლომ დაადგინა, რომ ზიანის თანხა მოიცავს ნ. ა-ის კვებაზე დახარჯულ თანხას **1774** ლარს და მიღებულ ხელფასს **13 792** ლარს. ასევე

ხელფასის სახით, ზედმეტად დარიცხულ თანხას 2007 წლის 6 ნოემბრიდან. სასამართლოს მიაჩნია, რომ კვეზის ულუფაზე დახარჯული თანხა და ხელფასის სახით, ზედმეტად დარიცხული თანხა 415.80 ლარი, სულ 2189.80 ლარი წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანს და ის ანაზღაურებას ექვემდებარება, ხოლო ზიანის სახით, მიღებული ხელფასის უკან დაბრუნების მოთხოვნა, ეწინააღმდეგება შრომის კონსტიტუციურ უფლებას და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს და ის მოპასუხეს ვერ დაეკისრება.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: აპელანტი არ ეთანხმება საგარეჯოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ იმ გარემოებას, რომ საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა და 7.4 მუხლით გათვალისწინებული ყოველდღიური 0.2%-იანი გადახდილი თანხა ერთობლიობაში სამართლებრივი ბუნებით მხარეთა შორის შეთანხმებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, ის გარემოება, რომ თითქოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისგან ითხოვს ნამსახურეობის პერიოდში მასზე გაცემული ხელფასის უკან დაბრუნებას, რადგან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს არა ხელფასის უკან დაბრუნება, არამედ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

სამართლებრივი: აპელანტის აზრით, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოველად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

აპელანტის განმარტებით, ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში.

ხელშეკრულების 7.4. მუხლით გათვალისწინებული განგრძობადი პირგასამტეხლო საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულებითვე იქნა ფიქსირებულ თანხამდე შემცირებული (საჯარიმო თანხის 30%-ის ოდენობამდე). ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლო ვერანაირად ვერ ასაბუთებს, თუ რა მიმე მდგომარეობაში აყენებს მხარეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო.

რაიონული სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირებისას ვალდებული იყო გამოეკვლია მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა და სწორედ ეს გარემოება შეიძლება გამხდარიყო სსკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად პირგასამტეხლოს შემცირების უმთავრესი საფუძველი, მაგრამ აღნიშნული სასამართლოს მიერ არ განხორციელებულა და შესაბამისად, მას არ ჰქონდა სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად შემცირებინა პირგასამტეხლოს ოდენობა.

მოწინააღმდეგე მხარის შეპასუხება:

მოტივები: ფაქტობრივი:

მოწინააღმდეგე მხარემ წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება სადაც აღნიშნა, რომ საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე გააკეთა სწორი შეფასება ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში და მიიღო სწორი გადაწყვეტილება. თავდაცვის სამინისტრო ითხოვს მოპასუხისაგან მასზე გაცემულ ხელფასის თანხას, რაც ყოველად დაუშვებელია.

სამართლებრივი: სსკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით სასამართლოსათვის შესაძლებელი იყო შინაგანი რწმენისა და კონტრაპენტის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიეღო აღნიშნული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე საგარეჯოს რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარება პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მათი გამაბათილებელი არგუმენტები აპელანტს არ წარმოუდგენია, შესაბამისად, არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის საფუძველი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 390.3-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებების, აგრეთვე, დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ ნ. ა-ის მომზადებაზე დახარჯული და შესაბამისად მიყენებული ზიანის თანხა შეადგანს – 15 566 ლარს. პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეს აწევს ზიანის არსებობის და მისი ოდენობის მტკიცების ტვირთი. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მან ნ. ა-ის სანაცვლოდ მოამზადა სხვა მოსამსახურე, რომლის მომზადებაზე დაიხარჯა 15 566 ლარი, ანუ მის მიერ გაღებული იქნა აღნიშნული თანხა მოპასუხის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო. საქმის მასალების მიხედვით მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოპასუხემ გაიარა სპეციალური «სამხედრო მოსამსახურის სწავლება და მომზადება» და მის მომზადებაზე დაიხარჯა სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი თანხა, წარმოდგენილი არ ყოფილა.

კასატორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: ნ. ა-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის განჩინების გაუქმება მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია, ვინაიდან ჯარიმისა და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულება. ამდენად, ყოვლად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

კასატორის მითითებით, ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში.

ხელშეკრულების 7.4. მუხლით გათვალისწინებული განგრძობადი პირგასამტეხლო საქართველოს პრეზიდენტის 1609 ბრძანებულებითვე იქნა ფიქსირებულ თანხამდე შემცირებული (საჯარიმო თანხის 30%-ის ოდენობამდე). ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლო ვერანაირად ვერ ასაბუთებს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აყენებს მხარეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო.

სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირებისას ვალდებული იყო გამოეკვლია მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა და სწორედ ეს გარემოება შეიძლება გამხდარიყო სსკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად პირგასამტეხლოს შემცირების უმთავრესი საფუძველი, მაგრამ აღნიშნული სასამართლოს მიერ არ განხორციელებულა და შესაბამისად, მას არ ჰქონდა სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად შემცირებინა პირგასამტეხლოს ოდენობა.

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განჩინება პირგასამტეხლოს დაუკმაყოფილებლობის ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ასკ-ის 34.3 მუხლის „ა« და „გ» ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 3 მაისის განჩინებით დასაშვებად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

მოწინააღმდეგე მხარის შეპასუხება:

მოტივები: ფაქტობრივი:

მოწინააღმდეგე მხარემ წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება, სადაც აღნიშნა, რომ სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო საქმის გარემოებების გათვალისწინებით. სასამართლომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მართებულად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო დადგინდად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 5 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნ. ა-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველვადგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1... ბრძანების შესაბამისად, ნ. ა-ი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონშესაბამისია ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი დასკვნა, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების ვადის ათვლა და ოდენობის დაანგარიშება დაკავშირებულია იმასთან თუ როდის ეცნობა ან ეცნობა თუ არა სამხედრო მოსამსახურეს დათხოვნის ბრძანება, აღნიშნული კი საქმის მასალებით დადასტურებული არ არის, აღნიშნული სასამართლო შეფასება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია არცერთ სასამართლო ინსტანციაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ჯარიმის და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 18ს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: განმარტავს, რომ «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სკ-ის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მი-

მართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდევინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) **10** დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის **420**-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსაღებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან».

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ნ. ა-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის **7.3** პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – **13320** ლარის **30%** – **3996** ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს **2011** წლის **5** დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის **1998** წლის **26** ოქტომბრის **1609** ბრძანებულების **XVI** თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის **410**-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის **1.2**, სსსკ-ის **408.2**, **410**-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2011** წლის **24** იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1541-1520(კ-11)

22 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 30 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – რ. კ-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 31 მაისს რ. კ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და რ. კ-ი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 6 ნოემბრის 1... ბრძანებით, 2007 წლის 2 ოქტომბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, რ. კ-ი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 17 536 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5256,23 ლარისა და ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 5356,23 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; რ. კ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 17 536 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით – 5256,23 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოპასუხისათვის ზიანის სახით – 5356,23 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახური წარმოადგენდა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები, განისაზღვრებოდა სახელმწიფო შეიარაღებული ძალებისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებული იყო დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, სამინისტროსათვის ჯარიმის სახით აენაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხა შემდეგი წესით: ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძვლები და წესი) მეორე პუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდებოდა გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესა-

ბამისად, არამედ საქართველოს პრეზიდენტის დასახელებული ბრძანებულებით შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კერძოდ, ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა და მიუთითა სსკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები გამოიყენებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა ზიანის სახით მოპასუხისათვის 5356,23 ლარის დაკისრებას, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასისა და კვებაზე დახარჯული თანხის უკან დაბრუნებას.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელებულიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილი იყო, რომ მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით (ძველი რედაქციის) დადგენილი იყო, რომ სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი იყო, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშვებოდა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, არ არსებობდა მოპასუხისათვის ზიანის სახით – 5356,23 ლარის დაკისრების საფუძველი, რადგან მითითებული თანხა რ. კ-მა მიიღო შრომის ანაზღაურების – ხელფასის სახით, რომლის გადახდის ვალდებულება თავდაცვის სამინისტროს წარმოემვა როგორც კანონის, ისე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა რ. კ-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და აღნიშნულის შედეგად, მისი მხრიდან ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულების არსებობის ფაქტი, რაც სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მა, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინებით რ. კ-ისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი – რ. კ-ის განმარტებით, მას კონტრაქტის პირობები არ დაურღვევია, ვინაიდან, მისი განთავი-სუფლების მიზეზი იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და 2007 წელს მომხდარი ბუნტი, რომელშიც მას მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. ამდენად, არ არსებობდა მისთვის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული რ. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, რ. კ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 17 536 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება რ. კ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 17 536 ლარის დაკისრების ნაწილში; რ. კ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით – 5256.23 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა ჩაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებით რ. კ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 17 536 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე პირგასამტეხლოს სახით 5256,23 ლარის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 5256,23 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 31 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. კ-ს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 6 ნოემბრის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად 2007 წლის 2 ოქტომბრიდან რ. კ-ი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – რ. კ-ის მსჯელობას, გასაჩივრებული განჩინების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 31 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. კ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგულაციონირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 17 536 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 5256,23 ლარი უკვე პირგასამტეხლოს პირგასამტეხლოა, რასაც ასევე არ ცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4' პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთობლივად ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 5256,23 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება რ. კ-ისთვის პირგასამტეხლოს სახით 5256,23 ლარის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 5256,23 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა:

1. რ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ – პირგასამტეხლოს თანხის 5256,23 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება რ. კ-ისთვის პირგასამტეხლოს სახით 5256,23 ლარის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 5256,23 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1521-1500(კ-11)

22 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 14 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ვ. გ-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 31 მარტს ვ. გ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და ვ. გ-ე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 18 აპრილის 1... ბრძანებით, 2008 წლის 20 მარტიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ვ. გ-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 23618.40 ლარის, პირგასამტეხლოს სახით საჯარიმო თანხის 30% – 7085.52 ლარისა და ზიანის სახით – 16771.94 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ვ. გ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 23618.40 ლარის, ზიანის სახით კვებაზე დახარჯული თანხის – 90.44 ლარის და ზიანის სახით სწავლებაზე გაწეული თანხის – 283.14 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-მ, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელზე (პირგასამტეხლოს მოთხოვნის თაობაზე) უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; ვ. გ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით 7085.52 ლარის გადახდა დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ვ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილზე და განმარტა, რომ ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 394-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ზიანი წარმოადგენდა სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს, თუ არ იქნებოდა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლებოდა დამდგარიყო. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის მხრიდან მიყენებულ ზიანს ნაწილობრივ უწოდებდა იმ ხარჯს, რაც ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე იქნა გაწეული და ამ თანხას განსაზღვრავდა ვ. გ-ისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხით, რომელშიც კვებასა და სწავლებაზე გაწეული ხარჯიც შედიოდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძვლები და წესი) მეორე პუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდებოდა გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, არამედ საქართველოს პრეზიდენტის დასახელებული ბრძანებულებით შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კერძოდ, ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებოდა ამ კოდექსის ნორმები და სსკ-ით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. შესაბამისად, სსკ-ის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეეძლოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებინათ დამატებითი საშუალებებიც, მათ შორის პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მხარეს უნდა გადაეხადა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეეძლოთ თავისუფლად განესაზღვრათ პირგასამტეხლო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო ვ. გ-ის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-მ, რომელმაც გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გაითვალისწინა საქმეში არსებული მასალები და არ შეაფასა მტკიცებულებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რასაც შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულება და სსკ-ის 416-ე-418-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, სსკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 23618.40 ლარის, ზიანის სახით – კვებაზე დახარჯული თანხის – 90.44 ლარისა და სწავლებაზე დახარჯული თანხის – 283.14 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება ვ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით – 7085.52 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა ჩაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 23 618.40 ლარის, ზიანის სახით – კვებაზე დახარჯული თანხის – 90.44 ლარისა და სწავლებაზე დახარჯული თანხის – 283.14 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით – 7085.52 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დასაშვებლად, საკასაციო სა-

სამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს თანხის – **7085.52** ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: **2005** წლის **31** მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. გ.-ს შორის **4** წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის **2008** წლის **18** აპრილის **1...** ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის **21**-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, **2008** წლის **20** მარტიდან ვ. გ-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან. სამხედრო ნაწილი **1...**-ის ცნობის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე – ვ. გ-ს მთლიანად ნამსახურებ პერიოდში შრომის ანაზღაურების, ხელფასის სახით მიღებული აქვს – **19343.63** ლარი, კვებაზე დახარჯული თანხა – **90.44** ლარი, ხოლო სწავლებაზე დახარჯული თანხა – **283.14** ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – ვ. გ-ის მსჯელობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ **2008** წლის **31** მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. გ.-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო **0.2%** ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლო არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის **1998** წლის **26** ოქტომბრის **1609** ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის **30** პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის **417**-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლება – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის **417**-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის **420**-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – **23618.40** ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით **7085.52** ლარი უკვე პირგასამტეხლოს პირგასამტეხლოა, რასაც ასევე არ იცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს **2011** წლის **5** დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის **1998** წლის **26** ოქტომბრის **1609** ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: «სამხედრო

მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთობლივად ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – **7085.52** ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2011** წლის **27** ივნისის გადაწყვეტილება ვ. გ-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – **7085.52** ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – **7085.52** ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის **408**-ე მუხლის მე-3 ნაწილით, **411**-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა:

1. ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ – პირგასამტეხლოს თანხის **7085.52** ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2011** წლის **27** ივნისის გადაწყვეტილება ვ. გ-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – **7085.52** ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – **7085.52** ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1522-1501(კ-11)

26 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე** (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ხელშეკრულების დარღვევის გამო ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის **6** მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – პ. ა-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ **2005** წლის **1** აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პ. ა-ს შორის გაფორმდა კონტრაქტი პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ და პ. ა-ე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში. მოპასუხემ დაარღვია კონტრაქტის პირობები, რის გამოც საქართველოს თავდაცვის მინისტრის **2008** წლის **27** ოქტომბრის **1... ბრძანებით**, **2008** წლის **8** მაისიდან პ. ა-ე დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალებიდან. მოსარჩელემ მიუთითა, რომ კონტრაქტის საფუძველზე ნამსახურებმა ვადა შეადგინა **2** წელი, **9** თვე და **8** დღე, ხოლო დარჩენილი ვადაა **1** წელი, **2** თვე და **25** დღე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა მოპასუხე – პ. ა-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის სახით – **23565.60** ლარის, პირგასამტეხლოს სახით – **7069.68** ლარის და ზიანის საკომპენსაციო თანხის – **17414.88** ლარის ანაზღაურება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს **2011** წლის **9** ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; პ. ა-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სა-

სარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – **23565,60** ლარისა და სწავლაზე დახარჯული თანხის – **283,14** ლარის ანაზღაურება. ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს – **7069,68** ლარისა და ზიანის სახით – **17131,74** ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელზე (პირგასამტეხლოსა და სამხედრო მოსამსახურის კვებაზე გაწეული ხარჯის მოთხოვნის თაობაზე) უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; პ. ა-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით – **7 069,68** ლარის და კვებაზე გაწეული ხარჯის – **81,88** ლარის გადახდა დაეკისრა; ხოლო დანარჩენ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილზე და განმარტა, რომ ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 394-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ზიანი წარმოადგენდა სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს, თუ არ იქნებოდა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლებოდა დამდგარიყო. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის მხრიდან მიყენებულ ზიანს ნაწილობრივ უწოდებდა იმ ხარჯს, რაც ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე იქნა გაწეული და ამ თანხას განსაზღვრავდა პ. ა-ისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხით, რომელშიც კვებასა და სწავლებაზე გაწეული ხარჯიც შედიოდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების XVI თავის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტით, საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ამ კონტრაქტში განსაზღვრული ოდენობის ფინანსური პასუხისმგებლობა წარმოიქმნება, თუ სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ» (გარდა ატესტაციის შედეგების გამო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევებისა) «ფ», «ვ», «ზ» და «თ» ქვეპუნქტების საფუძველზე. ხოლო მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით კი, თუ სამხედრო მოსამსახურე (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით განსაზღვრული ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებოდა ამ კოდექსის ნორმები და სსკ-ით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. შესაბამისად, სსკ-ის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეეძლოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებინათ დამატებითი საშუალებებიც, მათ შორის პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მხარეს უნდა გადაეხადა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეეძლოთ თავისუფლად განესაზღვრათ პირგასამტეხლო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხისა და კვებაზე გაწეული ხარჯის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. ა-მ რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული პ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინებით პ. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 23565,60 ლარის, სწავლებაზე დახარჯული თანხის – 283,14 ლარისა და სამხედრო მოსამსახურის კვებაზე გაწეული ხარჯის – 81.88 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და შესაბამისად აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება; ხოლო პ. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის პირგასამტეხლოს თანხის – 7069 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პ. ა-ის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ვინაიდან, პ. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 23565,60 ლარის, სწავლებაზე დახარჯული თანხის – 283,14 ლარისა და სამხედრო მოსამსახურის კვებაზე გაწეული ხარჯის – 81.88 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით – 7069,68 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 7069,68 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2005 წლის 1 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პ. ა-ს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 27 ოქტომბრის 1... ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2008 წლის 8 მაისიდან პ. ა-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან. სამხედრო ნაწილი 1...-ის ცნობის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე – პ. ა-ს მთლიანად ნაშახურებ პერიოდში შრომის ანაზღაურების, ხელფასის სახით მიღებული აქვს – 17049,86 ლარი, კვებაზე დახარჯული თანხა – 81,88 ლარი, ხოლო სწავლებაზე დახარჯული თანხა – 283.14 ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – პ. ა-ის მსჯელობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2008 წლის 1 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პ. ა-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სსკ-ის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 23565.60 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 7069,68 ლარი უკვე პირგასამტეხლოს პირგასამტეხლოა, რასაც ასევე არ იცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დამატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთობლივად ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 7069,68 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება პ. ა-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 7069,68 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 7069,68 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. პ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ- პირგასამტეხლოს თანხის 7069,68 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება პ. ა-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 7069,68 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხე პ. ა-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 7069,68 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.